ლიბერალი
№ 25 / 5 - 11 აპრილი / 2010

დაკარგულები – მეოთხე სეზონი **გვ. 15**
როგორ იხარჯება თბილისის ბიუჯეტი წინასაარჩევნოდ **გვ. 11**
ინტერვიუ: სტროუბ ტელბოტი, ხავიერ სოლანა **გვ. 13**
მოსკოვის გლამურული ხანის დასასრული **გვ. 25**
რით უპასუხებს ცხინვალი თბილისს? **გვ. 30**
სახალხო დამცველის ანგარიში **გვ. 37**
პატიმარი სტიქარში **გვ. 35**
დამოუკიდებელი და ზეპარტიული „ასავალ-დასავალი“ **გვ. 40**

ISSN 1987-7528
9 771987 752008
ფასი 2 ლარი

ფოკუსი – არჩევნები

ოპოზიცია ვერ ხედავს სპილოს

გვ. 15-19

თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი	FM 105.5
გორი, ქარელი, ხაშური	FM 103.0
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია	FM 104.5
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი	FM 101.0
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი	FM 101.9

ლიბერალი

№ 25 / 5 - 11 აპრილი / 2010

ფოტო: ლევან ხარბედია

სტროუბ ტელბოტი და ხავიერ სოლანა, თბილისი, 30 მარტი 2010

ნომერში:

02 რედაქტორი

04 მოკლედ

06 ფოტორეპორტაჟი

07 ვრცლად

08 **ორი აზრი**
დაეხმარება თუ არა მერის პროგრამა - ინგლისურის და კომპიუტერის უფასო კურსები, მოქალაქეებს დასაქმებაში?
ზვიად არჩუაძე v.s. იაგო კაჭკაჭიშვილი

10 **თვალსაზრისი**
ქორეოგრაფია
მარკ მალენი

11 **მიმოხილვა**
როგორ იხარჯება თბილისის ბიუჯეტი წინასაარჩევნოდ?

13 **ინტერვიუ**
დავითი და გოლიათი
სტროუბ ტელბოტთან, ხავიერ სოლანასთან

ფოკუსი - არჩევნები

15 „დაკარგულები“ - მეოთხე სეზონი

18 **თბილისის მერის არჩევნები**
საარჩევნო კამპანია თბილისელების ხარჯზე

საუბრები ლიბერალიზმზე

20 ჩაკეტილი წრე

ეკონომიკა

22 სინგაპურის ელემენტებიანი შვეიცარიის გასაჭირი

მეზობლები

25 მოსკოვის გლამურული ხანის დასასრული

27 **აშშ-აზერბაიჯანის ურთიერთობები**
გუდ ბაი, ამერიკა!

კონფლიქტები

29 კოკოითის ოპოზიციის რუბიკონი

30 **პატიმართა გაცვლის პროცესი**
რით უპასუხებს ცხინვალი თბილისს?

33 **თვალსაზრისი**
ჟენევის მოლაპარაკებები

ადამიანის უფლებები და სამართალი

35 პატიმარი სტიქარში

37 **სახელმწიფო და ადამიანის უფლებები**
სახალხო დამცველის ანგარიში

საზოგადოება

40 დამოუკიდებელი და ზეპარტიული

კულტურა

44 მოდის კვირეულის რეპეტიცია

46 მარტივი მეტაფიზიკა, რთული ურთიერთობები

47 პატარა გოგი დიდია

ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები

48 ბულბულების ქალის სულებს

გარეკანზე:

ოპოზიცია ვერ ხედავს სპილოს
ილუსტრაცია: მამუკა ტყეშელაშვილი

ღია საზოგადოება - საქართველოს
OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

შესწორება "ლიბერალი №20"

სტატია "ვინ უნდა ასწავლოს მომავალ თაობას"

სტატიაში ეწერა: ახლა მაგისტრატურა საჭირო აღარ არის, მაგრამ 2014 წლიდან ბაკალავრიატის შემდეგ კურსდამთავრებულებმა ჯერ ერთწლიანი გადამზადება უნდა გაიარონ, შემდეგ კიდევ ერთი წელი სკოლაში სხვა უფროს მასწავლებლებთან ერთად „მაძიებლად“ იმუშაონ.

შესწორება: ახლა მაგისტრატურა საჭირო აღარ არის, მაგრამ 2014 წლიდან ბაკალავრიატის შემდეგ კურსდამთავრებულებმა, რომლებსაც ბაკალავრიატის დროს 60 კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების პროგრამა არ გაუვლიათ, ჯერ ერთწლიანი გადამზადება უნდა გაიარონ. შემდეგ, მასწავლებლობის ყველა მსურველმა ერთი წელი სკოლაში სხვა უფროს მასწავლებლებთან ერთად „მაძიებლად“ იმუშაოს.

სტატიაში ეწერა: რამდენიმე წელიწადში საქართველოში საჭიროზე 20 000-ით ნაკლები მასწავლებელი გვეყოლება.

შესწორება: რამდენიმე წელიწადში საქართველოში დაახლოებით 20 000-ით ნაკლები მასწავლებელი გვეყოლება.

„ლიბერალთან“ ინტერვიუში კლინტონის ადმინისტრაციის ყოფილმა მაღალჩინოსანმა სტროუბ ტელბოტმა თქვა: „საქართველომ თავი უნდა აარიდოს რუსულ თამაშში ჩაბმას. იმიტომ, რომ რუსული თამაში დაფუძნებულია „მოგება-წაგებაზე“. ისინი იგებენ, შენ აგებ“.

თამაში, რომელშიც რუსეთი ცდილობს საქართველოს ჩაბმას, ყოველ წუთს და ყველგან მიმდინარეობს. არამარტო იქ, სადაც რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ღია მოთამაშეა – კონფლიქტის ზონებში და ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

ამ კვირას ეს თამაში მოსკოვის ცენტრში, ლუბიანკაზე, „კაგებე“-ს შენობის ქვეშ გაგრძელდა. რა შეხება აქვს საქართველოს ჩრდილოკავკასიელი უმალატ მაგომედოვის ქვრივთან, რომელმაც წელზე შემოხვეული შაჰიდის ქამრით მეტროს სადგურში თავი აიფეთქა?

„გვქონდა ინფორმაცია, რომ საქართველოს სპეცსამსახურების ცალკეულ თანამშრომლებს კონტაქტი აქვთ ტერორისტულ ორგანიზაციებთან რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიაში. მოსკოვის ტერაქტებთან კავშირში ჩვენ ეს ვერსიაც უნდა შევამოწმოთ“, – განაცხადა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა ნიკოლაი პატრუშევმა.

ტელბოტი, რომელიც რუსეთთან ურთიერთობის „ოსტატურად დარეგულირებას“ გვირჩევს, ამბობს: „საქართველო არ უნდა ჩადგეს იმ პოზიციაში, რომელშიც იყო დავითი ბიბლიური „დავითის და გოლიათის“ იგავში. იმიტომ, რომ ამას არ ექნება ის ფინალი, რაც ბიბლიურს აქვს“. ამაზე კონკრეტული რჩევები არ გვაქვს. ყველაზე რთულ კითხვებზე პასუხი მაინც თავად უნდა ვეძებოთ. ზოგჯერ რუსეთის თამაშში არჩართვა იმასაც გულისხმობს, რომ გქონდეს პასუხი სხვის კითხვაზე – რატომ აიფეთქა 17 წლის რუსეთის მოქალაქემ თავი?

მოგვწერეთ,
სოფო ბუკია,
კავკასიისა და კონფლიქტების
განყოფილების რედაქტორი
sopho.bukia@liberali.ge

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი **შორენა შავერდაშვილი** /აღმასრულებელი რედაქტორი **ნინო ჯაფიაშვილი** / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები **სოფო ჭაავა** / კავკასია და კონფლიქტები **სოფო ბუკია** / ჟურნალისტური გამოძიება **ბესო კურტანიძე** / საზოგადოება **თამარ ბაბუაძე** / ადამიანის უფლებები და სამართალი **ნინო ბექიშვილი** / ახალი ამბები **ნათია ახალაშვილი**
რედაქცია: ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / რედაქტორ-სტილისტი **ნინო სვანიძე** / კორექტორი **ნინო საითიძე**
გამომცემლობა: პროექტის მენეჯერი **ქეთი ბაბუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუბითიძე** / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი **შალვა ჩუბინიძე** / მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა **ნათია რუსაძე** / დისტრიბუტორი **ზვიად შენგელია**
გამომცემელი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
სხვა გამოცემები: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბეჭდვა: სტამბა „ფავორიტი“. მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50. ტელ.: (995 32) 95 19 52. www.phfavorite.ge
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.
www.liberali.ge
ISSN 1987-7528

თბილღვინო
2009 წლის ოქროს ბრენდი

2010 წლის მარტში ოქროს ბრენდის დაჯილდოებაზე თბილღვინოს ოქროს ბრენდის ტიტული მიენიჭა.

ოქროს ბრენდის დაჯილდოების ცერემონია 2006 წლიდან ტარდება და ის ყველაზე პრესტიჟულ და გავლენიან ბიზნეს-დაჯილდოებად არის აღიარებული.

ოქროს ბრენდი ავლენს და აჯილდოებს იმ კომპანიებს, რომლებმაც საქართველოს ბაზარზე ბრენდინგულ საქმიანობაში წარმატებებს მიაღწიეს და პროდუქციის, ან კომპანიის ბრენდის ცნობადობა განამტკიცეს.

TBILVINO

ფოტო თეიმურ ბარამიძისგან

თრუსოს ხეობა

ტოკოითი თრუსოს ხეობას ითხოვს

ცხინვალის არაღიარებული რეჟიმის დე ფაქტო ლიდერი ედუარდ კოკოითი თრუსოს ხეობის „ოსეთისთვის დაბრუნებას“ ითხოვს. რუსული სააგენტოების ცნობით, კოკოითიმ ამის შესახებ ვლადიკავკაზში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

დე ფაქტო პრეზიდენტის თქმით, სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთმა თავისი იმ მოქალაქეების ინტერესები უნდა დაიცვან, რომელთაც თრუსოს ხეობის სოფლები დატოვეს. ამ ტერიტორიას კოკოითი „ძირძველ ოსურ მიწებს“ უწოდებს და ამბობს, რომ თრუსოს ხეობა საქართველოს შემადგენლობაში არასდროს შედიოდა. „პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამო, ჩვენს მოქალაქეებს არ შეუძლიათ მშობლიურ კერაზე დაბრუნება და წინაპრების საფლავების მონახულება“, – აცხადებს კოკოითი. თრუსოს ხეობის დაბრუნებას კოკოითი იარაღით არ აპირებს და სააკაშვილის თანამდებობიდან წასვლას ელოდება, რათა პრობლემა ისე გადაიჭრას, რომ „ორი ხალხისთვის მისაღები იყოს“.

ახალი დიპლომატიური ურთიერთობები

საქართველომ ფიჯისთან და კომოროს გაერთიანებასთან დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობები დაამყარა. ხელმოწერის ცერემონიები გაერო-ს შტაბბინაში ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლების მონაწილეობით გაიმართა და გაერო-ს გენერალურ მდივანსაც ეცნობა. გაფორმებული დოკუმენტების თანახმად, მხარეები თანასწორობის, ეროვნული სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებით იხელმძღვანელებენ.

წელს საქართველომ უკვე 13 ქვეყანასთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები.

ქვრივების ომი

დადგინდა მოსკოვის მეტროში 29 მარტს მომხდარ ტერორისტულ აქტში მონაწილე თვითმკვლელი ქალის ვინაობა. ამ ამბავს სამართალდამცავ სტრუქტურებზე დაყრდნობით რუსული საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ. მეტროსადგურ „ლუბიანკაში“ აფეთქებული თვითმკვლელი ტერორისტი ქალი 17 წლის ჯენეტ აბდურახმანოვაა, რომელიც დაღესტნის ამირად წოდებული უმალატ მაჰომედოვის ქვრივია. მაჰომედოვი გასული წლის 31 დეკემბერს რუსეთის „ფეესბესა“ და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი სპეცოპერაციისას მოკლეს. სავარაუდოდ, ეს ტერორისტული აქტი შურისძიება იყო სწორედ ქმრის მკვლელობის გამო. განსხვავებული ვერსიები ვრცელდება მეორე შაჰიდი ქალის შესახებ. ერთი ვერსიით, ის შარშან ლიკვიდირებული ჩეჩენი მეამბოხის საიდ-ემინ ხიზრიევის ქვრივი მარხა უსტარხანოვა იყო, მეორე ვერსით კი – ერთ-ერთი მოკლული ჩეჩენი მეამბოხის ქალიშვილი.

რუსი ძალოვნების ინფორმაციით, ტერორისტი ქალები ყიზლარიდან მოსკოვში ავტობუსით ჩავიდნენ.

შსს-ს პასუხი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საერთაშორისო ორგანიზაცია Amnesty International-ის 2010 წლის ანგარიშს პასუხობს. სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, ანგარიში დაუდასტურებელ წყაროს ეყრდნობა. მასში ნათქვამია, რომ საქართველოს შსს-მ გერმანული კომპანიისგან და ჩეხეთისგან კანონის დარღვევით იყიდა პოლიციური ელექტროშოკი



და წამების სხვა იარაღები. „საქართველოსთან მიმართებაში ანგარიში მხოლოდ ერთი წინადადებით შემოიფარგლება და გარდა იმისა, რომ ბუნდოვანია, შეიცავს შეცდომებს“, – წერია განცხადებაში. სამინისტროს განცხადებაში ასევე დაზუსტებულია, რომ მათ უწყებას „არასდროს და არანაირი აღჭურვილობა გერმანიისგან არ შეუძენია“.

შსს ადასტურებს, რომ Amnesty International-თან ითანამშრომლებს და ყველა საჭირო ინფორმაციას მიაწვდის, „რათა ანგარიშში დაშვებული უზუსტობა გასწორდეს, რომელიც, ვიმედოვნებთ, მექანიკური ხასიათისაა, და ამისგან არავინაა დაზღვეული, როცა საქმე ასეთ ვრცელ მასალას ეხება“.

ევროკავშირის დახმარება

სამხრეთი კავკასიის ქვეყნების მთავრობებს, საზღვრების მართვის სისტემების დანერგვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ევროკავშირი დაეხმარება. ამ ინიციატივის საერთო ღირებულება 6,3 მილიონ ევროს აღემატება და მას UNDP (გაერო-ს განვითარების პროგრამა) ICMPD-თან (საერთაშორისო ცენტრი მიგრაციის პოლიტიკის საკითხებში) თანამშრომლობით განახორციელებს.

საზღვრების ერთიანი მართვა უზრუნველყოფს მოქალაქეებისა და ტვირთების შეუფერხებელ გადაადგილებას საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის უსაფრთხო და დაცული საზღვრების პირობებში. ამ მექანიზმის უპირატესობის წარმოჩენის მიზნით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამა უშუალოდ გამშვებ პუნქტებთან იმუშავებს და საპილოტო პროექტებს განახორციელებს. პროგრამის ფარგლებში დაიხვეწება პროცედურები და სამხრეთკავკასიური ქვეყნების კანონმდებლობებიც.

ბარაკ ობამა ავღანეთში

ბარაკ ობამა ავღანეთის პრეზიდენტის რანგში პირველად ეწვია, თან – მოულოდნელად. ექვსსაათიანი ვიზიტის ფარგლებში პრეზიდენტმა რამდენიმე შეხვედრა გამართა და ამერიკელ სამხედროებს სიტყვით მიმართა.

ბაგრამის აეროდრომზე შეკრებილ 2500-მდე ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა მძიმე მისიის შესრულებისთვის.

ჯარისკაცებთან შეხვედრამდე ობამა ჰამიდ ყარზაისაც შეხვდა. თეთრი სახლის ინფორმაციით, პრეზიდენტმა კოლეგა 12 მაისისთვის ვაშინგტონშიც მიიწვია.

ჰისსხვები

165 ათასი ლარის დახარჯვას გეგმავს საქართველოს პარლამენტი ხალიჩების შესაძენად.

40 პროცენტით იკლო CNN-ის „პრაიმთაიმში“ მაყურებელთა რაოდენობამ.

9 320 000 ლარის ოდენობის ზარალი მიაყენა კახეთის რეგიონს სტიქიამ ბოლო 5 თვის განმავლობაში.

1,126 მილიარდით შემცირდა 2009 წლის საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი, წინა წელთან შედარებით.

სიტყვები

„რუსეთმა, შესაძლოა, მოსკოვში განხორციელებული ტერაქტები საქართველოსთვის დარტყმის მისაყენებლად გამოიყენოს“.

გიგა ბოკერია
1 აპრილი, The Washington Times

„მედიაკლიმატი ძალიან ახლოსაა პოლიტიკურ კლიმატთან და, შესაბამისად, პოლარიზებულია და არ მოიცავს რეალურ კომპლექსურ სურათს. ამის უმთავრესი ბაზისი მგონია პროფესიონალიზმის ნაკლებობა ქართულ მედიაში. ანუ, მედია საკუთარ ფუნქციას ვერ ასრულებს“.

უვე იეჰანსონი (მედიაექსპერტი)
1 აპრილი, რადიო „თავისუფლება“

„აფხაზეთი აღიარებული სახელმწიფოა. საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას ვერავინ გვაიძულებს – ვერც ამერიკის შეერთებული შტატები და ვერც ევროპა“.

სერგეი ბაღაფში
1 აპრილი, ინტერნეტ-პორტალი segodnia.ru

„ხელი არ წაუცდეს უგულავას არჩევნების გაყალბებისკენ. ის ხელი მოტყდება აუცილებლად“.

ზურაბ ნოღაიდელი
30 მარტი, თბილისი

„მე გუნდის კაცი ვარ და გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად არ ვიღებ“.

ლევან გაჩეჩილაძე
30 მარტი, ტელეკომპანია „კავკასია“

ფოტო ნიკო ტარიელაძისაგან

ფოტო დავით გასხი

ფოტო დავით გასხი



ფოტო დავით გასხი

"იმელის" დანგრეული შენობა

კულტურული ძეგლის სტატუსის გარეშე დარჩენილი „იმელის“ შენობა სახურავის გარეშეც დარჩა. მონგრეულია „იმელის“ მარცხენა ფლიგელი, შენობას აღარ აქვს ფანჯრები, რის გამოც, დარჩენილი კედლებიც სველდება. შენობის საძირკველში წყალია ჩამდგარი. „თბილისის ჰამქარი“, რამდენიმე არქიტექტორი და ხელოვნებათმცოდნე შენობისთვის ძეგლის სტატუსის აღდგენას და ნგრევის შეჩერებას მოითხოვენ. მათი თქმით, სამშენებლო კომპანიას შენობის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა მერიისთვის არ წარუდგენია. მშენებლობას აწარმოებს კომპანია „დაბი ჯგუფი“, რომელიც ამ შენობაში „კემპინსკის“ ქსელის სასტუმროს გახსნას გეგმავს.

ტელეამნისტია

რეგიონული ტელევიზიების საერთო ვალი ფინანსური ამნისტიით გათვალისწინებული თანხის უმცირეს ნაწილს შეადგენს.

ანიტა თვაური

მთავრობის მიერ წარდგენილი კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს მასშტაბით მაუწყებელ ტელეკომპანიებს დაახლოებით 36 მილიონი ლარის დავალიანება ჩამოეწერებათ. 17 რეგიონულ ტელევიზიას საგადასახადო ვალი არ აქვს. რვა რეგიონული ტელეკომპანიის საერთო დავალიანება კი ორ მილიონს არ უნდა აღემატებოდეს. გამოდის, რომ საგადასახადო ვალის დიდი ნაწილი ნაციონალურ ტელევიზიებს აქვთ. თუმცა, 26 თებერვალს პარლამენტში ამნისტიის ინიციატივით გამოსვლისას პრეზიდენტმა მხოლოდ რეგიონული არხების მძიმე ფინანსურ მდგომარეობაზე ილაპარაკა.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე ზვიად კუკავა ამნისტიის მთავარ მოტივად მედიის ხელშეწყობას ასახელებს. „ტელევიზიების მაუწყებლობის შეწყვეტა არის უფრო მეტი ზიანის მომტანი სამოქალაქო საზოგადოებისთვის, ვიდრე მათ მიერ დაგროვილი ვალების გადაუხდელობა“, – ამბობს იგი. მისივე შეფასებით, ამნისტიას თან ახლავს რისკი, რომ ვალების ჩამოწერა კეთილსინდისიერი გადამხდელის უკმაყოფილებას გამოიწვევს და მცდარ მოლოდინებს შეუქმნის ტელევიზიის მფლობელებს, რომ მათ ვალებს მომავალშიც „აპატიებენ“.

უკმაყოფილება ამნისტიის გამო ტელეკომპანია „კავკასიის“ ხელმძღვანელმა ნინო ჯანგირაშვილმაც გამოთქვა. „გამოდის, რომ ჩვენ, პატიოსანი გადამხდელები ამ ქვეყანაში ვართ გერები, ისინი კი – ხელისუფლების ფავორიტები, მე აღმოვჩნდი იდიოტი, რომ ვიხდიდი გადასახადებს?!“ – აცხადებს ნინო ჯანგირაშვილი გაზეთ „კვირის ქრონიკასთან“ საუბრისას. ტელეკომპანია „მაესტროს“ და „კავკასიის“ წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ მათ საგადასახადო ვალები არ აქვთ.

სამაუწყებლო კომპანია „ჰერეთის“ გენერალური დირექტორი რამაზ სამხარაძე ამნისტიას ხელისუფლების წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად აფასებს. „თუ ამნისტია მედიის ხელშეწყობას ისახავს მიზნად, მასში რატომ ვერ მოხვდა რადიო, სააგენტოები და პრესა?“ – კითხულობს რამაზ სამხარაძე. მისი აზრით, ყველა ტელევიზიის ვალების დაგროვების მიზეზი შესასწავლია. „რამდენადაც მე მაქვს ინფორმაცია, ეს ტელევიზიები ფინანსდებიან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან. მათ აქვთ ხელშეკრულებები ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან, სადაც პირდაპირ წერია, რომ გარკვეული გადაცემების სანაცვლოდ, მიიღებენ თანხას. საინტერესოა, მაშინ როცა ტელევიზიის თანამშრომლები სახელმწიფოსგან იღებენ ხელფასს, რატომ არ იხდიან გადასახადებს?“ – ამბობს რამაზ სამხარაძე.

გაზეთ „რეზონანსის“ მთავარი რედაქტორი ლაშა ტუღუში ამნისტიას მიიჩნევს მედიის თავისუფლად განვითარებისთვის საჭირო, მაგრამ არამთავარ ნაბიჯად. „მედიის პრობლემების მოგვარებას ყოველმხრივი მიდგომა სჭირდება, ეს ამნისტია მხოლოდ ერთი ნახვრეტის ამოქოლვას ჰგავს, არადა წყალი ბევრი ნახვრეტიდან შემოდის“, – ამბობს ლაშა ტუღუში. მისი აზრით, მედიის განვითარებისთვის ხელისუფლებამ თავად უნდა თქვას უარი იმ ბერკეტებზე, რომლითაც მუდმივად ახდენს ზეგავლენას მასზე; სარეკლამო ბაზარი უნდა გათავისუფლდეს პოლიტიკური გავლენებისგან და გამჭვირვალე გახდეს ტელეკომპანიების ხელმძღვანელების ვინაობა და მათი დაფინანსების წყაროები.

მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ნაციონალურ მაუწყებელს საჯაროდ არ უთქვამს, აპირებს თუ არა ფინანსური ამნისტიით სარგებლობას, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გიორგი ახვლედიანი პრეზიდენტის ინიციატივას ხელისუფლების ინტერესების შესაბამის ნაბიჯად აფასებს. „ჩვენ გვაქვს ეჭვი, რომ ხელისუფლება ამ გზით ცდილობს, თავის მიერ კონტროლირებადი ნაციონალური მაუწყებლების საქმეც მოაგვაროს. არავინ იცის, საიდან წარმოშობილ დავალიანებებზეა საუბარი“, – ამბობს გიორგი ახვლედიანი.

მედიაექსპერტ ია ანთაძის აზრით, ეს ამნისტია კიდევ უფრო გაზრდის ხელისუფლების გავლენას საერთო ნაციონალურ მაუწყებლებზე. „ვალის პატიება ნიშნავს იმას, რომ ტელევიზიები ხვალ და ზეგ კიდევ უფრო მეტად იქნებიან დავალებულები იმ ადამიანებისგან, ვინც მათ ეს ვალი აპატია, პროპაგანდისტული ნაკადი კი ამ ტელევიზიებში კიდევ უფრო გაძლიერდება“, – ამბობს ია ანთაძე.

ამ კანონპროექტზე მუშაობა პარლამენტში მომავალი კვირიდან დაიწყება. კიდევ ერთი კანონპროექტი, რომელსაც პარლამენტი განიხილავს, ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ წარადგინა. ამ კანონპროექტის მიხედვით, ვალები მხოლოდ რეგიონულ ტელევიზიებს უნდა ჩამოეწეროთ და შეწყდეს ვალებთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი დევნა.

საბადასახადო დავალიანების მქონე ჰებიონული ტელეკომპანიების პიასხული ჩამონათვალი

„თრიალეთი“
შიდა ქართლი – 45 ათასი ლარი
„რიონი“
იმერეთი – 1 მილიონი ლარამდე
„25-ე არხი“
აჭარა – 277 547 ლარი
„ბურჯაანი“
კახეთი – 12 ათასი ლარი
„თანამგზავრი“
კახეთი – 30 ათასი ლარი
„ბურია“
გურია – 157 ათასი ლარი
„მადი“
გურია – 100 ათას ლარამდე

ინფორმაციის წყარო: *ჩამოთვლილი რეგიონული ტელეკომპანიების წარმომადგენლები.*

მომხრე
ზვიად არჩუაძე
ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსი



დაეხმარება თუ არა მერის ჰრობლემა - ინგლისურის და კომპიუტერის უფასო კურსები, მოქალაქეებს დასაქმებაში?

დედაქალაქის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შესაბამისად, თბილისელები ქალაქის განვითარების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენენ. ამიტომ ჩვენ ხელს ვუწყობთ და თვითონაც ვახორციელებთ თბილისელების კვალიფიკაციის ამაღლების, ახალი კვალიფიკაციის მიღების, საჭირო უნარ-ჩვევების შეძენასთან დაკავშირებულ პროგრამებს; ვეხმარებით მსურველებს, იყვნენ კონკურენტუნარიანი ბაზარზე. კომპიუტერის და ინგლისური ენის უფასო პროგრამა ამ ხედვის ნაწილია.

დღეს სულ უფრო მეტი სპეციალობის ადამიანებისაგან თხოულობენ დამსაქმებლები კომპიუტერისა და ინგლისურის ცოდნას. ახალი ტექნოლოგიები, ახალი სპეციალობები, რომელიც დღეს ჩვენს ბაზარზე შემოდის, ინგლისურის და საინფორმაციო ტექნოლოგიების ელემენტარულ ცოდნას მაინც მოითხოვს. ჩვენ გვინდა, თბილისელებმა შეინარჩუნონ ასეთი სამსახური, ან კიდევ კონკურენტუნარიანნი იყვნენ მისი მიღების მცდელობისას.

ტურიზმი საქართველოს განვითარების პრიორიტეტული მიმართულებაა. თუ მარტო შიდა ტურიზმზე არ ვართ ორიენტირებულები, მაშინ უცხოელ ტურისტებთან საურთიერთოდ გვჭირდება ხალხი, ვინც ინგლისურად ლაპარაკობს. ინგლისური უნდა იცოდეს არა მარტო სასტუმროს თანამშრომელმა, არამედ აეროპორტის თანამშრომელმა, მებაჟემ, ტაქსის მძღოლმა, გამყიდველმა, მომსახურების სექტორში მომუშავეებმა; ჩვეულებრივმა მოქალაქემ, რომელთანაც შეიძლება კონტაქტი მოუწიოს სტუმარს თუნდაც ქუჩაში.

ჩვენი პროგრამის მონაწილეს, კურსის დამთავრების შემდეგ მაღალ დონეზე არ ეცოდინება ენა, მაგრამ ძალიან მარტივ, სასაუბრო ინგლისურს 36 გაკვეთილში თავისუფლად ისწავლიან მსურველები; დარწმუნებული ვარ, ამ პროექტის კომპიუტერის შემსწავლელი კურსების მონაწილეებიც 12 გაკვეთილში შეძლებენ საჭირო ცოდნის მიღებას. ორივე შემთხვევაში, ჩვენ ამის ყველანაირ პირობას ვქმნით.

არსებულ სამუშაო ადგილებზე ინგლისურისა და კომპიუტერის კურსდამთავრებულების დასასაქმებლად ინფორმაცია მათ შესახებ განთავსდება მონაცემთა ბაზაში, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება დასაქმების სააგენტოებისა და დამსაქმებლებისათვის. თავს მოვუყრით ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ და განვათავსებთ მას ჩვენს ვებგვერდზე. კურსდამთავრებულებს დავუგზავნით ამ ინფორმაციას ელექტრონული ფოსტით. ვისაც არ აქვს ინტერნეტთან წვდომის საშუალება, ამ ინფორმაციის მიღება ჩვენთან შეეძლება.

გარდა იმისა, რომ ჩვენ დავეხმარებით კურსდამთავრებულებს სამუშაოს მოძებნაში, მათ მივცემთ სპეციალურ ცოდნას, რათა თვითონ შეძლონ ამის კეთება, დავეხმარებით CV-ის მომზადებასა და გასაუბრების გავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაში.

კარგად გვესმის, რომ ახალი სამუშაო ადგილები უცბად ვერ შეიქმნება. ეს შრომატევადი სამუშაოა, რომელსაც დრო, კრეატიული აზროვნება და ბიზნესის ჩართულობა სჭირდება. ახალი სამუშაო ადგილების შექმნა თბილისის მერიის მთავარი პრიორიტეტია, თუმცა მათი დიდი ნაწილი კერძო სექტორში უნდა შეიქმნას. ბიზნესის ხელშესაწყობად კი თბილისის მერიას შესაბამისი პროგრამები აქვს. თუმცა, გასაკეთებელიც კიდევ ბევრია.

ილუსტრაცია თბილისი ნალარეთველი / წიგნის სანლლოსანი

მოწინააღმდეგე
იაგო კაჭკაჭიშვილი
სოციოლოგი

ჩემი შეფასებით, თბილისის მერიის მიერ წამოწყებული სოციალური პროექტი, კომპიუტერული პროგრამებისა და ინგლისური ენის უფასო სწავლების შესახებ, წმინდა წყლის წინასაარჩევნო PR კამპანიის ნაწილია, ხოლო, უმუშევრობის დაძლევის თვალსაზრისით, ამ პროექტს პრაქტიკულად ნულოვანი ეფექტი ექნება.

ამ პროექტთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხი იკვეთება:

ა) არის თუ არა დღეისათვის კომპიუტერული პროგრამებისა და ინგლისური ენის საბაზისო ცოდნა საკმარისი პირობა (ვიზა) დასაქმებისათვის?

ბ) ის დრო, რომელიც კომპიუტერული პროგრამებისა და ინგლისური ენის სწავლებას ეთმობა, რა დონის (ხარისხის) ცოდნის შეძენისთვის არის ეფექტური?

გ) რამდენად დაცულია მოქალაქე, რომ, სულ მცირე, შეინარჩუნოს მიღებული ცოდნის დონე, ან, მით უფრო, გაიღრმავოს იგი?

90-იანი წლების დასაწყისში საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას თავისუფლად შეეძლო დაექირავებინა ინგლისური ენის კარგი მცოდნე, თუმცა – არა მოთხოვნილი დარგის სპეციალისტი. იმ დაშვებით, რომ პროფესიულ ცოდნას ეს ადამიანი ადგილზე, პრაქტიკული გამოცდილების პროცესში შეიძენდა. დღეს ყურადღება უკვე პროფესიულ უნარ-ჩვევებზე, ანუ აპლიკანტის დარგობრივ კვალიფიკაციაზეა გადატანილი; ანუ ინგლისური ენისა და კომპიუტერის საოფისე პროგრამების ცოდნა აღარ არის დასაქმებისთვის კონკურენციის „სიმძიმის ცენტრი“. დღეს ეს ცოდნა აპლიკანტის პორტფოლიოს აუცილებელ, მაგრამ რიგით ნაწილად იქცა.

რაც შეეხება საკითხს, რა დონის ცოდნის შეძენისთვის არის ეფექტური ის დრო, რომელიც კომპიუტერული პროგრამებისა და ინგლისური ენის სწავლებას ეთმობა. სავარაუდოდ, ამ კურსებს იმ ადამიანებმა უფრო მიაკითხეს, ვისაც პრაქტიკულად არ ჰქონდა არც ინგლისური ენის და არც კომპიუტერული პროგრამების არანაირი ცოდნა. ინგლისური ენის მაქსიმუმ 3-თვიანმა და კომპიუტერის რამდენიმეკვირიანმა კურსებმა, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება დაწყებითი ან საშუალოზე დაბალი ცოდნა უზრუნველყოს.

ამასთან, უცხო ენის შესწავლა უწყვეტი პროცესია, რომელსაც თან უნდა ახლდეს შეძენილი ცოდნის აქტუალიზაცია (განახლება) პრაქტიკაში. თვითაქტიურობას, უცხო ენის შესწავლის ან გაღრმავების თვალსაზრისით, მხოლოდ ცალკეული, ძალზე მოტივირებული ადამიანები მიმართავენ. იმ ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა, რომლებიც მერიის მიერ შეთავაზებული კურსების მომხმარებელია, უცხო ენის სწავლას ვერც თვითაქტიურობის და ვერც, მით უფრო, მასწავლებლის დაქირავების ხარჯზე ვერ შეძლებს. ყველაფერი ეს აჩენს იმის სერიოზულ საფრთხეს, რომ სერტიფიცირებული ადამიანების ძირითად ნაწილს სიტუაციურად შეძენილი ცოდნა დაეკარგება.

მაშასადამე, შეგვიძლია, საბოლოო ჯამში, დავასკვნათ: იქიდან გამომდინარე, რომ ა) ინგლისურის და კომპიუტერის ცოდნა აღარ წარმოადგენს კონკურენციის „სიმძიმის ცენტრს“; ბ) აღნიშნული კურსების მსმენელები ძირითადად საბაზისო უნარ-ჩვევებს შეიძენენ; გ) ამ ადამიანებს არ ექნებათ იმის შესაძლებლობა, რომ მიღებული ცოდნა პრაქტიკულად განიმტკიცონ, უნდა ვივარაუდოთ, რომ თბილისის მერიის მიერ დატრენინგებული ადამიანები, სულ მინიმუმ, ისეთივე მოწყვლადნი დარჩებიან შრომის ბაზარზე, როგორებიც მანამდე იყვნენ.

თუმცა, აქ გასათვალისწინებელია კიდევ ერთი საფრთხე: იმ ადამიანებს, რომლებსაც მერიის სერტიფიკატებს გადასცემენ, გაუჩნდებათ გაძლიერებული ამბიცია, რომ ისინი სხვებზე მეტად იმსახურებენ დასაქმებას. შესაბამისად, ამ ადამიანებს გაეზრდებათ სამსახურის დაწყების მოლოდინი – თანაც იმ სფეროებში და იმ პოზიციებზე, რომლებიც ფიზიკურ შრომას არ გულისხმობს. როდესაც დატრენინგებული ადამიანები ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩენენ, რომ მაღალ (პირობითად, საოფისე) პოზიციებზე მათი დასაქმების ამბიციები უნიადაგოა, ხოლო მათი მოლოდინი – არაადეკვატური, ეს კიდევ უფრო გაზრდის ფრუსტრირებულ და მარგინალიზებულ ადამიანთა ისედაც დიდ ფენას, რაც უთუოდ გახდება სხვადასხვა ტიპის უკმაყოფილებების მაპროვოცირებელი ფაქტორი.

ქორეოგრაფია

ვისაც ქართული ცეკვა უნახავს, ყველა აღიარებს, რომ ის ერთ-ერთი საუკეთესო ქორეოგრაფიულად შეთანხმებული ადამიანური ქმედებაა. რა კარგი იქნება, თუ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციაც ასე ქორეოგრაფიულად იქნება მოწესრიგებული.

მარკ მალენი

არჩევნებზე მუნიციპალური მთავრობის ყურადღება ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისკენ არის ხოლმე მიპყრობილი. თბილისი ახლა სწორედ ისეთი შეკეთების პერიოდს გადის, რომელიც არ გვინახავს... ბოლო არჩევნებიდან მოყოლებული. ეს ბუნებრივიცაა და ყველა ქვეყანაში ასეა. ასევე, სასიამოვნო სანახავია თუმცა არცთუ სახარბიელო, რომ ყველა სარემონტო სამუშაო ერთდროულად მიმდინარეობს არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე. ეს ხელს უშლის მათ შორის შეთანხმებას. ქუჩებში მოძრაობა გაცილებით უფრო ძნელი ხდება, რადგან ერთდროულად ბევრი ქუჩის შეკეთება მიმდინარეობს, და მანქანებით სასიარულოდ ცოტა ადგილი რჩება.

წყალი, ელექტროენერგია და გაზი ახლა თითქოს ისე მიდიმოდის, როგორც ეს შევარდნაძის პერიოდში იყო. მნიშვნელოვანი იქნებოდა წინასწარ ისეთი გეგმის არსებობა, რომელშიც განსაზღვრული იქნება, თუ როდის უნდა შეკეთდეს კონკრეტული ქუჩა და რომელ ქუჩაზე გადანაწილდება მანქანების მოძრაობა, იმისათვის, რომ ორივე ქუჩის შეკეთება ერთდროულად არ დაიწყოს. იქიდან გამომდინარე, რომ წყლისა და ელექტროენერგიის მოხმარება დღის განმავლობაში ერთი სიხშირით არ ხდება, უფრო მეტი დროის დახარჯვითა და თანამშრომლობით, სავსებით შესაძლებელია, რომ მუნიციპალური მომსახურებისას კერძო მომხმარებლები არ შეიზღუდონ.

■ როდესაც სამუშაოების კოორდინირება არ ხდება, ერთი რამის შეკეთება ხანდახან მეორე რამის დაზიანებას იწვევს. იმათ, ვინც ქუჩების შეკეთებით არიან დაკავებულები, ხანდახან ჰგონიათ, რომ თუ წყლის ან გაზის მილებს დააზიანებენ, მათი პრობლემა არ იქნება.

დაგეგმვის მთავარი პრობლემა ის არის, რომ გაუთვალისწინებელი შედეგები და კომუნიკაცია სხვადასხვა აღმასრულებელს შორის, ნაჩქარევად საქმის კეთება ამ კომუნიკაციას აზიანებს. მაშინ, როდესაც საბოლოო ვადები ძალიან ახლოს არის, გამოსავალია ერთ კონკრეტულ საქმეზე კონცენტრირება და ხმაურის უგულებელყოფა. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს ხმაური უბრალოდ ხმაურია, სხვა შემთხვევებში კი ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან არის დაკავშირებული, რაც სიჩქარეში გამორჩათ. მთავარი უბედურება, რომელიც შეიძლება საქმის ნაჩქარევმა კეთებამ გამოიწვიოს, უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული, და ეს ბოლო ხანებში ვიხილეთ კიდეც საქართველოში.

როდესაც სამუშაოების კოორდინირება არ ხდება, ერთი რამის შეკეთება ხანდახან მეორე რამის დაზიანებას იწვევს. იმათ, ვინც ქუჩების შეკეთებით არიან დაკავებულები, ხანდახან ჰგონიათ, რომ თუ წყლის ან გაზის მილებს დააზიანებენ, მათი პრობლემა არ იქნება. ხანდახან გზასთან ერთად ელექტროსადენები და წყლის მილებიც შეკეთებას საჭიროებს, მაგრამ არც ამას აქცევენ ყურადღებას და ორი თვის შემდეგ ხელმეორედ უწევთ შეკეთებული გზის აყრა წყლის მილების გამოსაცვლელად.

ამ პროექტებზე მუშაობას თუ უფრო მეტ დროს დაუთმობენ, მოსახლეობაც ჩართული იქნება. შეუძლიათ ხალხი გააფრთხილონ, თუ რის გაკეთებას აპირებენ, მძღოლები ახალ მარშრუტებს დაგეგმავენ, ადმინისტრაციის მოხელეები დაადგენენ იმ პრობლემებს, რაც უნდა გაითვალისწინონ, და ყველას ეცოდინება, თუ რა ლოგიკაა კონკრეტული საქმიანობის მიღმა.

არჩევნების შემდეგ სარემონტო სამუშაოები შეიძლება გაუთვალისწინებლად შეფერხდეს, რადგან თანხებს სხვა მიმართულებით გადაისვრიან ხოლმე. ხანდახან სამუშაოები შუა გზაზეც კი ჩერდება და შემდეგ ნელა ახლდება. ნახევრად შეკეთებული ინფრასტრუქტურა არჩევნების შემდეგ არა მხოლოდ გულდასაწყვეტი ამბავია, არამედ დემოკრატიისთვისაც გარკვეული უარყოფითი შედეგების მომტანი. ადამიანები იფიქრებენ, რომ დემოკრატია თავისი არსით ფარისევლობაა, ეს კი არავის გვინდა.

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიამ

ხობოს იხარჯება თბილისის ბიუჯეტი წინასაარჩევნოდ?

მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ფონზე ადმინისტრაციული რესურსების წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოყენება განსაკუთრებით აქტუალური ხდება. არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ხელისუფლება მომეტებულად იწყებს ხალხზე ზრუნვას, რაც საბიუჯეტო პრიორიტეტებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“

რას ნიშნავს საბიუჯეტო თანხების წინასაარჩევნო მიზნებისთვის გამოყენება? თუ „ღია საზოგადოების ინსტიტუტის“ მიერ მომზადებულ სახელმძღვანელოს – „საარჩევნო კამპანიის დაფინანსების მონიტორინგს“ დავეყრდნობით, ვნახავთ იმის მაგალითებს, თუ როგორ ხორციელდება წინასაარჩევნო პერიოდში დაუგეგმავი სოციალური ინიციატივები და პროგრამები. მათ შორის – საჯარო მოხელეთა ხელფასების მატება, პენსიების გაზრდა, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ან სხვა საზოგადოებრივ მომსახურებაზე შეღავათების დაწესება.

თბილისის 2010 წლის ბიუჯეტი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დედაქალაქისთვის გამოყოფილი ტრანსფერი სიდიდით თბილისის, როგორც თვითმმართველი ქალაქის, ისტორიაში უპრეცედენტოა. მიმდინარე წლის ბიუჯეტი, გასულ წელთან შედარებით, დაახლოებით 84 მლნ. ლარით არის გაზრდილი და ჯამში 570,8 მლნ ლარს შეადგენს. 410 თანამშრომლით გაიზარდა მერიასა და საკრებულოში დასაქმებულთა რიცხვი, ხოლო სახელფასო ფონდის ზრდამ 5,5 მლნ. ლარი შეადგინა.

ეს ზრდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს პრეზიდენტის არაერთხელ გახმოვანებული ინიციატივის – ე.წ. „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკის ფონზე, რაც ბიუროკრატიული აპარატის და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას ითვალისწინებს. თუ სხვა საჯარო დაწესებულებებმა, მათ შორის სამინისტროებმა, შეამცირეს სამუშაო ადგილები და სახელფასო ფონდი, მერია პირიქით მოიქცა.



ილუსტრაცია: ლოლა კირკესელი / წყაროს: საბელოტანი

ლიბერალი

გამოიწერეთ ჟურნალი ლიბერალი

ბეჭდური ვერსია
12 ნომერი – 3 თვე
22 ლარი

24 ნომერი – 6 თვე
45 ლარი

48 ნომერი – 1 წელი
90 ლარი

PDF ვერსია
12 ნომერი – 3 თვე
13 ლარი

24 ნომერი – 6 თვე
25 ლარი

48 ნომერი – 1 წელი
50 ლარი

ჟურნალის გამოსაწერად
დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
23 37 31, (899) 48 62 41
ან მოგვაწოდეთ თქვენი
საკონტაქტო ინფორმაცია
ელ-ფოსტით: info@liberali.ge

თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, 2010 წლის პირველი მარტიდან დედაქალაქში რეგისტრირებული პენსიონერების პენსიები 10 ლარით გაიზარდა. ეს დანამატი თბილისის მერიის ბიუჯეტიდან ფინანსდება, რისთვისაც 19,9 მლნ. ლარია გამოყოფილი. სხვა ადგილობრივ თვითმმართველობებში მსგავსი ინიციატივები არ განხორციელებულა.

მერიის ინიციატივით და დაფინანსებით პენსიების ზრდა, ერთი მხრივ, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონს ეწინააღმდეგება, რომლის თანახმადაც, პენსიის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი (ამასთან, საპენსიო პოლიტიკა თვითმმართველობის კომპეტენციას არ განეკუთვნება) და მეორე მხრივ, იმ პენსიონერების მიმართ, რომლებიც თბილისში არ არიან რეგისტრირებულები, დისკრიმინაციულია.

ყველა პენსიონერისთვის, იმის მიუხედავად, თუ რა შემოსავალი აქვთ მათ ოჯახებს, ამ ტიპის სოციალური დახმარებების გაწევა საქართველოს ხელისუფლების მიერ 2006 წელს განხორციელებულ სოციალური დახმარების რეფორმას ეწინააღმდეგება. რეფორმის საფუძველზე სოციალური დახმარების გაცემის კრიტერიუმად არა ცალკეული კატეგორიები, მაგალითად – პენსიონერები, მარტოხელა დედები, უნარშეზღუდული პირები, ომის ვეტერანები და ა.შ. განისაზღვრა (როგორც ეს წინა ხელისუფლების დროს იყო), არამედ ის, თუ რამდენად უჭირდათ ოჯახებს და რამდენად აუცილებელი იყო მათთვის სახელმწიფოს დახმარება (იმის მიუხედავად, იყვნენ თუ არა მათ წევრებს შორის ომის ვეტერანები, პენსიონერები და ა.შ.).

თბილისის 2010 წლის ბიუჯეტი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დედაქალაქისთვის გამოყოფილი ტრანსფერი სიდიდით თბილისის, როგორც თვითმმართველი ქალაქის, ისტორიაში უპრეცედენტოა.

ასეთივე გადაწყვეტილება თბილისის მერიამ 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინაც მიიღო. მაშინ მან თბილისში რეგისტრირებულ პენსიონერებს პენსია 5 ლარით გაუზარდა.

თბილისის მერიის კიდევ ერთი ახალი დადგენილებით, დედაქალაქში მცხოვრებ 167 271 პენსიონერს სატრანსპორტო პერსონალური ბარათი დაურიგდა, რაც მათ საშუალებას აძლევს, საზოგადოებრივი ტრანსპორტით – მეტროთი და ავტობუსით – შეღავათიან ფასად იმგზავრონ. ბიუჯეტიდან ამისთვის 3,5 მლნ. ლარი გამოიყო.

გარდა ამისა, მერიის ინიციატივით, ყველა კატეგორიის პენსიონერს მედიკამენტების შესაძენად 25-ლარიანი ვაუჩერი გადაეცა, რაზეც დედაქალაქის ბიუჯეტიდან 4 მლნ. ლარი დაიხარჯა. მედიკამენტებისთვის ვაუჩერები პენსიონერებს 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის და 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წინაც დაურიგდათ. 2007 და 2009, არასაარჩევნო წლებში მსგავსი ვაუჩერები არ ყოფილა.

სოციალური დახმარების ეს სისტემა დღესაც მოქმედებს და მის მთავარ პრინციპს – დახმარების საჭიროების და არა კატეგორიების საფუძველზე გაცემას – როგორც ხელისუფლებაში, ისე მის გარეთ კვლავაც ბევრი მომხრე ჰყავს. ამის მიუხედავად, თბილისის მერია ახორციელებს სოციალურ პროგრამებს, რომლებიც სოციალური დახმარების სახელმწიფო სისტემის ჩარჩოებში არ ჯდება და ამის შესახებ ცენტრალური ხელისუფლება შენიშვნას არ იძლევა.

საჯარო ფინანსების არამიზნობრივად ხარჯვის ტენდენციების დანახვა არა მარტო თბილისის ბიუჯეტშია შესაძლებელი. მთავარია, ჩვენ რამდენად ვხედავთ ამაში პრობლემას და რამდენად სამართლიანად მიგვაჩნია ასეთი გზებით ამომრჩევლის ხმების მოპოვება. არჩევნების ობიექტურობა და დემოკრატიულობა არა მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, რამდენად კანონიერად განხორციელდება არჩევნების დღეს კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურები, არამედ იმაზეც, თუ რამდენად გამჭვირვალედ და ობიექტურად წარიმართება წინასაარჩევნო პერიოდი.

დავითი და გოლიათი

ინტერვიუ

სტროუბ ტელბოტთან და ხავიერ სოლანასთან

„საქართველომ თავი უნდა აარიდოს რუსულ თამაშში ჩაბმას. ნუ ჩადგებით იმ პოზიციაში, რომელშიც იყო დავითი „დავითის და გოლიათის“ ამბავში. იმიტომ, რომ ამას არ ექნება ის ფინალი, რაც ბიბლიურ ამბავს აქვს“.

სტროუბ ტელბოტი და ხავიერ სოლანა, თბილისი, 30 მარტი 2010

ფოტო: ლევან ხუციშვილისა

სასიამოვნოა თქვენთან შეხვედრა და თქვენი აქ ყოფნა. ჩემი პირველი კითხვა ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკას უკავშირდება. რა ადგილი უკავია საქართველოს მასში, სად ხედავთ საქართველოს „გადატვირთვის პოლიტიკაში“?

ს.ტ. როცა ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა, რომელსაც ძალიან ინტენსიური კონტაქტი აქვს საქართველოს მთავრობასთან, „გადატვირთვის პოლიტიკა“ გამოაცხადა, თქვა, რომ აშშ ცვლის თავის პოლიტიკას რუსეთის მიმართ და რუსეთისგანაც იგივეს ელის. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რისი იმედიც აქვს ვაშინგტონს, ისაა, რომ რუსეთი შეცვლის თავის დამოკიდებულებას მეზობლების მიმართ. ეს კი უპირველესად იმის აღიარებას ნიშნავს, რომ რუსეთმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დაარღვია და სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო ანექსია მოახდინა.

ბატონო სოლანა, რამდენად კარგად არის განსაზღვრული და შეთანხმებული ამერიკის, ევროპის და რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ?

ხ.ს. აშშ-ს და ევროკავშირს საერთო მიზანი აქვთ: საქართველოს წარმატება. ბოლო ხანებში ევროკავშირმა ამ მხრივ ბევრი რამ გააკეთა. მაგალითად, გავაფორმეთ ევროკავშირის ასოციაციის შეთანხმება (European Union Association Agreement) საქართველოსთან, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი ქვეყნისთვის. ეს შეთანხმება ძალაში მუნიციპალური არჩევნების შემდეგ შევა. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია, იმისათვის, რომ ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაგეხმაროთ. და

„ვიმედოვნებ, რომ „იმედზე“ გასული ფსევდოდოკუმენტური ფილმი მხოლოდ გამონაკლისია, და არა იმის ნიშანი, რომ მსგავსი რამ კიდევ მოხდება. არსებობს მხოლოდ ერთი მხარე, რომელსაც ასეთი რამ სარგებელს მოუტანს – ეს ყველაზე რადიკალური ძალებია რუსეთში.“

ამას აშშ-ს მხარდაჭერით ვაკეთებთ. ჩვენ გვესმის, რომ „გადატვირთვის პოლიტიკა“ გულისხმობს იმის აღიარებას, რომ რუსეთი მნიშვნელოვანია ევროპელებისთვის. ვნახოთ, როგორ გამოვნახავთ გამოსავალს, გამოსავალს აშშ-ს და რუსეთს, რუსეთს და ევროპელებს და საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული პრობლემებიდან. ეს ჩვენი პოლიტიკის მიზანია.

ჩემი მეორე კითხვა ეხება ნატო-ს: როგორ ფიქრობთ საქართველოსთვის ნატო უსაფრთხოების ერთადერთი გარანტიაა, თუ არსებობს სხვა შესაძლებლობებიც, რითაც შეიძლება ქვეყნის უსაფრთხოების გაზრდა?

ხ.ს. ეს საქართველომ უნდა გადაწყვიტოს. არ მინდა, რაიმე გირჩიოთ ამ მხრივ. მაგრამ როგორც ნატო-ს ყოფილი გენერალური მდივანი, გეტყვით, რომ ქვეყანას, რომლის მიღების საკითხსაც განვიხილავთ ხოლმე, ორ რამეს ვთხოვთ: პირველი, რომ ორგანიზაციაში მიღების გარკვეულ კრიტერიუმებს პასუხობდეს, და მეორე, რომ ამ ქვეყანამაც გაიღოს წვლილი ნატო-ს უსაფრთხოების განმტკიცებაში. იმ სიტუაციაში, როგორშიც თქვენი ქვეყანა იმყოფება, ალბათ გესმით, რომ ეს არ არის

ადვილი. თუმცა, ამავე დროს, საქართველოს ექნება ახლო ურთიერთობები ნატო-სთან, ეს ურთიერთობები უკვე დამყარებულია და გრძელდება კიდეც. ნატო-ს მომდევნო სამიტი 2010 წლის ბოლოს ჩატარდება. საინტერესოა, როგორ გადაწყდება გარკვეული საკითხები, მაგრამ ახლა არ მინდა ნატო-ს სახელით ვილაპარაკო, რადგან აღარ ვარ მისი წარმომადგენელი.

ბატონო ტელბოტ, ამერიკის პერსპექტივიდანაც რომ შევხედოთ: მიიჩნევს ამერიკა, რომ ნატო საქართველოს უსაფრთხოების გაზრდის ერთადერთი საშუალებაა?

ს.ტ. ნატო არ უნდა იყოს უსაფრთხოების ერთადერთი გარანტი, რაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო გამორიცხულია ნატო-დან. ძალიან მნიშვნელოვანია, გამოინახოს ენა ნატო-ს მომავალი სამიტისთვის და სამიტის კომუნიკესთვის, რომელიც დაადასტურებს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების ლეგიტიმურ მოთხოვნას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვიცით, ზუსტად როდის მოხდება ეს. არც ჩვენ და არც თქვენ, არც საქართველოს მეგობრებს მსოფლიოში არ უნდათ, რომ ამ ხნის განმავლობაში საქართველო უსაფრთხოების ვაკუუმში იყოს, მით უმეტეს იმის გათვალისწინებითაც, რაც ამ ქვეყანამ გამოსცადა 2008 წლის აგვისტოში. საქართველოს შეუძლია გაზარდოს თავისი უსაფრთხოება იმით, რომ იყოს კარგი პარტნიორი ნატო-სთვის და აშშ-სთვის. ქართული ბატალიონის გაგზავნა ავღანეთში იმისი დასტურია, რომ თქვენ კარგი პარტნიორები ხართ. ოსტატურად უნდა მიაღწიოთ თქვენი დაძაბული ურთიერთობების მოგვარებას რუსეთთან, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ მთავარი, რასაც ხაზს გავუსვამდი ისაა, რომ საქართველომ უნდა გააგრძელოს სვლა სახელმწიფოს მართვის ფორმის, საზოგადოების, ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით. საბჭოთა კავშირის ყველა ყოფილ 12 რესპუბლიკას შორის, გარდა ბალტიის ქვეყნებისა, რომლებიც იურიდიულად და დიპლომატიურად განსხვავებულ კატეგორიაში იყვნენ, საქართველომ ძალიან მაღალი სტანდარტი დაისახა და მას მოუწევს დიდი გზის გავლა ამ სტანდარტის მისაღწევად. ჩვენ ვწერთ ამ ინტერვიუს ამერიკის საელჩოში, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ადამიანის უფლებების ანგარიშის შექმნაში. ეს ანგარიში სულ ახლახან გამოქვეყნდა და მასში აღნიშნულია ის სფეროები, რომელშიც საქართველოს შეეძლო წინ წასვლა. წინსვლა საჭიროა არა მხოლოდ იმისთვის, რომ ამერიკას ან ვინმეს ასიამოვნოთ, ეს არის ის, რასაც საკუთარი თავისთვის აკეთებთ. რაც უფრო ჯანსაღია დემოკრატია, რაც უფრო მეტია რეალურად დამოუკიდებელი ელექტრონული და ბეჭდური მედია, მაგალითად, ისეთი, როგორიც „ლიბერალია“, მით უფრო სრულყოფილია ძალაუფლების დანაწილება და უფრო ჩამოყალიბებულია მმართველობის სისტემა.

საქართველოში ბოლო ხანებში ბევრს საუბრობენ რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე და იმაზე, თუ როგორი შეიძლება იყოს ეს ურთიერთობები. რა დონეზე განსაზღვრავს ამ ურთიერთობებს პერსონალური დაპირისპირება სააკაშვილსა და პუტინს შორის? რა უნდა ქნას საქართველოს მთავრობამ, რომ ჰქონდეს რაღაც ტიპის „სამუშაო ურთიერთობა“ მაინც რუსეთის მთავრობასთან?

ხ.ს. ქვეყნებს შორის ურთიერთობები არ არის დამოკიდებული პერსონალიებზე, მათ შეიძლება ჰქონდეთ გავლენა, მაგრამ ბევრი სხვა ფაქტორიც არის გასათვალისწინებელი. და მეორე, მე ვფიქრობ, რომ უნდა შევინარჩუნოთ ჟენევის მოლაპარაკებები. ჩვენ ვიცით, რა რთული იყო მათი დაწყება და რა რთულია მათი შენარჩუნება. ეს არის ერთადერთი ადგილი ამჟამად, სადაც გარკვეული სახის კონტაქტები ხდება.

ს.ტ. ორ რამეს დავამატებ. რა თქმა უნდა, უდიდესი ბრალი მიუძღვის რუსეთს, რომელიც შემოიჭრა თქვენს ქვეყანაში, მოახდინა ტერიტორიის ოკუპაცია და გაითამაშა ამ ორი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება. თუმცა ვიმედოვნებ, რომ რუსეთი გაიაზრებს იმას, თუ რაოდენ ცოტა ქვეყანაა მსოფლიოში მზად იმისთვის, რომ შეუერთდეს მათ მიერ ამ ტერიტორიების აღიარების პროცესს. მიუხედავად ამისა, მე მგონია, რომ აფხაზეთის და სამხრეთი ოსეთის მოსახლეობებთან შერიგების პროცესში საქართველოს მაინც ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. და კიდევ ერთი, რაც მინდა, რომ ვთქვა, საქართველომ თავი უნდა აარიდოს რუსულ თამაშში ჩაბმას. იმიტომ, რომ რუსული თამაში დაფუძნებულია „მოგება-წაგებაზე“. ისინი იგებენ, შენ აგებ. საქართველო არ უნდა ჩადგეს იმ პოზიციაში, რომელშიც იყო დავითი ბიბლიური „დავითის და გოლიათის“ ამბავში. იმიტომ, რომ ამას არ ექნება ის ფინალი, რაც ბიბლიურ ამბავს აქვს. მე ძალიან ცოტა ქართული სიტყვა ვიცი, მაგრამ როდესაც საქართველოში წამოსასვლელად ვემზადებოდი, ვისწავლე ახალი ქართული სიტყვა „იმედი“. მე არ ვიცი ის ბექგრაუნდი, საიდანაც ამ არხზე გასული ფსევდოდოკუმენტური ფილმი დაიბადა, მაგრამ ეს ფაქტი იყო კატეგორიულად ნეგატიური, მათ შორის, თუ მხედველობაში მივიღებთ მასზე რეაქციებს ვაშინგტონში. ვიმედოვნებ, რომ ეს მხოლოდ გამონაკლისია, და არა იმის ნიშანი, რომ მსგავსი რამ კიდევ მოხდება. არსებობს მხოლოდ ერთი მხარე, რომელსაც ასეთი რამ სარგებლობას მოუტანს – ეს ყველაზე რადიკალური ძალებია რუსეთის ფედერაციაში.

დოქტორო სოლანა, ბატონო ტელბოტ, დიდი მადლობა ინტერვიუსთვის.

ესაუბრა გიორგი ცხადაია

სტროუბ ტელბოტი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ამერიკული კვლევითი ცენტრის, ბრუკინგსის ინსტიტუტის პრეზიდენტი. 1994-2001 წლებში იყო კლინტონის ადმინისტრაციის მაღალჩინოსანი – სახელმწიფო მინისტრის მოადგილე.

ხავიერ სოლანა – ნატო-ს ყოფილი გენერალური მდივანი 1995-1999 წლებში. ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში 1999-2009 წლებში. 2010 წლიდან ბრუკინგსის ინსტიტუტის წევრი.

"ღაჯაიბუღები" - მეოთხე სეზონი

„ალიანსი“ კიდევ ერთხელ ცდილობს, ოპოზიციური პარტიები ირაკლი ალასანიას მხარდაჭერაზე დაიყოლიოს. ერთიან კანდიდატზე შესათანხმებლად მოლაპარაკებებს სოზარ სუბარი და ლევან გაჩეჩილაძე იწყებენ.

მაია წიკლაური

ლევან გაჩეჩილაძე, ირაკლი ალასანია და ზურაბ აბაშიძე, თბილისი 2010

ფოტო: ლევან ხერგიანი

თვითმმართველობის არჩევნებამდე თვე-ნახევარი რჩება, ოპოზიციის ერთი ნაწილი კი ისევ პოლიტიკური პარტნიორების ძიებაშია.

31 მარტს „ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერის, სოზარ სუბარის განცხადებამ კვლავ დააყენა დღის წესრიგში ოპოზიციის ერთიან კანდიდატებზე შეთანხმების უიმედო იდეა.

„ალიანსი საქართველოსთვის“ თანათავმჯდომარე ფიქრობს, რომ ოპოზიცია დღეს სუსტია იმიტომ, რომ ურთიერთშეთანხმებას ვერ ახერხებს. სუბარის თქმით, ერთიანი კანდიდატის არარსებობის პირობებში, ხელისუფლების დამარცხება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

„გავლენიანი ოპოზიციური პარტიების ერთი ნაწილი არ მონაწილეობს არჩევნებში. ვინც მონაწილეობს, რამდენიმე ბანაკადაა დაყოფილი. ამას დაუმატეთ პარტიები, რომლებიც არჩევნებში ხელისუფლების დაკვეთით მონაწილეობენ, ასევე ხელისუფლების ხელთ არსებული ადმინისტრაციული რესურსები და ნათელი გახდება, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ უზარმაზარი ფორა აქვს“, – ამბობს სუბარი.

პოლიტიკური პარტიების მიერ გავრცელებული IRI-ს კვლევების მიხედვით, პარტიებს შორის რეიტინგში 36%-ით „ნაციონალური მოძრაობა“ ლიდერობს. 10% აქვს „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობას“, ხოლო 8% „ლეიბორისტულ პარტიას“. ამ მონაცემების მიხედვით, „ალიანსს“, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ ოპოზიციურ ძალად განიხილებოდა, მხოლოდ 6% აქვს. დანარჩენი პარტიების რეიტინგები 1-დან 2%-მდე მერყეობს.

ზვიად ძიძიგური, კობა დავითაშვილი და ზურაბ ნოღაიდელი, თბილისი 2010

ფოტო: ლევან ხარბედილაძე

31 მარტს „ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერის, სოზარ სუბარის განცხადებამ კვლავ დააყენა დღის წესრიგში ოპოზიციის ერთიან კანდიდატზე შეთანხმების უიმედო იდეა.

პროცენტული მაჩვენებლების გასაზრდელად სოზარ სუბარი კოლეგებს „გამარჯვების ფორმულას“ სთავაზობს. „ალიანსის“ თანათავმჯდომარე ამბობს, რომ ოპოზიციას მერობის, საკრებულოს თავმჯდომარეობის და მაჟორიტარობის ერთიანი, რეიტინგული კანდიდატები უნდა ჰყავდეს. სუბარი, რომელიც „ალიანსმა“ საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატად ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში დაასახელა, მზად არის, კანდიდატობაზე უარი თქვას. მისი აზრით, ოპოზიციურ პარტიებს შორის შეთანხმება გამარჯვების 100-პროცენტიანი გარანტია იქნება.

„სიამაყე უნდა გადავდოთ გვერდზე. მთავარია, კონსულტაციები შედგეს და საერთო გადაწყვეტილება მივიღოთ“, – ამბობს სუბარი.

„ალიანსში“, რომელიც სამი დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტისგან შედგება, სუბარის პოზიციას იზიარებენ. თუმცა, „რესპუბლიკელი“ დავით უსუფაშვილი მთელი გუნდის სახელით მოლაპარაკებების წინაპირობას მაინც აყენებს: „გამარჯვების ფორმულა ყველაზე ძლიერი ოპოზიციური კანდიდატის – ირაკლი ალასანიას გარშემო ოპოზიციური ძალების გაერთიანებას გულისხმობს. სანაცვლოდ, მზად ვართ, საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატი სხვა ოპოზიციური ჯგუფიდან იყოს“.

სუბარის პოზიციას იზიარებს „ეროვნული საბჭო“ (კონსერვატორები, „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ და „ხალხის პარტია“). ისინი მზად არიან, ოპოზიციის ერთიანი კანდიდატის შერჩევაში მონაწილეობა მიიღონ, თუმცა ყოველგვარი წინაპირობების გარეშე – ალასანია მათთვის მერობის უპირობო კანდიდატი სულაც არ არის.

კიდევ ერთი დაბრკოლება, რამაც, შესაძლოა, ხელი შეუშალოს ოპოზიციის შეთანხმებას, ზურაბ ნოღაიდელია.

არათუ ზოგადად ოპოზიციაში, ნოღაიდელი თვით „ალიანსის“ შიგნითაც დღემდე აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

დავით ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ მისი პოლიტიკური ძალა ნოღაიდელთან დიალოგს არ აპირებს. თუმცა, სხვა „ალიანსელები“ – ზურაბ აბაშიძე და სოზარ სუბარი ნოღაიდელის პარტიასთან მოლაპარაკებებს არ გამორიცხავენ.

მოლაპარაკებების დამღლელი და უშედეგო პროცესი „ალიანსმა“ და „ეროვნულმა საბჭომ“ უკვე გაიარეს. ირაკლი ალასანიამ, რომელიც ამ მოლაპარაკებების ინიციატორი იყო, ვერ შეძლო საკუთარი კანდიდატურის გარშემო დანარჩენი ოპოზიციური ძალების გაერთიანება.

„მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერი ლადო ბოჟაძე ამბობს, რომ პროცესი „ახლებმა“ და „რესპუბლიკელებმა“ ჩაშალეს.

მისი თქმით, – „მათთვის ზურაბ ნოღაიდელთან თანამშრომლობა მიუღებელი იყო და ამიტომ მოლაპარაკებები ჩაიშალა“.

მისი აზრით, „ეროვნულმა საბჭომ“ ოპოზიციური ერთობის მისაღწევად ბევრად მეტი დათმო, ვიდრე „ალიანსმა“. საბჭომ გაითვალისწინა ალასანიას მოსაზრება და, პრაიმერის ნაცვლად, ერთიანი კანდიდატის შესარჩევად სოციოლოგიურ კვლევაზე დათანხმდა.

მართალია, „ალიანსის“ შიგნით პოზიციები მკვეთრად არ შეცვლილა, თუმცა კოლეგებთან სასაუბროდ „ეროვნულ საბჭოში“ ისევ მზად არიან.

მოლაპარაკებების მაგიდასთან აუცილებლად დაჯდება „დაიცავი საქართველოს“ ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე.

სოზარ სუბარის განცხადებით, გაჩეჩილაძეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი აქვს ოპოზიციური შეთანხმების მიღწევის პროცესში. „მას სერიოზული მაკოორდინირებელი და დამაბალანსებელი ფუნქციის შესრულება შეუძლია“, – ამბობს სუბარი.

რამდენიმე კვირაა, ჟურნალისტები და პოლიტიკოსები გაჩეჩილაძისგან ელიან პასუხს კითხვაზე – რას აპირებს იგი თვითმმართველობის არჩევნებისთვის – კენჭს იყრის როგორც მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი, თუ მხარს დაუჭერს სხვა ოპოზიციურ ძალას. წინასაარჩევნო პერიოდის ეს მთავარი ინტრიგა დღემდე ამოუხსნელია. თუმცა, სუბარის განცხადების შემდეგ მან საჭიროდ ჩათვალა ეთქვა, რომ არც მერის და არც საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი არ აინტერესებს.

„თუ ოპოზიცია გაერთიანდება, არჩევნებში იმ როლს შევასრულებ, რასაც ჩემი პარტნიორები ჩათვლიან საჭიროდ“, – კვლავ ბუნდოვან კომენტარებს აკეთებს გაჩეჩილაძე.

ის ამბობს, რომ დღეს მთავარია არა პარტიებს შორის იდეოლოგიური ბრძოლა, არამედ სააკაშვილის დამარცხება, რასაც, მისი აზრით, მხოლოდ შეთანხმებული ოპოზიცია შეძლებს.

გაჩეჩილაძე, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლებასთან ბრძოლის ყველაზე წარმატებული გამოცდილება აქვს, „ალიანსის“ წინასაარჩევნო კამპანიას იწუნებს და „მდორეს“ უწოდებს. თვითმმართველობის არჩევნებზე ალასანიასთან ერთად გაჩეჩილაძე მხოლოდ იმ შემთხვევაში აღმოჩნდება, თუ ალასანია ოპოზიციის ერთიანი შეთანხმებული კანდიდატი იქნება. „ცალკე ირაკლი ალასანიას მხარდაჭერას კი არ ვაპირებ“, – ამბობს იგი.

გაჩეჩილაძე მიიჩნევს, რომ სუბარის მიერ კანდიდატურის დათმობა „საქმეს არ უშველის“ – მთავარი ერთიან კანდიდატებზე შეთანხმებაა, რაც მოლაპარაკებების გზით უნდა მოხდეს ან საზოგადოებამ უნდა გამოავლინოს.

მოლაპარაკებების პროცესში მონაწილეობის მიღებას სოზარ სუბარი „ქრისტიან-დემოკრატებსა“ და „მრეწველებსაც“ სთავაზობს.

თუმცა, ამ პოლიტიკურ ძალებს, უკვე კარგა ხანია, მერობის საკუთარი კანდიდატები ჰყავთ და საარჩევნო კამპანიაც დაიწყეს. ისინი „არ აპირებენ დროის დაკარგვას ოპოზიციურ მოლაპარაკებებში“.

ოფიციალურად, მერობისა და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაციის ვადა 30 აპრილს იწურება. შეთანხმების მისაღწევად ოპოზიციას თვეზე ნაკლები რჩება. მერობის ერთიანი ოპოზიციური კანდიდატის ძიების პროცესი ლამის გასული წლის ზაფხულში დაიწყო. თუკი დაქსაქსულ პოლიტიკურ ძალებს აქამდე შეთანხმებაში ამბიციები უშლიდა ხელს, შესაძლოა, ცაიტნოტმა, რომელშიც დღეს ოპოზიცია იმყოფება, მათი გაერთიანების საკითხი გადაწყვიტოს.

სტატიის მომზადებაში მონაწილეობა მიიღო ნინო გოგუამ

თვითმმართველობა სიფხიზეში

ამონარიდები „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშიდან „ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის“

2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში ავტონომიური რესპუბლიკებისთვის და ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის, ტრანსფერების სახით, 836,9 მლნ. ლარია გათვალისწინებული, რაც წინა წლის ტრანსფერებს 214,4 მლნ. ლარით (34%-ით) აღემატება. ამ მოცულობის ტრანსფერები თვითმმართველობებს მთელი არსებობის მანძილზე არ მიუღიათ. ასევე უპრეცედენტოა თბილისისთვის გამოყოფილი ტრანსფერი და მთლიანად თბილისის წლევანდელი ბიუჯეტი. თბილისმა, გამოთანაბრებითი ტრანსფერის სახით, წელს 323 მლნ. ლარი მიიღო. ეს თანხა ყველა თვითმმართველობებისათვის გათვალისწინებული გამოთანაბრებითი ტრანსფერების 61,8%-ს შეადგენს. საერთო ჯამში, დედაქალაქის ბიუჯეტი 2010 წელს 570,8 მლნ. ლარია.

თბილისის 2010 წლის თავდაპირველი, 2009 წლის 28 დეკემბერს დამტკიცებული, ბიუჯეტის ხარჯები უფრო ნაკლები იყო. 2010 წლის 22 თებერვალს ბიუჯეტში ცვლილებები შევიდა და ხარჯები 58,1 მლნ. ლარით გაიზარდა. ამ ცვლილებების საფუძველზე, მერიის მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 410-ით გაიზარდა, ხოლო სახელფასო ფონდი – 5,5 მლნ. ლარით. ასევე გაიზარდა საქონლისა და მომსახურების შესაძენად გასაწევი ხარჯების მოცულობა 34,2 მლნ. ლარით და სოციალური უზრუნველყოფა – 63,1 მლნ. ლარით.

სოციალური პროგრამების დაფინანსება

თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, 2010 წლის პირველი მარტიდან დედაქალაქში რეგისტრირებული პენსიონერების პენსიები 10 ლარით გაიზარდა. ეს დანამატი თბილისის მერიის ბიუჯეტიდან ფინანსდება, რისთვისაც მთლიანად 19,9 მლნ. ლარია გამოყოფილი. ანალოგიურად მოიქცა თბილისის მერია 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინა პერიოდშიც. მაშინ თბილისში რეგისტრირებული პენსიონერების პენსია, მერიის ინიციატივით და მისი ფინანსური მხარდაჭერით, 5 ლარით გაიზარდა.

2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით, წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციების ხარჯები. ხარჯების ზრდა, ძირითადად, მხარეების რწმუნებულების აპარატებში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას უკავშირდება, რის გამოც, სახელფასო ფონდის მოცულობამაც მოიმატა.

თბილისის მერის არჩევნები

საარჩევნო კამპანია თბილისელების ხარჯზე

ქალაქის მერი საარჩევნო კამპანიას 30 აპრილამდე სახელისუფლებო რესურსით გააგრძელებს. მას ამის უფლებას კანონი აძლევს.

მაია წიკლაური

გიგი უგულავას შეხვედრა მოსახლეობასთან, თბილისი, ვარკეთილი, 31 მარტი 2010

ფოტო: ალბერ ფაცაცია

„საერთაშორისო გაჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშმა, რომელიც გასულ კვირას გამოქვეყნდა, კიდევ უფრო გაამყარა ეჭვების იმის თაობაზე, რომ დედაქალაქის მოქმედი მერი ამ პოსტის შესანარჩუნებლად ადმინისტრაციულ რესურსს იყენებს და, უკვე დიდი ხანია, არაოფიციალურად ჩართულია წინასაარჩევნო კამპანიაში.

თბილისის მერის პოსტზე „ნაციონალური მოძრაობის“ ოფიციალური კანდიდატის დასახელება კიდევ ერთი თვით გადაიდო.

18 მარტს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ განაცხადა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ თბილისის მერობის საკუთარ კანდიდატს 30 მარტს დაასახელებდა. თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, თბილისელებს, სავარაუდოდ, მხოლოდ 30 აპრილს ეტყვიან, ვინ იქნება მმართველი გუნდის კანდიდატი მერობის პოსტზე. თუმცა ამ ოფიციალური პროცედურის გარეშეც, ყველამ კარგად იცის, რომ ეს გიგი უგულავაა. მისი საარჩევნო კამპანიაც, რომელმაც რეალურად ზაფხულში აიღო სტარტი, ოფიციალურად სწორედ მაშინ დაიწყება.

მანამდე, მოქმედი მერი ჩვეულებრივად განაგრძობს მუშაობას. გარდა დედაქალაქის უპრეცედენტოდ გაზრდილი ბიუჯეტისა, მის შეუზღუდავ აქტივობას არსებული კანონმდებლო-

ბაც უზრუნველყოფს, რომელიც არ ავალდებულებს მას თანამდებობის დატოვებას და, შესაბამისად, ადმინისტრაციულ რესურსებზე უარის თქმას.

სავარაუდოდ, სწორედ მოქმედი მერისა და ამავდროულად მერობის კანდიდატის რანგში გახსნის იგი თბილისის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ამბიციურ პროექტს – ახალ მაგისტრალს, რომელიც ვაკე-საბურთალოს დააკავშირებს და რომლის მშენებლობის დასრულებაც მაისის ბოლოსთვის იგეგმება.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, პარლამენტარი ლაშა თორდია ამბობს, რომ საჩქარო არაფერია, თუმცა ირიბად ადასტურებს, რომ გიგი უგულავამ საარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო: „ხშირი პარტიული შეხვედრები ამომრჩეველთან არ დაგვიწყია, თუმცა ჩვენი მომავალი მერობის კანდიდატი უკვე ხალხში დადის. თანდათან გავააქტიურებთ პროცესებს“.

თუ გასულ კვირას პოლიტიკური პარტიების მიერ გავრცელებულ და ცენტრალური ტელევიზიების მიერ დღის მთავარ თემად ქცეულ IRI-ს პოლიტიკურ რეიტინგებს დავეყრდნობით, „ნაციონალურ მოძრაობას“ სანერვიულო არაფერი აქვს.

ამ რეიტინგების მიხედვით, გიგი უგულავა 35 პროცენტით უსწრებს ერთ-ერთ მთავარ ოპოზიციურ კანდიდატს – ირაკლი ალასანიას, რომელსაც გამოკითხულთა მხოლოდ 11 პროცენტი უჭერს მხარს.

„ნაციონალურ მოძრაობაში“ ამბობენ, რომ ეს კანონზომიერია და გიგი უგულავას მრავალწლიანი მუშაობის შედეგია.

თავად მერმა რეიტინგებთან დაკავშირებით მოკრძალებული სატელევიზიო კომენტარი ვარკეთილში გააკეთა, სადაც თბილისელებთან ერთად ქარსაცავი ზოლის გასამაგრებლად ხეები დარგო.

„მთავარი არ არის რეიტინგები, მთავარია რას მოითხოვს ჩემგან მოსახლეობა და რა უნდა გააკეთოს თბილისის მერმა“, – განაცხადა გიგი უგულავამ და ნერგების დარგვა განაგრძო.

30 მარტს გიგი უგულავა „ნაციონალებს“ საკუთარ კანდიდატად რომ დაესახელებინათ, ამომრჩევლებისთვის საჩუქრების გადაცემას მას კანონი აუკრძალავდა.

ფოტო: ხატია უგულავრე

აბანოთუბანი, მარტი 2010

მერი ყოველდღე ხვდება მოსახლეობას. 21 მარტს იგი ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაულზე ვეძისს ესტუმრა. დღესასწაული ადგილობრივ აზერბაიჯანელებს ტკბილეულით და საჩუქრებით მიულოცა. მოსახლეობას საგანგებოდ მოწყობილი სცენიდან მიმართა და საარჩევნო დაპირებებიც დაარიგა – პოტენციურ ამომრჩეველს 2010 წლის ბოლომდე დასაქმებისა და სამუშაო ადგილების შექმნის პირობა მისცა.

ზუსტად ერთ კვირაში გიგი უგულავამ თემქის მოსახლეობას ბზობა მიულოცა. იგი ღვთისმშობლის შობის ტაძარის მრევლს წლის ბოლომდე ბევრი პრობლემის მოგვარებას დაჰპირდა.

30 მარტს გიგი უგულავა „ნაციონალებს“ საკუთარ კანდიდატად რომ დაესახელებინათ, ამომრჩევლებისთვის საჩუქრების გადაცემას მას კანონი აუკრძალავდა. ასევე კანონი არ მისცემდა საშუალებას, როგორც მერს ისე მიეცა დაპირებები მოქალაქეებისთვის. თუმცა, 30 მარტს უგულავა კანდიდატად არ დაუსახელებიათ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ პროგრამების დირექტორი ნინა ხატისკაცი ამბობს, რომ წელს მერიის დაფინანსება 84 მილიონი ლარით გაიზარდა, რაც პირდაპირ უკავშირდება არჩევნებს.

„ამდენი პროექტი, რაც წელს ხორციელდება, მერიას ერთბაშად არასოდეს გაუკეთებია. არჩევნების წინა პერიოდში დაუგეგმავი სოციალური პროექტების განხორციელებას განვიხილავთ, როგორც ადმინისტრაციული ფინანსური რესურსების გამოყენებას“, – ამბობს ხატისკაცი.

თუმცა, იგი აქვე აღნიშნავს, რომ რეალურად, უგულავას ქმედებებში კანონსაწინააღმდეგო არაფერია.

მისი თქმით, არსებული კანონმდებლობის პირობებში, მხოლოდ სახელისუფლებო კანდიდატის კეთილ ნებას შეუძლია ჩააყენოს იგი სხვა კონკურენტებთან თანაბარ პირობებში.

საარჩევნო კანონმდებლობას კარგად იცნობს „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც პარლამენტში აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს.

„ჩვენ კარგად გვესმის, რომ კანდიდატად დასახელების შემდეგ გიგი უგულავას აღარ ექნება მნიშვნელოვანი პროექტების დაწყების უფლება, ვეღარ მოაწერს ხელს ისეთ დოკუმენტებს, რაც შესაძლებლობას მისცემს, მოსახლეობაში აგიტაცია გასწიოს. ადმინისტრაციულ რესურსებს ჩვენ არ გამოვიყენებთ“, – ამბობს ლაშა თორდია. სწორედ ამიტომ, კანონით მინიჭებული ვადით ნაციონალები ბოლომდე ისარგებლებენ.

მიხეილ სააკაშვილი

ფოტო ზურაბ ქურციკიძე

ოპოზიციის საპროტესტო მსვლელობა, 9 ივნისი 2009

საუბრები ლიბერალიზმზე

თვალსაზრისი

ჩახეტილი წრე

ყველაფრის მხოლოდ საზოგადოებისთვის ან მხოლოდ ხელისუფლებისთვის დაბრალება სიტუაციის გამარტივებაა, რაც ხშირად რეალურ პრობლემებზე თვალის დახუჭვას გულისხმობს.

გიორგი ცხადაია

ქართულ ტელეარხებზე და ვირტუალურ სივრცეზე (ძირითადად, ფეისბუქზე და თბილისის ფორუმზე) დაკვირვებამ, ასევე პირადმა ურთიერთობებმა პოლიტიკური მოსაზრებების კატეგორიზების სურვილი გამიჩინა.

კატეგორიზების საფრთხეებზე ყველას კარგად მოგვეხსენება – თავისუფალი სივრცე შეიძლება იმდენად დავყოთ, რომ განსხვავებებისთვის ადგილი აღარ დარჩეს; ამავე დროს, ეს არ ნიშნავს, რომ კატეგორიზაცია ნებისმიერ შემთხვევაში მავნებელია. ფრანგი ფილოსოფოსი ალექსის დე ტოკვილი ამბობდა, – „შედარების გარეშე, გონებამ არ იცის, საით წარიმართოს“. კატეგორიები იმაში გვეხმარება, რომ პოლიტიკური შინაარსის იდეები გამოვყოთ და შემდეგ ისინი ერთმანეთს შევადაროთ.

ბოლო ორი წლის მანძილზე, 2008 წლის 7 ნოემბრიდან მოყოლებული პოლიტიკაში რადიკალიზმი და ზომიერება ერთმანეთს განსაკუთრებული აქტიურობით ენაცვლება (თუმცა ჩვენ რადიკალიზმი უფრო გვამახსოვრდება ხოლმე). დაპირისპირება ძირითადად ორ ბანაკს შორის მიმდინარეობს: ერთმანეთს ოპოზიციური და პროსახელისუფლებო განწყობების მქონე ადამიანები ეწინააღმდეგებიან.

პოლიტიკური პროცესის მსგავსი გამარტივება და მხოლოდ ორ პოლუსზე დაყვანა იდეების შედარების პროცესს უფრო ამარტივებს, მაგრამ ამავე დროს გაცილებით უფრო საშიშსაც ხდის. რადიკალური შემთხვევებისგან თავის დაღწევის ნაცვლად, მათი გამყარების ალბათობა იზრდება. მეორე მხრივ, თავის დაღწევა შეუძლებელია არსებული სიტუაციის აღწერის გარეშე.

საქართველოში პოლიტიკური შეხედულებების კატეგორიზაცია ბევრი სხვადასხვა გზით შეიძლება, მაგრამ ჩემი მთავარი კრიტერიუმი იქნება ამომრჩევლების, პოლიტიკოსებისა და მედიისგან წამოსულ კრიტიკაზე დაკვირვება და ამ კრიტიკის ხასიათის აღწერა. ეს კრიტიკა გაისმის მედიასა და რეალურ ცხოვრებაშიც, თუმცა მედიაზე დაკვირვება საშუალებას იძლევა, რომ უფრო ფართო სურათი დავინახოთ.

კრიტიკას ძირითადად ორი ადრესატი ჰყავს: ხელისუფლება და საზოგადოება. ხელისუფლების მხარდამჭერების რადიკალური ნაწილი თვლის, რომ, როგორც წესი, საზოგადოება არ არის საკმარისად განვითარებული იმისთვის, რომ ხელისუფლებამ საკუთარი ინიციატივები აამოქმედოს. ოპოზიციის რადიკალური ნაწილისთვის კი ყველა მთავარი პრობლემა ხელისუფლებას უკავშირდება და, შესაბამისად, ხელისუფლების შეცვლა მათ ავტომატურად მოგვარებას ნიშნავს.

ხელისუფლების მხარდამჭერების ყველაზე რადიკალური ნაწილი სოციალურ ქსელებზე (განსაკუთრებით, თბილისის ფორუმზე და ფეისბუქზე) და ტრადიციულ მედიაში აქტიურობისას ხშირად ხელისუფლების დარღ-

ფოტო: დავით რუსაძეგაბელი

აქციის დარბევა, თბილისი, 7 ნოემბერი 2007

ფოტო: ლევან ნარგელიანი

საკანი N5, თბილისი 2009

ვევებს, წარუმატებელ რეფორმებს და სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის გამოსწორების ამაო მცდელობებს საზოგადოების ინერტულობას აბრალებს. ხელისუფლების გავლენიანი წევრების მიერ ლიბერტარიანული იდეების ლობირებაც ნაწილობრივ მსგავსი განწყობის, თუ სტრატეგიის ქონით აიხსნება.

ლიბერტარიანიზმი გულისხმობს მთავრობის როლის მინიმუმამდე შემცირებას, ბაზარში ჩაურევლობას და გადასახადების შემცირებას. დასავლეთში ლიბერტარიანიზმი თავისუფალი კონკურენციის, ბიზნესის სახელმწიფოსგან თავისუფლების და ეკონომიკური ლიბერალიზმის სხვა იდეებს გულისხმობს, რომელსაც საქართველოში არც ისე ზედმიწევნით იცავენ. საქმე ის არის, რომ ლიბერტარიანიზმი კარგად ერგება ყველაფრის საზოგადოებისთვის დაბრალების კონცეფციას: თუ ქართველი გლეხი ვერ ყიდის სოფლის მეურნეობის პროდუქტს, ეს მხოლოდ მისი ბიზნეს უნარების ნაკლებობის ბრალია (და სახელმწიფოს აქ პოზიტიური როლის შესრულება არ შეუძლია), თუ ქართული ბიზნესი კარგად ვერ ფუნქციონირებს, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ თავად ბიზნესები არ არიან კონკურენტულები (და არა იმიტომ, რომ სასამართლო სისტემაა სუსტი და კანონები არასრულფასოვანი). იგივე ლოგიკა მუშაობს, როდესაც ადამიანის უფლებების დარღვევაზე, მედიის კონტროლსა და წარუმატებელ რეფორმებზეა ხოლმე საუბარი – ყველგან საზოგადოება აღმოჩნდება დამნაშავე, ხელისუფლების შეცდომები, ხელისუფლების წევრების პირადი ინტერესები და გავლენები თითქოს არაფერ შუაშია.

ამ შეხედულების საპირისპიროდ, ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების რადიკალური ნაწილისთვის ყველა პრობლემის სათავე მხოლოდ ხელისუფლებაა. მსგავსი შეხედულების კარგი ილუსტრაცია იყო გიორგი გაჩეჩილაძის შოუ ტელეკომპანია „მაესტროზე“. გაჩეჩილაძე ანუ „უცნობი“ ამტკიცებდა, რომ სააკაშვილის წასვლა იქნებოდა იმისი გარანტია, რომ მოგვარდებოდა ჩვენ წინაშე არსებული ყველა პრობლემა, გამოსწორდებოდა უსამართლობა და დაიძლეოდა სოციალური პრობლემები. ამავე დროს ძალიან ცოტა თუ საუბრობდა იმაზე, თუ რა წინააღმდეგობები არსებობდა თავად ოპოზიციური პარტიების მიდგომებს შორის, რამდენად იყო მთელ რიგ შემთხვევებში პრობლემა გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობის მქონე (მაგალითად, მატერიალური, პროფესიული თუ ინტელექტუალური რესურსების ნაკლებობით განპირობებული), ვიდრე – მარტივად, მხოლოდ ხელისუფლების ბოროტი ზრახვებით გამოწვეული. ერთი სიტყვით, არავის ჰქონდა იმის პოზიტიური პროგრამა, თუ როგორ შეიძლებოდა სიტუაციის გამოსწორება.

ოპოზიცია, ასევე, აქცენტს აკეთებდა ნეგატიურ თავისუფლებებზე (ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე) და იგნორირებას უკეთებდა პოზიტიურ თავისუფლებას (ადამიანების სოციალურ უფლებებს). ნეგატიური თავისუფლებების დარღვევა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ხელისუფლების ბრალია ხოლმე, რადგან ძალაუფლების მქონე პირი არღვევს და ზღუდავს ნაკლები ძალაუფლების მქონეთ. პოზიტიური თავისუფლება კი გულისხმობს ადამიანის უნარს, ჰქონდეს რესურსები და იმის უნარი, რომ მიაღწიოს დასახულ მიზანს. ამგვარად, პოზიტიური თავისუფლება მოითხოვს საზოგადოებრივ შეთანხმებას, ერთობლივ ძალისხმევას და რესურსების მობილიზებას იმისთვის, რომ საზოგადოებამ თავისი სასარგებლო კოლექტიური ქმედება განახორციელოს.

ერთი სიტყვით, ხელისუფლების მხარდამჭერების ნაწილი ამტკიცებს ხოლმე, რომ ყველა პრობლემა, უსამართლობა და დარღვევა იმითაა გამოწვეული, რომ საზოგადოება არის მანკიერი; ოპოზიციის მხარდამჭერები კი ყველა პრობლემის სათავეს ხელისუფლებაში ხედავენ. მთავარი პრობლემა კი ის არის, რომ ვერ დაველოდებით, როდის გახდება ხელისუფლება მოქალაქეების მიმართ მეტად ანგარიშვალდებული, და ვერც იმის მოლოდინში უნდა ვისხდეთ უსაქმოდ, როდის გახდება ოპოზიცია ძლიერი და თანმიმდევრული. გამოსავალი თავისუფალი მედიის გაძლიერებაში, სამოქალაქო აქტივიზმსა და ექსპერტული ცოდნის მობილიზებაში უნდა ვეძებოთ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ჩაკეტილი წრიდან გამოსვლა. ყველაფრის საზოგადოების ან ხელისუფლებისთვის დაბრალება მხოლოდ და მხოლოდ სიტუაციის გამარტივებაა, რომელიც ხშირად რეალურ პრობლემებზე თვალის დახუჭვას გულისხმობს.

სინგაპურის ელემენტებიანი შვეიცარიის გასაჭირი

საქართველოს დიდი თავსატეხი აქვს – მოხვდეს ევროპაში აზიის გავლით. ხელისუფლების ამგვარი გაორებული მიდგომისა და შესაბამისი ქცევების გამო, ხშირად საქართველოში მიმდინარე რეფორმები არათანმიმდევრულია, ზოგჯერ კი ურთიერთგამომრიცხავიც ხდება.

რევაზ საყევარიშვილი

საქართველო ქრონიკულად გარდამავალ ეტაპზე და ქრონიკულად რეფორმირების პროცესშია. ამ რეფორმების მორიგი ეტაპის ანონსირებისას ხელისუფლება ხშირად ასახელებს იმ მოდელებს, რომლებიც ყველაზე სწორად მიაჩნია ქვეყნის შემდგომი წინსვლისა და წარმატებისთვის. ამ თვალსაზრისით ხშირად ხდება იმის ხაზგასმა, რომ საქართველოსთვის უფრო მისაღებია არა რომელიმე ყოფილი საბჭოთა კავშირის ან აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნის, არამედ ე.წ „აზიელი ვეფხვების“ და მსგავსი სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარების მოდელების გამოყენება.

„უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენი განსაკუთრებული სპეციფიკის გამო არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ვიყოთ ჩვეულებრივი აღმოსავლეთევროპული ქვეყანა. ხშირად გვირჩევენ ევროპელი ექსპერტები, გადმოვიღოთ პოლონეთის, ჩეხეთის, უნგრეთის გამოცდილება და დავნერგოთ, მაგრამ ჩვენ ვერ ავიღებთ და ვერ გადავიტანთ საქართველოს შუაგულ ევროპაში. ჩვენ არ ვართ ჩეხეთი და პოლონეთი და დიდხანს ვერ ვიქნებით სპეციფიკური პირობების გამო. ჩვენი ამბიციაა, საქართველო ვაქციოთ ლიბერალიზმის ფლაგმანად“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ოქტომბერში პარლამენტში ეკონომიკური თავისუფლების აქტის წარდგენისას, რომელიც ქვეყნის შემდგომი განვითარების ფუძემდებლურ პრინციპებს ითვალისწინებს.

ლიბერალიზმის ფლაგმანობას საქართველო რამდენიმე მოდელით ცდილობდა და ცდილობს: დუბაის მოდელი, სინგაპურის მოდელი, ბაჰრეინის მოდელი – სულ მცირე, ეს 3 ვერსია ბოლო 2-3 წელიწადში უკვე არაერთხელ მოვისმინეთ. ამ მოდელებიდან ცალკეული ელემენტების დანერგვის არაერთი მცდელობაც ვნახეთ. დღეს კი უკვე ამ მოდელების შეჯერების მცდელობას ვადევნებთ თვალს.

მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტი უკვე აცხადებს, რომ საქართველო გახდება კავკასია-შავი ზღვის რეგიონის „შვეიცარია სინგაპურის ელემენტებით“. „ჩვენი მთავრობის მთავარი ამოცანაა ყველაზე მაღალი დონის განათლების სისტემის შექმნა ამ რეგიონში და იმედია, ევროპის და მსოფლიოს მასშტაბითაც ერთ-ერთი პირველი უნდა ვიყოთ ისევე, როგორც იყო სინგაპური, ისევე, როგორც იყო თავის დროზე შვეიცარია, – განაცხადა მან ბათუმში თურქულ-ქართული სკოლის ახალი შენობის გახსნისას და დასძინა, – იმიტომ, რომ ჩვენ ვართ ამ რეგიონის შვეიცარია სინგაპურის ელემენტებით. რა თქმა უნდა, აქამდე ბევრი გზა გვაქვს გასავლელი; მაგრამ ჩვენ ვართ ადგილი, სადაც იქნება ყველაზე მეტი ფინანსური ინტერესი კონცენტრირებული, ყველაზე მეტი ბიზნეს-აქტიურობა კონცენტრირებული, ყველაზე მეტი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა კონცენტრირებული... ჩვენ მეგობრებთან ერთად ჩვენ ამას შევქმნით. ეს არის მომავალი ქართული შვეიცარიის, მომავალი ქართული სინგაპურის, ქართული დუბაის, ქართული ჰონგ-კონგის და, რა თქმა უნდა, ყველა დროის ყველაზე დიდი საქართველოს ყველაზე წარმატებული გზა“, – დასძინა სააკაშვილმა.

ამავე დროს შეგახსენებთ, რომ საქართველოს თავისი ევროპული მისწრაფებებიც ღიად და რიხიანად აქვს გამოთქმული. ქვეყანას უნდა ევროპაში. იმ ევროპაში, სადაც სინგაპურის, დუბაის და ბაჰრეინის მოდელები (ულტრალიბერალური ეკონომიკა და ლიმიტირებული დემოკრატია) დიდად გულზე არ ეხატებათ და არც მალავენ. ასე რომ, ქვეყანას დიდი თავსატეხი აქვს – მოხვდეს ევროპაში აზიის გავლით. ეს კი, ცხადია, გრძელი, რთული და, მოსალოდნელი შედეგების თვალსაზრისით, ძნელად პროგნოზირებადი გზაა. დღეს ფაქტი მხოლოდ ის არის, რომ ამგვარი გაორებული მიდგომისა და შესაბამისი ქცევის გამო, ხშირად საქართველოში მიმდინარე და განხორციელებული რეფორმები წინააღმდეგობრივი ხასიათის და არათანმიმდევრული, ზოგჯერ კი ურთიერთგამომრიცხავიც ხდება.

ეკონომიკური პოლიტიკის და ქვეყნისთვის ყველაზე ადეკვატურად მიჩნეული განვითარების მოდელების ხშირი ცვლა კი საკმაოდ მძიმე ვითარებას უქმნის ბიზნესს, რომელსაც საკმაოდ სწრაფად უხდება საარსებო გარემოს შეცვლა და მასთან ადაპტაციის რთული და მტკივნეული პროცესის გავლა. მით უფრო მაშინ, როცა საქმიანი სამყარო და, ზოგადად, ქვეყნის ბიზნეს-კლიმატი ისედაც საკმაოდ მგრძნობიარე და მომეტებული რისკების ზონაში განაგრძობს არსებობას და მისთვის სრულიად „არაბიზნესური“ თემაც, შესაძლოა, სერიოზული დარტყმის მიყენების საფუძველი გახდეს.

„იმედის“ ეთერში გასულ „მომავლის მოდელირებულ ქრონიკას“ უკვე თითქმის ყველა კუთხით შეხედეს და შეაფასეს. თუმცა, მისი გავლენა ბიზნეს-სექტორზე ჯერ ვერ შეფასდა. ნახევარსაათიანმა ტელეისტერიამ თავისი შედეგი ქართულ ეკონომიკას, მართალია, ჯერ ნაკლებად დაატყო, თუმცა არსებობს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ მისი ნეგატიური შედეგი დროთა განმავლობაში უფრო თვალსაჩინო გახდება.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ სიუჟეტს რეალობასთან კავშირი არ ჰქონია, უცხოელი ინვესტორებიც და ადგილობრივი ბიზნესმენებიც, სავარაუდოდ, მაინც მოცდას და იმის გააზრებას ამჯობინებენ, შეიძლება თუ არა იმიტაცია რეალობად გადაიქცეს. ეს კი საქმიანი აქტივობის გაზრდას არ წაადგება.

ფაქტია, რომ მოდელირებულმა ტელეპროგრამამ თავისი შედეგი პირველივე წუთებიდან გამოაჩინა: მოსახლეობამ ბანკომატებიდან თანხების გატანა და მაღაზიებში პროდუქტების სასწრაფო შეძენა დაიწყო. მსგავსი ფაქტები განარაბულმა „დაბი ჯგუფმა“ ამის შესახებ უკვე ღიად განაცხადა. საქართველოს ბიზნეს-ასოციაციაში კი, რომელიც ქართული საქმიანი სამყაროს ყველა მსხვილ კომპანიას აერთიანებს, განაცხადეს, რომ მოდელირებული „ქრონიკა“ იყო შეცდომა, რომელმაც ინვესტორთა ნაწილი უკვე დააფრთხო.

არადა, ინვესტიციების მხრივ ქვეყანაში მდგომარეობა ისედაც არასახარბიელოა, და ეს ოფიციალური სტატისტიკითაც დასტურდება. „საქსტატის“ ინფორმაციით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2009 წელს 759 მლნ დოლარი შეადგინა. 2008 წელს ეს მაჩვენებელი 1 მლრდ 564 მლნ დოლარი იყო, ანუ ერთ წელიწადში ინვესტიციები ისედაც განახევრდა. წელს საქართველოს მთავრობა ინვესტიციების სავარაუდო მაჩვენებლად 1 მილიარდ დოლარს მიიჩნევს, საერთაშორისო სავალუტო ფონდი კი შარშანდელი მაჩვენებლის, ანუ 750 მილიონი დოლარის, გამეორებას ვარაუდობს.

დიდი დეფიციტია, რომელთაც ფული შეიძლება ასესხო. თუმცა, ევრობანკმა მაინც იპოვა ორი მსხვილი პროექტი, რომელშიც ფულს თვითონ დააბანდებს. 180 მლნ ევროს სესხი თურქეთის მიმართულებით 500-კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზისა და რკინიგზის თბილისთან შემოვლითი, 30-კილომეტრიანი რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობას მოხმარდება. აღნიშნული 180 მლნ ევრო საქართველოს 2008 წლის ბრიუსელის დონორთა კონფერენციის გადაწყვეტილების ფარგლებში გამოეყოფა.

საქართველოს ხელისუფლება ამ პროექტებით, ეკონომიკურის გარდა, სოციალური ეფექტის მიღებასაც ელის, რაც დასაქმების გააქტიურებაში უნდა გამოიხატოს. მანამდე კი ოფიციალური სტატისტიკა აქაც უნუგეშო მონაცემებს გვაწვდის – უმუშევრობის მაჩვენებელი კვლავაც იზრდება. „საქსტატის“ ინფორმაციით, ეს პარამეტრიც 2009 წლის მეოთხე კვარტალში 16%-დან 16.3%-მდე გაიზარდა. შესაბამისად, გასული წლის სექტემბრის შემდეგ სამსახური

■ საქართველოს თავისი ევროპული მისწრაფებებიც ღიად აქვს გამოთქმული. ქვეყანას უნდა ევროპაში. იმ ევროპაში, სადაც სინგაპურის, დუბაის და ბაჰრეინის მოდელები დიდად გულზე არ ეხატებათ და არც მალავენ ამას.

საკუთრებით საშიშია საბანკო სექტორისთვის, რომელიც ისედაც მნიშვნელოვან პრობლემებს განიცდის. ომის და მოსალოდნელი პოლიტიკური საფრთხეების პირდაპირი და გაუთავებელი პროპაგანდა აიძულებს მოსახლეობას, დეპოზიტებზე არსებული თანხები გამოიტანოს და ბანკებს საბრუნავი სახსრები მნიშვნელოვნად შეუმციროს. ეს კი იმ პირობებში, როცა ქვეყნის ეკონომიკის დაკრედიტება ისედაც საკმაოდ დაბალ ნიშნულზეა, მორიგი მსხვილი რისკების გაჩენას მოასწავებს.

ბანკების მსგავსად, პრობლემების ახალი წყება ელით იმ ბიზნესმენებსაც, რომლებიც გააქტიურებას უცხოელი ბიზნეს-პარტნიორების მეშვეობით ცდილობენ. მათ მნიშვნელოვან ნაწილს მოდელირებული „ქრონიკის“ შემდეგ არსებული თუ პოტენციური პარტნიორებისთვის ახსნა-განმარტებების მიცემა უკვე მოუხდა. მაგალითისთვის, ქართული ეკონომიკის ერთ-ერთმა უმსხვილესმა ინვესტორმა –

საქართველოს მთავრობის ოპტიმიზმს სკეპტიკურად უყურებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიც, რომლის პრეზიდენტმა თომას მიროუმ საქართველოში სტუმრობისას განაცხადა, რომ კრიზისის შემდეგ აღმასვლა ნელი და რთული იქნება. მიროუს განმარტებით, ეკონომიკაში აღმასვლა დაწყებულია, თუმცა ზრდის მაჩვენებელი, საუკეთესო შემთხვევაში, 2%-მდე იქნება. ევრობანკის პრეზიდენტს უკვირს, თუ რას ეფუძნება საქართველოს მთავრობის ოპტიმიზმი ამ მიმართულებით, რადგან, მისი თქმით, ყველაზე მეტ საფრთხეს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი და ინვესტიციების შემცირება ქმნის. მიროუმ არც საბანკო სექტორში არსებულ რთულ ვითარებას აუარა გვერდი და განაცხადა, რომ კომერციულ ბანკებში დაგროვილი ფულადი რესურსის სიჭარბე ძირითადად ერთი მიზეზით არის გამოწვეული – პოსტკრიზისულ პერიოდში ისეთი ჯანსაღი კომპანიების

200 ათასზე მეტმა ადამიანმა დაკარგა და დინამიკა კვლავ უმუშევრობის ზრდისკენ არის მიმართული. თანაც, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებია, რომელსაც ტრადიციულად ყოველთვის ზედმეტ ოპტიმიზმს სწამებენ.

ქვეყანაში ახალი ბიზნესები სულ უფრო რთულად იწყება, ძველის და გაჩერებულის აღნუსხვა კი, როგორც წესი, დიდ პრობლემებთან არის დაკავშირებული. კომპანიათა აღრიცხვიანობის მოსაწესრიგებლად ხელისუფლება ბიზნესისთვის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემის გადაჭრას იწყებს. საგადასახადო შემოსავლების სამსახური აცხადებს, რომ საწარმოთა ლიკვიდაციის პროცესი გამარტივდება. თუ აქამდე ამ პროცედურას, არც მეტი, არც ნაკლები, 3-4 წელი სჭირდებოდა, ახლა ეს რამდენიმე დღეში იქნება შესაძლებელი.

საწარმოს ლიკვიდაცია დღეს ჯერ კიდევ მოქმედი სქემით საკმაოდ რთუ-

ლი და ხანგრძლივი პროცედურაა, რაც მეწარმეებს დიდ პრობლემებს უქმნის. იურისტთა შეფასებით, საქართველოში საწარმოს ლიკვიდაცია თითქმის დაუსრულებელი პროცესია. ლიკვიდაციის სირთულის გამო, ფორმალურად არსებობს უამრავი კომპანია, რომელიც რეალურად აღარ ფუნქციონირებს. შედეგად, მეწარმეებს მაინც რჩებათ ვალდებულება, საგადასახადო სამსახურში დეკლარაცია ყოველწლიურად ჩააბარონ, რაც უამრავი არაფრის მომცემი დოკუმენტის დამატებით წარმოებას ითხოვს თავად საგადასახადო სამსახურებისთვისაც.

შარშან საქართველომ, ბიზნესის წარმოების სიიოლით, მსოფლიო რეიტინგში მე-11 ადგილი დაიკავა. თუმცა, რეიტინგის ავტორების ერთ-ერთი შენიშვნა სწორედ საწარმოთა ლიკვიდაციის პროცესის მოუქნელობას უკავშირდებოდა. დღეს მთავრობა ამ ხარვეზის გამოსწორებას იწყებს. პარალელურად, ეს სიახლე იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ის ზუსტად გამოაჩენს ქვეყნის ეკონომიკაში არსებული და მოქმედი კომპანიების რეალურ ოდენობას და მოგვცემს საშუალებას, ვიმსჯელოთ, რამდენად ბევრი და გადასახადის რეალურად გადამხდელი არსებობს ქვეყნის ეკონომიკურ სივრცეში.

დღეს მთავრობა აცხადებს, რომ წლევანდელი ბიუჯეტის შესრულების პარამეტრები მთლიანად ჯდება 2009 წელს დაგეგმილ ბიუჯეტში და ცვლილებები ხაზინის ნაწილსაც არ განუცდია. 2009 წლის ბოლოს და 2010 წლის დასაწყისში განხორციელდა სტრუქტურული რეფორმა, რომელიც გულისხმობდა ხაზინაში ე. წ. ორმაგი კონტროლის დაწესების სტრუქტურის შექმნას, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა და თითქმის მინიმუმამდე დაიყვანა ე. წ. ადამიანური ფაქტორი ოპერაციების განხორციელების პროცესში. პარალელურად, უამრავი სხვა რეფორმაც მიმდინარეობს. მაგალითად, ინტეგრირებული საჯარო ფინანსების მართვის სისტემის დანერგვა, ასევე – ბუღალტრული რეფორმა და სხვა ნაკლებად მასშტაბური, მაგრამ მნიშვნელოვანი ცვლილებები.

წელს ხაზინას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება, რომელსაც საფუძველი შარშან ჩაეყარა – მან 370 მილიონი ლარის ოდენობის სახაზინო ვალდებულებები უნდა გამოუშვას (შარშან ამ მაჩვენებელმა 270 მილიონი ლარი შეადგინა). მთავრობაში ამტკიცებენ, რომ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების მთავარი მიზანი ქვეყნის ფინანსური სისტემის მდგრადობის, მისი განვითარებისა და ახალ ეტაპზე გადაყვანის ხელშეწყობა იყო. თუმცა, გაცილებით უფრო რეალისტური ჩანს მოსაზრება, რომ მთავრობა ამ ინსტრუმენტს ბიზნესაქტივობის დაცემით გამოწვეული ბიუჯეტის მზარდი დეფიციტის შესავსებად იყენებს. მარტივი არითმეტიკა მიუთითებს, რომ 2009-2010 წლებში ამ არხით სახელმწიფო, სულ მცირე, 640 მილიონი ლარის მობილიზებას გეგმავს. ესეც იმ შემთხვევაში, თუ წელს უკვე დაგეგმილი 370-მილიონიანი გეგმა წლის განმავლობაში კიდევ არ გაიზარდა. დღეისთვის მთლიანად მთელ პორტფელზე საშუალო შეწონილი განაკვეთი დაახლოებით 6,5%-ს შეადგენს, რაც სწორედ სახელმწიფო ფინანსებიდან გასასტუმრებელი ვალდებულებაა.

წლევანდელ ბიუჯეტს დაგეგმილი შემოსავლების მობილიზების მხრივ პრობლემები აქვს და ექნება. ეს პირდაპირ თუ ირიბად ბევრი გარემოებით დასტურდება. მაგალითად, მეწარმეები 2010 წელს ბიუჯეტიდან სესხებს ვერ მიიღებენ. ახალი საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, კრედიტების გაცემა მიმდინარე წლიდან უნდა დაწყებულიყო, თუმცა ბიუჯეტში კრედიტებისთვის თანხა ჩადებული არ არის. ამ ფაქტს ფინანსთა სამინისტროშიც ადასტურებენ – ჯერ არც სესხების გაცემა დაწყებულა და არც საპროცენტო განაკვეთია დადგენილი.

საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხის გაცემა ძირითადად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტების დასაფინანსებლად განხორციელდება. თავისთავად, ნამდვილად არ არის ცუდი, თუ სახელმწიფო კომპანიებზე სესხების გაცემას შეწყვეტს, თუმცა, როცა ეს კანონმდებლობით აქვს ნავალდებულები და არ აკეთებს, ეჭვები თავისთავად ჩნდება.

ამ ეჭვებს ამაგრებს ის არაადეკვატურად დაბალი ფინანსირება, რაც მთავრობამ გაზაფხულზე მომძლავრებული სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყო და ის ვადები, რაც რეაბილიტაციის პროცესის დასაწყებად დაიგეგმა. მაგალითად, მდინარეებზე ნაპირსამაგრი სამუშაოები ზაფხულიდან დაიწყება, როცა სინოპტიკოსები რთულ კლიმატურ მოვლენებს მთელი გაზაფხულის განმავლობაში ელიან. საგულისხმოა ისიც, რომ წელს საქართველოს ბიუჯეტში ამ მიმართულების დაფინანსება 8 მილიონით შემცირდა და 1 მილიონ ლარს ოდნავ აღემატება. შემცირებული ბიუჯეტის გათვალისწინებით, ნაპირსამაგრი სამუშაოები სულ რამდენიმე ობიექტზე თუ შესრულდება იმის გათვალისწინებით, რომ შარშან 9-მილიონიანი ბიუჯეტის ფარგლებში მხოლოდ 60 ობიექტის შეკეთება მოხერხდა. არადა, ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, ამ დროისთვის შეკეთება 400-მდე ობიექტს სჭირდება, რაც ჯამურად ასეულობით მილიონ ლარს მოითხოვს და ეს ციფრი სულ უფრო იზრდება: მარტო წლევანდელი წყალდიდობებისა და გრიგალებისგან მიყენებულმა ზარალმა უკვე რამდენიმე ათეული მილიონი ლარი შეადგინა.

სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ქარიშხლის გამო, სახურავის გარეშე დარჩა დევნილთა კომპაქტური ჩასახლების 27 ობიექტი. ცნობისათვის: დღეისათვის საქართველოში 235 ათასი რეგისტრირებული დევნილიდან 43% სწორედ კომპაქტურ დასახლებებში ცხოვრობს. ქვეყნის მასშტაბით სულ 1540 ასეთი ცენტრია, რომელთა უმეტესობაც სრულიად ამორტიზებულია და ყოველი ბუნებრივი კატაკლიზმის შემდეგ სარეაბილიტაციოდ დამატებით თანხებს მოითხოვს.

2010 წლის ბიუჯეტში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ასიგნებები 28 მილიონ ლარს აღწევს. აქედან დევნილთა შენახვის ხარჯები კომპაქტურ დასახლებებზე წელს 21 მილიონი ლარია – შარშანდელზე 1 მილიონით ნაკლები. თუმცა, წლის დასაწყისიდან მომხდარ ბუნებრივ კატაკლიზმებზე ადეკვატური რეაგირება გაცილებით მეტ რესურსს მოითხოვს.

სტატია მომზადდა ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, ბრიტანულ-ქართული პროფესიული ქსელის მიერ განხორციელებული CSE-PFM პროექტის ფარგლებში. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია ჟურნალი „ლიბერალი“ . სტატია არ წარმოადგენს ევროკავშირის ან ბრიტანულ-ქართული პროფესიული ქსელის პოზიციას.

მოსკოვის ბლამუჩელი ხანის დასასრული

მოსკოვის მეტროში მომხდარი აფეთქებებით რუსეთის ისტორიაში ახალი ფურცელი იშლება.

ოლგა ალიონოვა, მოსკოვი

ტერაქტი მეტროსადგურ „პარკ კულტურიში“, მოსკოვი, 29 მარტი 2010

სამაშველო ოპერაცია, მოსკოვი, 29 მარტი 2010

ორშაბათს, 29 მარტს დილით მეტროს სადგურ „ლუბიანკაზე“, ფაქტობრივად „კაგებეს“ ძველი შენობის ქვეშ, ტერორისტმა ქალმა თავი აიფეთქა. ნახევარ საათში ასეთივე აფეთქება მეტროსადგურ „პარკ კულტურიზე“ გაისმა.

ერთი საათის განმავლობაში მოსკოვში 39 ადამიანი დაიღუპა. 80 ადამიანი დაიჭრა. ამ ერთი საათის განმავლობაში რუსეთი შეიცვალა. გამოგონილი გლამურის სამყაროდან, რომელშიც მას ტელეეთერი ამყოფებდა, ქვეყანა რეალობას დაუბრუნდა. ხელისუფლების მიმართ ყველაზე ლოიალურებიც კი მიხვდნენ, რომ ასულელებენ.

როდესაც ინტერნეტი სავსეა ტერაქტის თვითმხილველთა და ექსპერტთა კომენტარებით, ტელევიზია კი ამ თემაზე მხოლოდ გაკვრით ლაპარაკობს, ნათელი ხდება, რომ ხალხს სიმართლეს უმალავენ. ჰაიტის მიწისძვრის შესახებ უფრო ხშირად და მეტს გადმოსცემდნენ.

თავად განსაჯეთ: ტრაგედიის დღეს პირველი საზოგადოებრივი არხის საინფორმაციო ბადეში, მომხდარის მიუხედავად, ცვლილებები არ შეუტანიათ. OPT-ს წარმომადგენელმა ლარისა კრიმოვამ ეს იმით ახსნა, რომ დილის 9 საათის შემდეგ შინ მხოლოდ დიასახლისები არიან; ანუ, ხელისუფლების აზრით, დიასახლისებისთვის არ არის აუცილებელი იმის ცოდნა, რომ მოსკოვის ცენტრში მის თანამოქალაქეებს ომი გამოუცხადეს.

ამ ტერაქტებმა ცხადყო, რომ რუსი ხალხის ცნობიერებაში უფსკრული გაჩნდა იმ ქვეყანას, სადაც ისინი რეალურად ცხოვრობენ, და იმ რუსეთს შორის, რომელსაც ტელევიზიით უჩვენებენ. ამ ტერაქტებმა დაადასტურა, რომ ბოლო წლების პოლიტიკური, სოციალური და კრიმინოგენური სტაბილურობა – მითია. უკვე რამდენიმე წელია, რუსეთის ტელეეთერი უბრალოდ ვერ ამჩნევს ჩრ-

ტერაქტები მოსკოვის მეტროში

პირველი ტერაქტი მოსკოვის მეტროპოლიტენის ისტორიაში 1977 წლის 8 იანვარს მოხდა. მაშინ მოსკოვში ერთდროულად სამი აფეთქება გაისმა. დაიღუპა 7 ადამიანი. ამ ტერაქტების შესახებ ინფორმაცია მედიაში ორი დღის შემდეგ გაჩნდა. სამი თვის თავზე კი სამი კავკასიელი დააკავეს, რომლებსაც ტერაქტების მოწყობაში დასდეს ბრალი. მათი ვინაობა საიდუმლოდ დარჩა. ასევე საიდუმლოდ მოხდა მათი გასამართლება. ცნობილია, რომ ისინი სიკვდილით დასაჯეს.

- 1996 წლის 11 ივნისს მეტროსადგურ „ტულსკაიასთან“ მატარებელში აფეთქდა თვითნაკეთი ბომბი. დაიღუპა 4 ადამიანი.
- 2000 წლის 8 აგვისტოს მეტროსადგურ „პუშკინსკაიას“ მიწისქვეშა გადასასვლელთან აფეთქების შედეგად 13 ადამიანი დაიღუპა.
- 2001 წლის 5 თებერვალი. აფეთქება მოხდა სადგურ „ბელორუსსკაიასთან“. მსხვერპლი არ მოჰყოლია.
- 2004 წლის 6 თებერვალს 8.30 წუთზე მეტროსადგურ „ავტოზავოდსკაიასთან“ ტერორისტმა თვითმკვლელმა ვაგონში აიფეთქა თავი. 41 ადამიანი დაიღუპა. 250-ზე მეტი დაიჭრა.
- 2004 წლის 31 აგვისტო. მეტროსადგურ „რიჟსკაიას“ ვესტიბიულში შაჰიდმა ქალმა თავი აიფეთქა. დაიღუპა 10 ადამიანი.
- 2007 წლის 4 მაისს მეტროსადგურ „პროფსაიუზნაიას“ ვესტიბიულში ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს.

დილოეთ კავკასიაში მომხდარ აფეთქებებს, მკვლელობებსა და თავდასხმებს. რამდენიმე წელია, ამ ქვეყანაში სწამთ, რომ კავკასიაში მშვიდობა სუფევს.

მოსკოვში მომხდარი აფეთქებიდან რამდენიმე დღეში რუსეთის ინტერნეტქსელი გაივსო ჩრდილოკავკასიელი მიწისქვეშა დაჯგუფების ლიდერის დოკუ უმაროვის ვიდეომიმართვით, რომელშიც ის განმარტავს, რომ კავკასიაში მშვიდობა არ არის; რომ ჩეჩენი ბოევიკები შურს იძიებენ რუსებზე თავიანთი დახოცილი თანამემამულეების გამო, და რომ მოსკოვში მომხდარ აფეთქებებში მთავარი ბრალი პუტინს და კადიროვს მიუძღვით.

უმაროვი ამბობს, რომ ვიდრე კადიროვი ჩეჩნეთიდან არ წაეთრევა, და ვიდრე რუსეთი ჩეჩნეთს თავს არ დაანებებს, ჩეჩენი ტერორისტები რუსების ხოცვას გააგრძელებენ. მისი თქმით, მოსკოვის მეტროში მოწყობილი ტერაქტის მიზეზი გახდა ფედერალებისა და კადიროვის სპეცდანიშნულების რაზმის მიერ ჩეჩნეთში ჩატარებული ერთ-ერთი უკანასკნელი სპეცოპერაცია. 11 თებერვალს სოფელ ალხაზუროვოში ჩატარებული ოპერაციის დროს, ოფიციალური მონაცემებით, იატაკქვეშა დაჯგუფების რამდენიმე წევრი მოკლეს. უმაროვი კი ამბობს, რომ დაღუპულთა შორის უმრავლესობა მშვიდობიანი მოსახლეა, რომლებიც შეცდომით დახოცეს.

ჩეჩნეთში ასეთი რამ ხშირად ხდებოდა აქტიური საბრძოლო მოქმედებების დროს. ახლა კი ცხადი გახდა, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა ჩეჩნეთში ისევ ძველებურად იხოცება. უმაროვს რომც არ დავუჯეროთ, რომელიც რობინ ჰუდი ნამდვილად არ არის და ჩვეულებრივი ბოროტმოქმედია – საკმარისია თვალი გადავავლოთ კავკასიაში ბოლო დროს მომხდარ დანაშაულებათა სტატისტიკას და ცხადი ხდება – ეს რეგიონი რუსეთის წინააღმდეგ საკუთარ ომს აწარმოებს.

ჩრდილოეთ კავკასიაში მომხდარ დანაშაულებათა შემზარავი სტატისტიკა, ბოლო ხანს საერთოდ არ შუქდება მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით. ინტერნეტში უმაროვის ვიდეორგოლმა რუსეთის ბევრ მოქალაქეს შოკი მოჰგვარა. ეს ვიდეორგოლი მოზარდებმაც ნახეს. თუმცა, იმან, რასაც უმაროვი ამბობს, რუსეთის მოსახლეობას, საინფორმაციო თვალსაზრისით, ბევრი ვერაფერი შესძინა. იმიტომ, რომ გარდა საპასუხო სიძულვილისა, უმაროვის გამოსვლა არაფერს იწვევს. ახალგაზრდულ ფორუმებზე ზიზღით სავსე გამონათქვამებია კავკასიელთა მისამართით, მაგალითად, წერია „ეგ დამპლები უნდა ჩახოცო“. შესაძლოა, ამ ვიდეორგოლს სწორედ ეს მიზანი ჰქონდა – არა კავკასიაში არსებული ვითარების შესახებ საზოგადოების ინფორმირების, არამედ სიძულვილის გაღვივება გარე მტრისადმი, რომელიც რუსეთის თითოეულ მოქალაქეს საფრთხეს უქმნის.

არ არის სავალდებულო, ეს მტერი აუცილებლად დოკუ უმაროვი იყოს. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, საქართველოს ხელისუფლება, რომელიც დოკუ უმაროვს ტელეეთერს უთმობს. შემთხვევითი არ არის, რომ „პირველ კავკასიურ არხზე“ დოკუ უმაროვის გამოჩენას დაემთხვა პატრუშევის განცხადება იმის შესახებ, რომ მოსკოვის აფეთქებებში, შესაძლოა, ქართული კვალი იყოს.

რუსულ საზოგადოებაში ტერაქტებით გამოწვეული პანიკა კარგი ფონია რაიმე ახალი ომის წამოსაწყებად – ჩრდილოეთ კავკასიაში ან საქართველოში. ეს უკანასკნელი უფრო სარწმუნოა, რადგან ამით რამდენიმე პრობლემა გადაიჭრება: საბოლოოდ გაქრება „პირველი კავკასიური არხი“, რომელიც რეალურად ძალიან აღიზიანებს კრემლს; აღიკვეთება ტენდენცია, რომელიც აშკარად შეიმჩნევა ბოლო დროს თბილისში – საქართველოს მხრიდან ჩრდილოკავკასიელი აჯანყებულების მხარდაჭერა; და, რაც მთავარია – საძულველი საკაშვილის თავიდან მოშორება.

და თუ ეს ასეა და ასეთი ომი მართლაც მოხდება, მაშინ ჩვენ, რუსები, რამდენიმე წლის შემდეგ იმაზე დავიწყებთ ფიქრს, რომ 2010 წელს მოსკოვის მეტროში მომხდარი აფეთქებები შემთხვევითი არ ყოფილა.

ისევე, როგორც დღეს ვამბობთ, რომ 1999 წელს სახლების აფეთქება არ იყო შემთხვევითი, რომ ამ აფეთქებებმა ჩეჩნეთის მეორე ომი და ხელისუფლებაში ვლადიმირ პუტინის მოსვლა გაამართლა.

დავიწყებთ მსჯელობას, შევძრწუნდებით და ვიტირებთ კიდეც, როდესაც გავაცნობიერებთ ნებისმიერი ისეთი ხელისუფლების საზარელ არსს, რომელიც ადამიანურ მსხვერპლს ამართლებს. მაგრამ, ეს ცრემლები უკვე ჩვენი ქვეყნის ნანგრევებზე დაიღვრება.

ტერაქტები ჩრდილოეთ კავკასიაში. 2010 წელი

6 იანვარს მახაჩყალაში (დაღესტანი) თვითმკვლელმა ავტომობილ „ნივაში“ საგზაო მილიციის შენობასთან თავი აიფეთქა: დაიღუპა 5 და დაშავდა 24 ადამიანი.

5 თებერვალს მოკლეს მახაჩყალის შს სამმართველოს ხელმძღვანელი ახმედ მაგომედოვი. იმავე დღეს ქალაქ იზბერბაშში (დაღესტანი) ტერორისტებმა ასაფეთქებელი მოწყობილობა მაშინ აამოქმედეს, როდესაც გვერდით ჩაუარათ „ნივამ“, რომელშიც მილიციის პოდპოლკოვნიკი, ექსტრემიზმთან ბრძოლის განყოფილების ხელმძღვანელი გალიზ ისაევი იჯდა. მილიციონერი დაიღუპა.

17 თებერვალს აღკვეთეს აფეთქება, რომელიც მახაჩყალაში შს განყოფილების შენობასთან იგეგმებოდა.

19 თებერვალს ნაზრანში (ინგუშეთი) კერძო სახლის გვერდით, კომუნალნაიას ქუჩაზე აფეთქებების მთელი სერია გაისმა. ამ აფეთქების შედეგად დაიღუპნენ სახლის მფლობელი და მილიციის თანამშრომელი. ჰოსპიტალიზებული იყო 28 დაშავებული ადამიანი, მათ შორის – ნაზრანის მაღალჩინოსანი სამართალდამცავები.

26 თებერვალს ინგუშეთის სუნჟენის რაიონში ფუგასური ბომბის აფეთქების შედეგად საზღვრის დაცვის ოპერატიული პოლკის ორი თანამშრომელი დაიღუპა.

1 მარტს დაბა ორჯონიკიძევსკაიაში (ინგუშეთი) ავტომობილის აფეთქების შედეგად დაიჭრა ადგილობრივი უბნის მილიციელი.

11 მარტს მახაჩყალაში ბაქო-მოსკოვის სალიანდაგო ხაზის ტარკი-მახაჩყალის გადასარბენზე საბარგო მატარებლის აფეთქების შედეგად ლიანდაგებიდან გადავიდა 14 ვაგონი, რასაც მსხვერპლი არ მოჰყოლია.

სარკინიგზო ხაზების, საკომუნიკაციო სისტემებისა და ადმინისტრაციული შენობების აფეთქება ჩრდილოეთ კავკასიაში ყოველდღიურად ხდება.

აშშ-აზერბაიჯანის ურთიერთობები

ბუდ ბაი, ამერიკა!

2008 წლის აგვისტოს ომმა და ამერიკის არაეფექტურმა პოლიტიკამ ყარაბაღის საკითხში ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა უპრეცედენტოდ დაძაბა.

შაჰინ რზაევი, ბაქო

დიმიტრი მერვედევის და ილჰამ ალიევის შეხვედრა მოსკოვში, 25 იანვარი 2010

ფოტო: დიმიტრი ასტაფიევი

მარტის დასაწყისში „უოშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებული სტატია, რომელიც ალიევების ოჯახის დუბაიში დაბანდებულ ქონებას ეხებოდა, აზერბაიჯანში მკვეთრი ანტიამერიკული განცხადებების საფუძველი გახდა.

სტატიაში დოკუმენტებზე დაყრდნობით ნათქვამია, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტის შვილების სახელზე შეძენილია უძრავი ქონება, რომლის საერთო ღირებულება 75 მილიონ დოლარს შეადგენს. სტატია იმ დღესვე გადაითარგმნა აზერბაიჯანულ ენაზე და განთავსდა აზერბაიჯანული რადიოს „აზადლიგის“ (Liberty) რედაქციის ვებგვერდზე. ამ არხს აშშ-ს მთავრობა აფინანსებს.

რამდენიმე დღეში, „აზადლიგის“ რედაქციაზე თავდასხმები დაიწყო. აი, რამდენიმე ციტატა:

ფაზილ მუსატაფა, პარლამენტის წევრი ფსევდოოპოზიციური პარტია „დიდი აღმშენებლობიდან“: „რადიო „აზადლიგი“ თავის მფლობელების მითითებებს ასრულებს, და ამიტომაც ის აზერბაიჯანის ინტერესების შესაბამისად არ მოქმედებს“.

მუბარიზ გურბანლი, პარლამენტის წევრი მმართველი პარტია „იენი აზერბაიჯანიდან“: რადიო „აზადლიგი“ ბოლო დროს მხოლოდ იმითაა დაკავებული, რომ მიკერძოებულ, ცალსახა რეპორტაჟებს ამზადებს“.

რაბიათ ასლანოვა, პარლამენტის წევრი მმართველი პარტია „იენი აზერბაიჯანიდან“: „რადიო „აზადლიგის“ ჟურნალისტებს პატრიოტიზმის გრძნობა მაინც ხომ უნდა ჰქონდეთ?!“.

არაზ ალიზადე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის თანათავმჯდომარე: „შესაძლოა, რადიო „აზადლიგის“ ახალი ხელმძღვანელობის დანიშვნაში სომხური ლობის ხელი ურევია“.

რადიო „აზადლიგის“ აზერბაიჯანული რედაქციის ერთ-ერთმა რედაქტორმა, ანონიმურობის დაცვის პირობით, განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც „უოშინგტონ პოსტიდან“ სტატია გადმოთარგმნეს, რედაქციაში რეკავენ და ჟურნალისტებს ემუქრებიან.

რადიო „აზადლიგთან“ დაკავშირებული ინციდენტი აზერბაიჯანი-ამერიკის ურთიერთობაში გაჩენილი პირველი პრობლემა სულაც არ არის. საკმარისია თვალი მივადევნოთ ბოლო რამდენიმე თვის ქრონიკას.

2009 წელს ამერიკულ სადგურებს – Liberty-ს და Voice of America-ს აზერ-

ბაიჯანში დიაპაზონზე სიხშირეები ჩამოერთვათ.

აზერბაიჯანში მტკივნეული რეაქცია მოჰყვა თურქულ-სომხური ოქმების ხელმოწერას, რომელიც აშშ-ს უშუალო ზეწოლით განხორციელდა. ბაქოში მიიჩნევდნენ, რომ სომხურ-თურქული ურთიერთობების ნორმალიზება მხოლოდ ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში გარკვეული ძვრებისა და სომხეთის მიერ ოკუპირებული აზერბაიჯანული მიწების დეოკუპაციის შემდეგ მოხდებოდა.

2009 წლის დეკემბერში აშშ-ს კონგრესმა მთიანი ყარაბაღის დასახმარებლად 8 მილიონი დოლარი გამოყო. ამ გადაწყვეტილებამ აზერბაიჯანში აღშფოთება გამოიწვია. ამერიკელებმა კი ეს იმით ახსნეს, რომ თანხა „ტერიტორიის განაღმვასა და სახლებისა და სკოლების აშენებას“ მოხმარდებოდა.

მოუხადა და თქვა, რომ მონაცემები სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ცნობებს ეყრდნობოდა და სათანადოდ არ იყო შემოწმებული.

შემდეგ – 4 მარტს აშშ-ს კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის სხდომაზე, 23 ხმით 22-ის წინააღმდეგ, მიიღეს რეზოლუცია „სომხების გენოციდის“ თაობაზე. ამ გადაწყვეტილებამ აზერბაიჯანში უფრო დიდი პროტესტი გამოიწვია, ვიდრე თავად თურქეთში.

დაიწყო საუბრები იმის თაობაზე, რომ აშშ-ში ყოვლისშემძლე „სომხური ლობი“ მნიშვნელოვან ბერკეტებს ფლობს, ამიტომ აუცილებელია ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების შუამავალთა რიგებიდან აშშ-ს გარიცხვა.

მაინც რას უკავშირდება ეს სირთულეები ამერიკა-აზერბაიჯანის ურთიერთობაში? აშშ-ს მიერ აზერბაიჯანი განი-

საკითხში, ამიტომაც საგარეო პოლიტიკის კურსი თანდათან რუსეთის მიმართულებით შეიცვალა“.

მეორე პოლიტიკური მიმომხილველი, კენან გულუზადე ფიქრობს, რომ ანტიამერიკულ დემარშებზე არანაკლებ გავლენას ახდენს აზერბაიჯანში შემოდგომაზე დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნებიც. „დღეს ხელისუფლება მთელ ელექტრონულ მედიას აკონტროლებს, ოპოზიციურ გაზეთებს კი ძალიან მცირე აუდიტორია ჰყავთ. ამიტომ, პროფილაქტიკის მიზნით, აუცილებელია შეიზღუდოს ისეთი ალტერნატიული საინფორმაციო რესურსები, როგორიცაა რადიო „აზადლიგი“.

აზერბაიჯანი-ამერიკის ურთიერთობის კიდევ ერთი საგულისხმო მხარე ის გახლავთ, რომ ბაქოში, უკვე 10 თვეა, ამერიკის ელჩი არ მუშაობს. ობამას ადმინისტრაციამ ვერა და ვერ დანიშნა

რაუფ მირკადიროვი, გაზეთ „სარკეს“ პოლიტიკური მიმომხილველი მიიჩნევს, რომ აზერბაიჯანსა და აშშ-ს შორის ურთიერთობის გაუარესება საქართველოში 2008 წლის აგვისტოში მომხდარი ომის შემდეგ დაიწყო.

თებერვალში გამოქვეყნდა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში, რომელშიც მკაცრად იყო გაკრიტიკებული აზერბაიჯანში არსებული ვითარება ადამიანის უფლებების დაცვისა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების თავისუფლებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, აზერბაიჯანი იქ მოხსენიებული იყო ნარკოტრაფიკისთვის სატრანზიტო ქვეყნად (მოხსენება „2010 წელს ნარკოტიკების გავრცელებაზე საერთაშორისო კონტროლის სტრატეგია“). მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ „აზერბაიჯანში ნარკომანების რიცხვი 300 ათას ადამიანს აჭარბებს, და მათი 30-35 პროცენტი სტუდენტია“.

ამ განაცხადსაც ასევე პროტესტის დიდი ტალღა მოჰყვა. აშშ-ს საელჩოს წინ სტუდენტებმა პიკეტი მოაწყვეს (ეს იმ ფონზე, რომ 2007 წლის შემდეგ ქვეყანაში არც ერთი სანქციონირებული საპროტესტო აქცია არ გამართულა). საქმე იმით დასრულდა, რომ აზერბაიჯანში აშშ-ს საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელმა ტერი დევიდსონმა აზერბაიჯანელ სტუდენტებს ბოდიში

ხილებოდა და განიხილება პარტნიორად ენერგეტიკულ პროექტებში. თუმცა, ბოლო ხანს, წმინდა ეკონომიკური მოსაზრებებით, აზერბაიჯანს თავისი გაზის რუსეთისთვის მიყიდვა მეტად აძლევდა ხელს, ვიდრე – მომძე თურქეთისთვის ორჯერ ნაკლებ ფასად. ამან საფრთხე შეუქმნა „ნაბუქოს“ მთელ პროექტს, რომელიც გაზმომარაგების ალტერნატიულ გზას გულისხმობს.

რაუფ მირკადიროვი, გაზეთ „სარკეს“ პოლიტიკური მიმომხილველი მიიჩნევს, რომ აზერბაიჯანსა და აშშ-ს შორის ურთიერთობის გაუარესება საქართველოში 2008 წლის აგვისტოში მომხდარი ომის შემდეგ დაიწყო.

„აშშ-ს კავკასიაში ორი პროექტი ჰქონდა. საქართველო – როგორც სამხედრო-პოლიტიკური პლაცდარმი და აზერბაიჯანი – როგორც პარტნიორი ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით. თუმცა აგვისტოს ომმა ცხადყო, რომ აშშ სულაც ვერ უზრუნველყოფს თავისი მოკავშირეების უსაფრთხოებას. და კიდევ, აზერბაიჯანი ვერაფრით ეღირსა თავის სასარგებლოდ რაიმე დათმობას ყარაბაღის

ახალი ელჩი, თუმცა ამას არა პოლიტიკური, არამედ წმინდად ტექნიკური პრობლემებით ხსნიან.

„აზერბაიჯანში ბევრს მიაჩნია, რომ ამერიკელი ელჩის არარსებობა ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის დაძაბვის შედეგია, მაგრამ ეს ასე არ არის“, – ამბობს აზერბაიჯანში ამერიკის საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი ტერი დევიდსონი.

მისი თქმით, ელჩის კანდიდატურის შერჩევისა და დამტკიცების პროცესი თეთრ სახლში ძალიან ნელა მიმდინარეობს.

თუმცა, ამერიკის ყველა წინა ელჩი აზერბაიჯანშიც და სხვა მეზობელ ქვეყნებშიც ყოველგვარი ფორიაქის გარეშე დაინიშნა. ასე რომ, ბატონი დევიდსონის სიტყვები, სულ ცოტა, არადამაჯერებლად ჟღერს.

ბევრი რამეა დამოკიდებული იმაზე, თუ რა პოზიციას დაიკავებს აზერბაიჯანი ყარაბაღის მოლაპარაკებებზე, და იმაზეც – თუ როგორ ჩაივლის შემოდგომაზე საპარლამენტო არჩევნები.

ხოხოითის ოპოზიციის ჰუბიხონი

კოკოითის ოპოზიციას იმედი აქვს, რომ ზაფხულში ხელისუფლებაში მოვა.

ზალინა სიუკაევა, ცხინვალი

HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამხრეთ კავკასია

სტატია მომზადებულია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის შეხედულებებს.

რუსული ოპოზიციის მიერ გამოცხადებული „რისხვის დღე“, როდესაც მთელი ქვეყნის მასშტაბით საპროტესტო გამოსვლები იგეგმებოდა, კოკოითის ოპოზიციისთვისაც ერთგვარ რუბიკონად უნდა ქცეულიყო. ოპოზიცია ცხინვალში ფართომასშტაბიანი მიტინგის გამართვას გეგმავდა და ამბობდა, რომ ეს დღე კოკოითის დასასრულის დასაწყისი უნდა გამხდარიყო. მანამდე ოპოზიცია მხოლოდ მოსკოვსა და ვლადიკავკაზში ახერხებდა მიტინგების გამართვას. თუმცა, როგორც იტყვიან, ისე არ წვიმს, როგორც ქუხს.

ცხინვალის მერიამ ოპოზიციას შენობა გამოუყო, სადაც მათ საქართველო-ოსეთის ომში დაზარალებულ ადამიანებთან შეხვედრის შესაძლებლობა ექნებოდათ. ოპოზიციას სწორედ რომ უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების იმედი აქვს, მათი, ვისაც 2008 წლის ომის დროს სახლები დაენგრათ და ახლა ფაქტობრივად ღია ცის ქვეშ არიან.

რესპუბლიკაში 600-ზე მეტი კერძო სახლი განადგურდა. გასულ წელს ხელისუფლებამ პირობა დადო, რომ ნახევარს აღადგენდა, მაგრამ ჯერ მხოლოდ 10 პროცენტზე ოდნავ მეტია მზად.

უსახლკაროები, რომლებიც ცხოვრობენ კარვებში ან მეზობლებთან, ფეთქებადსაშიში მასაა. ერთხელ მათ უკვე სცადეს მთავრობის სახლთან პიკეტის მოწყობა, მაგრამ ეს აქცია მალევე დაიშალა და ამ მუხტის გამოყენება ოპოზიციამ ვერ შეძლო.

მიტინგზე თითქმის არავინ მივიდა, რაც სრულიად მოსალოდნელი იყო. მართალია, ვირტუალურ ქსელში (Live Journal) სამხრეთი ოსეთის ოპოზიცია ფართოდაა წარმოდგენილი, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში მათ ცოტა მომხრე ჰყავთ. ამ მიტინგზე თვით ოპოზიციის ლიდერები – ალბერტ ჯუსოევი და ალექსანდრ ბარანკევიჩი არ გამოცხადდნენ.

კოკოითის ოპოზიციის მთავარი სპონსორი და ლიდერია მოსკოველი მეწარმე, კომპანია „სტროიპროგრესის“ ხელმძღვანელი ალბერტ ჯუსოევი. მისმა ფირმამ სამხრეთ ოსეთში გაზსადენი დაამონტაჟა. ასევე ოპოზიციის ლიდერები არიან თავისუფალ ჭიდაობაში რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჯამბოლატ თადეევი და აგვისტოს ომის გმირი, უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი ანატოლი ბარანკევიჩი.

სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკაში არც ერთი მათგანი არ სარგებლობს პოპულარობით. ჯუსოევი წარმოშობით კვაისას ხეობიდანაა და იქაური მოსახლეობის უმრავლესობა მას მხარს უჭერს.

მათ ცხინვალში „მოსკოვურ ოპოზიციას“ ეძახიან – ეს ძირითადად ის ხალხია, ვინც მე-20 საუკუნის 90-იან წლებში რესპუბლიკა დატოვა და უკეთესი ცხოვრების საძებნელად გაემგზავრა; ან კიდევ – კოკოითის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თანამდებობებიდან განთავისუფლებული მინისტრები.

ოფიციალურად სამხრეთი ოსეთის საპრეზიდენტო არჩევნები მხოლოდ 2011 წლის ნოემბერში უნდა ჩატარდეს. თუმცა „მოსკოვური ოპოზიცია“ ვადამდელ არჩევნებს ითხოვს. მათი აზრით, მაისი-ივნისი გადამწყვეტი პერიოდია.

„მაისი-ივნისი გადამწყვეტი იქნება – ყველაზე შესაფერისი დრო ქუჩის აქციების ჩასატარებლად, – ამბობს ერთ-ერთი ოპოზიციონერი, სამხრეთი ოსეთის ექს-პრემიერი ოლეგ თეზიევი, – რესპუბლიკაში სიტუაცია ძალიან გამოცოცხლებულია და წლობით დაფარულმა უკმაყოფილებამ შეიძლება ნებისმიერ მომენტში იჩინოს თავი“.

ექსპერტების აზრით, მოცემული ვადები იმიტომ სახელდება, რომ რესპუბლიკაში ჯერაც არაა დასრულებული 2008 წლის ომის შემდეგ დანგრეული ობიექტების აღდგენითი სამუშაოები. სამშენებლო ორგანიზაციების განცხადებით, ძირითადი სამუშაოები 2010 წლის სექტემბერში დასრულდება, და ეს უკმაყოფილების ტალღაც ჩაცხრება.

ოპოზიციისადმი მოსახლეობის უნდობლობას ისიც იწვევს, რომ ოპოზიციას პოლიტიკური პროგრამა არ გააჩნია. ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად ის არ ხმაურდება. ერთადერთი, რასაც ისინი ამბობენ, – „კოკოითი უნდა წავიდეს!“ ეს ყველაფერი ძალიან წააგავს საქართველოში არსებული ეგრეთ წოდებული სამხრეთი ოსეთის ალტერნატიული მთავრობის აქციებს „კოკოითი ფანდარასტ!“

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ხალხს ოპოზიციური მოსაზრების ღიად გამოხატვა არ სურს, რადგან ეშინიათ პოლიტიკური დევნისა და რეპრესიების მსხვერპლნი არ გახდნენ.

ამასთან, ომგამოვლილ ხალხს ძალიან ეშინია შიდა არეულობის და სტაბილურობის მომხრეა. აქ ფიქრობენ, რომ შიდა არეულობები მხოლოდ თბილისის წისქვილზე დაასხამს წყალს.

რა თქმა უნდა, რესპუბლიკის პოლიტიკურ წრეებში კარგად ესმით, რომ საქართველო გეოგრაფიულად სამხრეთი ოსეთის მეზობლად მდებარეობს და

ამას ვერსად გაექცევი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ ხალხში ყველაფერი ქართული მხოლოდ გაუცხოებას იწვევს. ეს განსაკუთრებით პოლიტიკურ პროექტებს ეხება. მაგალითად, მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერის, ზურაბ ნოღაიდელის ცხინვალში ვიზიტი აქ უაღრესად უარყოფითად მიიღეს.

ოპოზიციის უნიათობამ და შიშმა განაპირობა ის, რომ 20 მარტს არავინ არ ისურვა ქუჩაში გასვლა პრეზიდენტისა და მთავრობის წინააღმდეგ პროტესტის გამოსახატად.

ცხინვალის თეატრის მოედანზე შეიკრიბნენ მხოლოდ ჟურნალისტები, რომლებიც სამსაათიანი ლოდინის შემდეგ დაიშალნენ.

კოკოითის მიმართ უკმაყოფილება სამხრეთ ოსეთში ძალიან დიდია. მოსახლეობა განსაკუთრებით უკმაყოფილოა – აღდგენითი სამუშაოებით, ახალი მშენებლობებით, სოციალური პრობლემების ზრდით.

სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკას არ აქვს რევოლუციებისა და ხელისუფლებების გადატრიალების გზით შეცვლის გამოცდილება და პრაქტიკა. სწორედ ამის გაკეთება სურს დღევანდელ ოპოზიციას.

საპარლამენტო ოპოზიციას ამჟამად სამხრეთი ოსეთის კომუნისტური პარტია წარმოადგენს, რომლის თავმჯდომარე სტანისლავ კოჩიევი უდავოდ იქნება სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი 2011 წელს.

რესპუბლიკის ახლანდელი პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი უკვე მეორე ვადით იკავებს ამ თანამდებობას, რაც, რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით, ზედიზედ მაქსიმალური შესაძლო ვადაა.

დღევანდელი ოპოზიცია არ არის ის ძალა, რომელიც ღირსეულად ჩაანაცვლებდა კოკოითის. ხალხს ცუდსა და უარესს შორის უწევს არჩევანის გაკეთება. შიში და გაურკვევლობა თავისას შვრება – ოსი ხალხი ჯერჯერობით სიმშვიდესა და სტაბილურობას ირჩევს.

სტატიაში გამოყენებული ტერმინოლოგია და გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არა „ლიბერალს“.

პატიმართა გასვლის პროცესი

ჰიმ უპასუხებს ცხინვალი თბილისს?

გასულ კვირას საქართველოს მთავრობამ ოსურ მხარეს ექვსი პატიმარი გადასცა. ახლა ჯერი ცხინვალზეა.

ოლესია ვართანიანი, რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი, თბილისი სპეციალურად „ლიბერალისთვის“

უკვე ცხინვალში ჩასულმა ყოფილმა პატიმრებმა იქაურ ჟურნალისტებს უამბეს, რომ გათავისუფლება მათთვის მოულოდნელობა იყო. ზოგიერთი მათგანი ციხეში სისხლის სამართლის სასჯელს იხდიდა, ზოგიც სასამართლო ძიების დასრულებას ელოდებოდა.

ყოფილი პატიმრების ნაწილი ჰყვებოდა, რომ ისინი დილით ადრე წაიყვანეს ციხიდან სასამართლო სხდომაზე, რის შემდეგაც ერგნეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე მიიყვანეს და ცხინვალის მხარეს გადასცეს.

ორშაბათს საღამოს საქართველოს ხელისუფლებამ პირველი სამი პატიმარი გაათავისუფლა, მეორე დღეს – კიდევ სამი. ექვსი პატიმრის გათავისუფლება მაშინ მოხდა, როდესაც საქართველოს, რუსეთისა და ორი კონფლიქტური რეგიონის დელეგაციები უკვე ჟენევაში, მოლაპარაკებათა მორიგ რაუნდზე იმყოფებოდნენ. ამ ადამიანების გათავისუფლებით საქართველოს ხელისუფლებას არც ერთი ოსი ეროვნების პატიმარი აღარ დარჩა, რომლებიც აგვისტოს ომის შემდეგ დააკავეს და ვის პატიმრობასაც ოფიციალურად ადასტურებდა.

ცხინვალის სიაში კიდევ ოცამდე ადამიანია, რომლებიც 2008 წლის ომის მოვლენებამდე დააპატიმრეს. არის კიდევ შვიდი ადამიანი, რომელთა გათავისუფლებასაც ცხინვალი მოითხოვს, ოფიციალური თბილისი კი მათ აგვისტოს ომში უგზოუკვლოდ დაკარგულებად აცხადებს.

აგვისტოს ომის შემდეგ დაკავებულების გათავისუფლებას რამდენიმე თვის განმავლობაში მოითხოვდა სამხრეთი ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება, რომელიც აცხადებდა, რომ რამდენიმე მათგანი უკანონოდ იყო დაპატიმრებული. ამ პატიმრების დაკავების უკანონობის თაობაზე კერძო საუბრებში ეჭვებს გამოთქვამდნენ ზოგიერთი უცხოელი დიპლომატები და დიპლომატიური ორგანიზაციებიც.

ანალოგიური ეჭვებია ცხინვალში აგვისტოს ომის შემდეგ დაკავებული 13 ქართველის თაობაზეც. სამი მათგანი, უკვე წელიწადზე მეტია, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე იმყოფება ცხინვალის იზოლატორში.

გასულ კვირას, პატიმრების გადაცემის დროს ცხინვალმა თბილისს ერთი ქართველი გადასცა – მალხაზ სამადაშვილი, რომელიც ერთი კვირის წინ დააპატიმრეს „საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის“, როდესაც ის თავის სოფლის მახლობლად ფიჩხს აგროვებდა. მაგრამ საეჭვოა, რომ ცხინვალთან დაკავშირებული მოლოდინი ერთი ქართველის გადაცემით ამოიწუროს.

პატიმრების გათავისუფლებიდან უკვე მეორე დღეს საქართველოში ევროპელ დამკვირვებელთა მისიამ

პატიმართა გადაცემა ოსური მხარისთვის, მარტი 2010

ფოტოები ვარვარა პარხომენკო

სამხრთი ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებას მოუწოდა, თავის მხრივ ქართველი პატიმრებიც გაათავისუფლოს.

როგორც კი ექვსი პატიმრის გათავისუფლების შესახებ შეიტყვეს, საერთაშორისო შუამავლებმა ჟენევის მოლაპარაკებების დასრულებისთანავე დაიწყეს იმაზე მსჯელობა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, ინციდენტის პრევენციისა და გადაწყვეტის ფარგლებში, საქართველოსა და ცხინვალის ხელისუფლებათა საზღვართან შეხვედრების განახლება.

ეს შეხვედრები, უკვე რამდენიმე თვეა, მას შემდეგ შეწყდა, რაც ცხინვალმა მას უსარგებლო უწოდა ტყვეთა გაცვლისა და დაკარგულთა ძიების თვალსაზრისით.

„ჩვენ ეს ცხინვალისგან საპასუხო ნაბიჯის მოლოდინით არ გაგვიკეთებია, – თქვა საქართველოს მხარის წარმომადგენელმა შოთა უტიაშვილმა ჟენევის მოლაპარაკებებზე, – არსებობდა ბევრი ფაქტორი, რომელთა გამოც ისინი გავათავისუფლეთ. მათ შორის მთავარი გახლდათ ჩვენი პარტნიორების რჩევა“, – გათავისუფლების მიზეზების შესახებ მოკლე კომენტარით დაკმაყოფილდა შოთა უტიაშვილი. სამხრეთი ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებას საერთაშორისო საზოგადოებრიობის მოლოდინთან დაკავშირებით ჯერჯერობით პასუხი არ აქვს.

„ცხინვალში ამ გათავისუფლებას არ მოელოდნენ“, – ამბობს იმ დღეებში ცხინვალში ნამყოფი ვარვარა პარხომენკო, რუსული სამართალდამცავი ორგანიზაციის „სამართლებრივი ინიციატივის“ სპეციალისტი. ის ყოფილი პატიმრების პრესკონფერენციებსაც დასწრო.

„ბუნებრივია, პრესკონფერენციაზე მათ ჰკითხეს, – „რატომ გაგათავისუფლეს მაინცდამაინც ახლა?“ ეს ადამიანები კი მხრებს იჩეჩავდნენ და ამბობდნენ: „არ ვიცით, ჩვენ თვითონაც არ მოველოდით“, – ჰყვება ვარვარა პარხომენკო.

ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ პირველ დღეებში არც კი იცოდა, ექვსი პატიმრის გათავისუფლებასთან დაკავშირებით რა კომენტარი გაეკეთებინა. ჟენევაში მყოფი მათი წარმომადგენლები ჟურნალისტების სატელეფონო ზარებს არ პასუხობდნენ.

ოფიციალურმა საინფორმაციო საგენტო „რეს“-მა სამხრეთი ოსეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ალან პლიევის ინფორმაციაზე დაყრდნობით, ეს გათავისუფლება შეაფასა „საქართველოს ხელისუფლების მორიგ პიარ აქციად, რომელიც ჟენევის მოლაპარაკებებისთვის იყო გათვლილი“.

თავად პლიევმა სატელეფონო საუბრისას განაცხადა, რომ მას „ჯერ კიდევ არ გააჩნია ამ საკითხის საკუთარი ხედვა“. მან, ისევე როგორც დანარჩენმა ცხინვალელმა ჩინოვნიკებმა, ვერ უპასუხეს კითხვას, აპირებენ თუ არა ისინი თბილისისთვის რომელიმე მათ მხარეს მყოფი პატიმრის გადაცემას.

„ბუნებრივია, პრესკონფერენციაზე მათ ჰკითხეს, – „რატომ გაგათავისუფლეს მაინცდამაინც ახლა?“ ეს ადამიანები კი მხრებს იჩეჩავდნენ და ამბობდნენ: „არ ვიცით, ჩვენ თვითონაც არ მოველოდით“, – ჰყვება ვარვარა პარხომენკო.

მოლაპარაკებები ამ პატიმრებთან დაკავშირებით, უკვე რამდენიმე თვეა, მიმდინარეობს. ცხინვალი ხან თანახმა იყო საქართველოს ციხეში მყოფი პატიმრების გაცვლაზე, ხანაც თბილისისგან ისევ მოითხოვდა იმ ადამიანთა გადაცემას, რომლებიც ან უკვალოდ დაიკარგნენ, ან აგვისტოს ომამდე იყვნენ დაკავებულები.

ჟურნალ ლიბერალის შეხვედრა სტუდენტებთან

8 აპრილს, ხუთშაბათს, 15სთ-ზე

გაიმართება ჟურნალ „ლიბერალის“ რედაქციის შეხვედრა
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან.
შეხვედრაზე დასწრება ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-6 კორპუსი.
საკონფერენციო დარბაზი

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
91 23 26
899 48 62 41

ომამდე დაპატიმრებულთა შორის, ვის გადაცემასაც ცხინვალი მოითხოვს, არიან მარეკ დუდაევი და სამი ტუსაღი, 2005 წელს გორის პოლიციის შენობასთან მომხდარი ტერაქტის ორგანიზატორები. თბილისი მათი გადაცემის კატეგორიული წინააღმდეგია, და აცხადებს, რომ ასეთი მოთხოვნებით ცხინვალის მხარეს მთელი ეს პროცესი ჩიხში შეჰყავს.

გასულ კვირას გათავისუფლებულ პატიმრებს შორის ორი – რუსეთის მოქალაქეა, ჩრდილოეთი ოსეთიდან. ორივე ოკუპაციის შესახებ კანონის დარღვევისთვის დააპატიმრეს, ერთი – თბილისში, მეორე – სამხრეთი ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან.

დანარჩენი ოთხი მუდმივად ცხოვრობს ცხინვალის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. სამ მათგანს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები „სერიოზულ კრიმინალებს“ უწოდებდნენ და გამორიცხავდნენ მათი გათავისუფლების ყველანაირ შესაძლებლობას. ზოგიერთი მათგანი ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვისთვის იყო დაპატიმრებული, ერთი მათგანი კი – ყალბი დოლარების გასაღებისთვის.

ამ ოთხიდან ერთი – გოლერი ტოროშელიძე – ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე დააპატიმრეს ოსური გვარის მქონე სხვა ხუთ ადამიანთან ერთად. ტოროშელიძესთან ერთად დაპატიმრებული ყველა ოსი მოქალაქე საქართველოს ხელისუფლებამ ან უკვე გაცვალა, ან გაათავისუფლა. ტოროშელიძეს კი იმ მიზეზით არ ათავისუფლებდნენ, რომ ის საქართველოს მოქალაქეა.

„ჩვენივე მოქალაქეს ხომ არ გადავცემთ?!“ – განაცხადა რამდენიმე თვის წინ ჟენევის მოლაპარაკებებზე საქართველოს დელეგაციის წარმომადგენელმა შოთა უტიაშვილმა.

ევროპის დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენლებმა საქართველოს გადაწყვეტილება პატიმრების გათავისუფლების შესახებ დადებითად შეაფასეს. მაგრამ იქვე ითქვა: „იმედი გვაქვს, მომავალში ამგვარი გათავისუფლებები ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გზით მოხდება და არა – სასამართლო სისტემის მეშვეობით“.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დარბაზი, ჟენევა, 2010

თვალსაზრისი

ჟენევის მოლაპარაკებები

ჟენევაში მოლაპარაკებათა მეორე რაუნდიდან ცხადი გახდა, რომ აქ მხარეებს არ გაუმართლებდათ – მოსკოვს და თბილისს აფხაზეთსა და ოსეთში ვითარების დარეგულირებასთან დაკავშირებით რადიკალურად განსხვავებული პოზიციები აქვთ.

ოლგა ალიონოვა, სპეციალურად „ლიბერალისთვის“ ჟენევიდან

ქართულ მხარეს თითქმის თავიდანვე მოუხდა კომპრომისზე წასვლა, როდესაც მოლაპარაკებებში აფხაზეთისა და ოსეთის წარმომადგენლების მონაწილეობას დათანხმდა. მართალია, მათ წარმომადგენელთა სტატუსი არ გააჩნიათ, ისინი ჟენევაში მხოლოდ ექსპერტები არიან, მაგრამ ამ დიპლომატიური ხრიკით საქართველომ მაინც უკან დაიხია. ძნელია ისეთი შემთხვევის გახსენება, რომ რუსული მხარე რაიმე სადავო საკითხთან დაკავშირებით დათმობაზე წასულიყო.

თბილისმა ბოლო რაუნდის დროსაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ

თბილისმა ჟენევის მოლაპარაკებების ბოლო რაუნდის დროს კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მზადაა დათმობაზე წასასვლელად.

მზადაა დათმობაზე წასასვლელად – ქართულმა მხარემ გაათავისუფლა 6 პატიმარი, რომელთა განთავისუფლებასაც ოსური მხარე ითხოვდა. თუმცა, ცხინვალი საპასუხო ნაბიჯის გადადგმას არ ჩქარობს. კითხვას თუ რამ განაპირობა პატიმრების მოულოდნელი განთავისუფლება – საქართველოს დელეგაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი პასუხობს: „ჰამარბერგმა გვთხოვა!“

ჟენევის ფორმატის ფარგლებში პატიმრების განთავისუფლებით, ევროპელები შეეცადნენ კიდევ ერთხელ ხაზი გაესვათ იმ ევროპული მისიების წარმატებისთვის, რომლებიც ცხელ წერტილებს თავიანთ საშუამავლო სამსახურს სთავაზობენ, რეალურად კი სიტუაციაზე გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ.

ეს სამწუხარო რეალობაა. ევროპელებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არ უშვებენ. ცხინვალში, სოხუმსა და მიდან და თბილისიდან. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც აგვისტოს ომის შემდეგ ქართული და აფხაზურ-ოსურ-რუსული მხარეები ერთმანეთს ხვდებიან. ამ ვოიაჟების შედეგად ევროკავშირის ერთადერთ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ჯგუფის შეხვედრები.

ეს მექანიზმი მცდელობაა შერეული საკონტროლო კომისიის გამოცდილების გამეორებისა, რომელიც თავის დროზე საკმაოდ წარმატებულად მუშაობდა.

თუმცა, დღევანდელ მისიას სხვა რეალობაში უწევს მუშაობა – აგვისტოს ომის შემდეგ მოსკოვს, სოხუმსა და ცხინვალს პრინციპულად არ სურთ სააკაშვილთან ლაპარაკი და ევროპელებმა, რომლებიც შუამავლობენ მოლაპარაკებების პროცესს, ეს კარგად იციან. ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მე-

სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის დაბრუნება უფრო ფანტასტიკის სფეროდანაა. თუმცა, თბილისი ამ შეთანხმების ხელმოწერითაც ძალიან მცირე გარანტიას მიიღებს, რომ რეგიონში მშვიდობა დამყარდება.

ევროპელების მიერ გაუკონტროლებელ ტერიტორიებზე ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს აფეთქება, თავდასხმა, სროლები, რომელთა მიზეზებს ვერც ეუთო დაადგენს და ვერც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. არ არსებობს არანაირი გარანტია, რომ ასეთი ძალისმიერი აქტების ორგანიზებაში მოსკოვი თბილისს არ დაადანაშაულებს. არც იმის საშუალება არსებობს, რომ თბილისმა საპირისპირო დაამტკიცოს. ესე იგი, ნებისმიერი მიზეზი შეიძლება ახალი ომის საბაბად იქცეს.

დღეს თბილისი ოფიციალურად აცხადებს, რომ მზადაა, ხელი მოაწეროს ძალის გამოუყენებლობის შე-

ჟენევის ფორმატის ფარგლებში პატიმრების განთავისუფლებით, ევროპელები შეეცადნენ კიდევ ერთხელ ხაზი გაესვათ იმ ევროპული მისიების წარმატებისთვის, რომლებიც ცხელ წერტილებს თავიანთ საშუამავლო სამსახურს სთავაზობენ, რეალურად კი სიტუაციაზე გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ.

მოსკოვში ის აზრიც კი დაუშვებლად მიაჩნიათ, რომ ამ ტერიტორიებზე ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის მუშაობა აღდგეს. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი მოსკოვის შეხედულებებს ითვალისწინებს, რუსეთი არ დაუშვებს, რომ დასავლეთს ერთი შანსი მაინც მისცეს თავისი მნიშვნელოვნებისა და ქმედითუნარიანობის სადემონსტრაციოდ. რუსეთი ცდილობს, რომ ამ მოედანზე პირველობა არ დათმოს.

თუმცა, ევროპული მისიები, რომლებიც სერიოზულ თანხებს ხარჯავენ სამშვიდობო საქმიანობისთვის, იძულებულნი არიან, თავიანთი საქმიანობის დემონსტრირება მოახდინონ – თუნდაც საკუთარი მოქალაქეების წინაშე, რომელთა გადასახადებითაც არსებობს ეს მისიები.

უკვე თითქმის ორი წელიწადია, ევროკავშირის ხარჯზე ჟენევაში რამდენიმე ათეული ადამიანი ჩადის მოსკოვიდან, ცხინვალიდან, სოხუ-

ქანიზმის გარდა, ჟენევაში ხელი არ მოუწერიათ არც ერთი შეთანხმებისთვის ან ოქმისთვის.

ამის მიზეზი აფხაზეთისა და ოსეთის მიერ მოსკოვის რჩევით წაყენებული მოთხოვნაა, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ხელი უნდა მოეწერა შეთანხმებაზე, რომ არ გამოიყენებდა ძალას ცხინვალისა და სოხუმის წინააღმდეგ. თანაც ამ შეთანხმებებისთვის ხელი უნდა მოეწერათ თბილისი-ცხინვალისა და თბილისი-სოხუმის დონეზე. ანუ, ქართველებს ამით უნდა ეღიარებინათ დამოუკიდებელი პოლიტიკური ხელისუფლებების არსებობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

საკმაოდ ეშმაკური ნაბიჯია. თუკი თბილისი ამაზე წავა, ეს იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთსა და ოსეთს ხელს უხსნის. და ალბათ საქართველოს მთავრობას ეს ნაბიჯი უნდა გადაედგა, იმის გათვალისწინებით, რომ მინიმუმ უახლოესი 30 წლის განმავლობაში

სახეზე შეთახმებას, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ – რუსეთთან. თუმცა, ცეცხლის განუახლებლობის შესახებ შეთანხმებაში მეორე მხარედ რუსეთის ყოფნა ასეთ სცენარს განუხორციელებელს არ ხდის. რუსეთს და საქართველოს უკვე არაერთხელ აქვთ ხელმოწერილი სხვადასხვა შეთანხმება, და ამან 2008 წლის აგვისტოში კავკასია ვერ დაიცვა, ისევე როგორც ვერ დაიცავენ მას ჟენევური მოლაპარაკებები. მაგრამ ევროპელებს ამის აღიარება არ სურთ, რადგან ჟენევის ფორმატის უძლურების აშკარად აღიარება მთლიანად ევროკავშირის უძლურების აღიარებას ნიშნავს რუსეთთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში.

ამიტომაც დასავლეთის წარმომადგენლებისთვის ერთადერთი გამოსავალია თვითპიარი, და ამაში მათთვის დახმარების გაწევა – მოსკოვის ურჩობის ფონზე – მხოლოდ საქართველოს შეუძლია.

პატიმარი სტიქარში

მართლმადიდებლურ მონასტრებში ათამდე პატიმარი „იხდის სასჯელს“. სახელმწიფო საპატრიარქოს ახალ ინიციატივას გადატვირთულ ციხეებში პატიმრების რაოდენობის შესამცირებლად იყენებს.

მარიკა ქოჩიაშვილი

ფოტო: მარიკა ქოჩიაშვილი

პატიმარი ტარიელ მაისურაძე 7-გზის ზეთისცხების დროს. მამა ამბროსი ხელაიას სახელობის მამათა მონასტერი, თბილისი 2010

ორი თვის წინ 50 წლის ტარიელ მაისურაძე 22 ათასი პატიმრიდან გამოარჩიეს და ავჭალის ციხეში გატარებული 4 წლის შემდეგ თბილისის ზღვაზე, ამბროსი ხელაიას სახელობის მამათა მონასტერში გადაიყვანეს.

ტარიელ მაისურაძემ, რომელიც ყოფილი პოლიციელია და სასჯელს თანამდებობის ბოროტად გამოყენების გამო იხდიდა, პატიმრობის დარჩენილი 3 წელი ახლა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომაში უნდა გაატაროს.

ამას სასჯელის ალტერნატიული ფორმა ჰქვია და, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით ეს ადრეც დაშვებული იყო, პრაქტიკულად, მხოლოდ 2009 წლიდან ამოქმედდა, როცა პროცესში საპატრიარქო ჩაერთო. პრობაციისა და სასჯელაღსრულების სამინისტროსა და საპატრიარქოს შორის გაფორმებული მემორანდუმის მიხედვით, თუკი მსჯავრდებული თანახმაა, საპატრიარქო იღებს ვალდებულებას, ის რომელიმე მონასტერში გადაიყვანოს საცხოვრებლად და იქვე დაასაქმოს.

მოცუცქნულ საკანში ტარიელ მაისურაძის საწოლი, კარადა და ტუმბო დგას. კედელზე ხატებია გაკრული, მაგიდაზე კი დადგენილება დევს, რომელშიც წერია, რომ მსჯავრდებული, სასჯელის დარჩენილ ვადას – 3 წელს, მონასტერში გაატარებს.

ტარიელი რომ საკნიდან მონასტერში მოხვდა, ეს მისი მოძღვრის დამსახურებაა, რომელსაც ის ავჭალის საპყრობილეში ხვდებოდა ხოლმე. როცა მღვდელმა სასჯელის ალტერნატიული ფორმის შესახებ უთხრა, ტარიელს ბევრი არ უყოყმანია, რადგან ციხის, მისი თქმით, „კოშმარულ“ პირობებს ყველაფერი ერჩივნა. ის იხსენებს საკუთარ საკანს, სადაც პატიმრებს, არასაკმარისი საწოლების გამო, რიგრიგობით უწევდათ დაძინება. „როცა მოვდიოდი, ბიჭები მომტიროდნენ, ნეტა, შენს ადგილას ვიყოთო“, – იხსენებს ტარიელი.

მონასტერში დასაქმება, ციხეში სასჯელის მოხდის ნაცვლად, პირველ ეტაპზე იმ პატიმრებისთვის გახდა ნებადართული, რომელთაც მსუბუქი დანაშაული აქვთ ჩადენილი. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, ტატო ქელბაქიანის თქმით, დღეს მონასტერში უკვე 10-მდე პატიმარი გადაიყვანეს.

„რადგანაც ინიციატივა საპატრიარქოსგან წამოვიდა, ისინი სწავლობენ და განიხილავენ თითოეულ თხოვნას, რომელიც მათთან პატიმრების მოძღვრებს შეაქვთ. ამის შემდეგ ჩვენ ვმსჯელობთ და სასამართლოს დახმარებით ვიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას“, – ამბობს ტატო ქელბაქიანი.

ტარიელს ყოველდღე 8 საათის განმავლობაში ფიზიკური შრომა ევალება. ის დილით 6 საათზე, ბერებთან ერთად ლოცვისთვის იღვიძებს; დღის განმავლობაში ძაღლებს, ქათმებს და პატარა დათვის ბელს აჭმევს და მათ გალიებს უსუფთავებს; მონაწილეობს მონასტრის ეკლესიის მშენებლობაშიც, რომელიც თითქმის დასრულებულია. ტარიელი წირვისას სტიქაროსნადაც მსახურობს და მამებს ღვთისმსახურებაში ეხმარება. მოკლედ, ის ისეთივე ცხოვრებით ცხოვრობს, როგორც ბერები.

„მონასტერში ცხოვრება პატიმრების სულების გადასარჩენად ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ერთად ვკითხულობთ საღვთო წიგნებს, ლიტერატურას წმინდა მამების შესახებ და შემდეგ ვმსჯელობთ. მზად ვარ, სხვა პატიმრებიც მივიღოთ“, – ამბობს მონასტრის არქიმანდრიტი, მამა საბა.

პატიმარსა და ეკლესიის მსახურებს შორის ურთიერთობა მთლიანად ნდობაზეა დამყარებული. ამიტომ, ისინი მონასტერში ბადრაგის გარეშე

რჩებიან. 8-საათიანი სამუშაოს დასრულების შემდეგ მათ მონასტრის ტერიტორიიდან გასვლის უფლებაც აქვთ, კანონი ამ შეზღუდვას არ აწესებს. თუმცა, პრობაციის სამსახურის თანამშრომლები ვალდებულები არიან, პატიმრებს მონასტერში პერიოდულად მიაკითხონ და გააკონტროლონ.

„თუკი აღმოვაჩენთ, რომ თავის ვალდებულებას არ ასრულებს, ან თუ მონასტრიდან წამოვა საჩივარი, პატიმარი შეიძლება ისევ ციხეში დავაბრუნოთ", – ამბობს ტატო ქელბაქიანი.

ასეთი შემთხვევა ჯერ არ ყოფილა. ტარიელს მონასტრიდან გაქცევის აზრი არც კი გასჩენია. მან იცის, რომ თვეში მხოლოდ სამი დღით შეუძლია სახლში წასვლა და ეს მისთვის საკმარისია. ახლობლები მას მონასტერში აკითხავენ.

იქ მას ყველაზე მეტად ის მოსწონს, რომ მშვიდად ფიქრის საშუალება აქვს: „27 წელი ვმუშაობდი პოლიციელად. ბევრი ცოდვაც მაქვს ჩადენილი, აქ პირველად მომეცა საშუალება, ეს ყველაფერი გამეაზრებინა", – ამბობს ის. ბერად აღკვეცას არ აპირებს, თუმცა უფლება რომც ჰქონდეს, თავის ძველ პროფესიას მაინც აღარ დაუბრუნდება.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელს, გიორგი ჩხეიძეს ეს ინიციატივა მოსწონს, თუმცა გარკვეულ საფრთხეს მაინც ხედავს.

„არ ვიცი, ფლობს თუ არა სახელმწიფო პროცესის ზედამხედველობის მექანიზმებს. არ ვიცი, პრობაციის დეპარტამენტს რამდენად აქვს საშუალება, თვალი მიადევნოს ამ პატიმრებს. მნიშვნელოვანია, სამინისტრომ უფრო აქტიურად გამოაქვეყნოს ინფორმაცია, რა შედეგი გამოიღო ერთი წლის შემდეგ ამ ინიციატივამ", – აცხადებს ჩხეიძე.

მაგალითად, თუ მონასტერში გადაყვანილი პატიმარი დანაშაულს ჩაიდენს, არ არის განსაზღვრული, რომელი მხარე აგებს პასუხს. საპატრიარქოსა და სამინისტროს შორის გაფორმებულ დოკუმენტში მსგავსი პუნქტი ჩადებული არ არის. სასჯელაღსრულების სამინისტროში აცხადებენ, რომ ასეთ შემთხვევაში, პატიმარი ისევ ციხეში დაბრუნდება, პასუხისმგებლობას კი მომხდარზე არც ერთი მხარე არ აიღებს.

ქელბაქიანი, რომელიც დარწმუნებულია, რომ კონტროლის პრობლემა არ არსებობს, მიიჩნევს, რომ მომავალში ალტერნატიული სასჯელი შესაძლებელია მკვლელობის გამო დაპატიმრებულებსაც კი შეუფარდონ.

„უნდა შეფასდეს, რამდენად მოხდა ამა თუ იმ პატიმრის რეაბილიტაცია და სასჯელის მიზნის მიღწევა ციხეში ყოფნის პერიოდში. მზად არის თუ არა პატიმარი, რომ დაბრუნდეს საზოგადოებაში. რისკების სწორად შეფასების შემთხვევაში, ვფიქრობ, ნებისმიერ დანაშაულზე შეიძლება მსგავსი გადაწყვეტილების მიღება", – აცხადებს ქელბაქიანი.

მისი თქმით, საპატრიარქოს ინიციატივა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებულ პატიმრებს იმ შემთხვევაში შეეხებათ, თუკი მათ სასჯელის ორ მესამედზე მეტი უკვე მოხდილი აქვთ, მძიმე დანაშაულზე – ვადის ნახევარი, ხოლო ნაკლებად მძიმე დანაშაულზე – სასჯელის ერთი მესამედი.

გიორგი ჩხეიძე თანხმდება, რომ ალტერნატიული სასჯელი, ნებისმიერი დანაშაულის შემთხვევაში, შეიძლება შეუფარდონ ადამიანს, თუმცა ეეჭვება, რომ სისტემა ამას შეცდომის გარეშე გააკეთებს. ის ფიქრობს, რომ პროცესში სხვადასხვა სპეციალისტები, მათ შორის ფსიქოლოგებიც, უნდა იყვნენ ჩართულნი.

ალტერნატიული სასჯელის შეფარდება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სტრატეგიის ნაწილია. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, „დანაშაულის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის" შედეგად პატიმართა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა და საქართველოს ციხეები გადაიჭედა.

„პრევენციული მექანიზმებისა და ალტერნატიული სანქციების გამოყენების მექანიზმების დახვეწა უცებ ვერ მოხდა. ამიტომაც არის გადატვირთული ციხეები. ახლა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის პრაქტიკა, მონასტრების გარდა, შესაძლებელია სხვა ინსტიტუციებშიც შემოვიღოთ – მაგალითად, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში. შესაძლებელია, პატიმრები ჩავრთოთ გამწვანების ან დასუფთავების პროგრამებში. ჩვენი რეფორმის მიზანია, რომ პატიმრების რიცხვი შემცირდეს", – ამბობს ქელბაქიანი.

თუმცა, სასჯელის სავალდებულო ნაწილის მოხდის შემდეგ მონასტერში მოხვედრის შანსი ჯერჯერობით მხოლოდ მათ ეძლევათ, ვინც მართლმადიდებელია.

მართალია, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა მხოლოდ მართლმადიდებლურ ეკლესია-მონასტრებში მსახურებას არ გულისხმობს, მაგრამ, ქელბაქიანის თქმით, სხვა ეკლესიების მხრიდან ჯერჯერობით ინიციატივა არ ყოფილა: „იმ შემთხვევაში, თუკი სხვა ეკლესიებიც გამოთქვამენ მზადყოფნას, მზად ვართ, მათთან ამაზე ვიმსჯელოთ".

სხვა ეკლესიები ამაზე სალაპარაკოდ ჯერ მზად არ არიან. სომხური ეკლესიის მოძღვარი, მამა ნარეკი ამბობს, რომ ინიციატივას ვერ გამოიჩენენ, იმიტომ რომ საქართველოს ტერიტორიაზე სომხურ ეკლესიას მონასტრები არ აქვს, სადაც პატიმრებს შეიფარებენ. არადა, საქართველოს ციხეებში პატიმართა სიმრავლით მეორე ეთნიკურ უმცირესობას სწორედ სომხები წარმოადგენენ.

ამასობაში საპატრიარქო მართლმადიდებელი პატიმრების შეფარებას აგრძელებს. პირველ აპრილს სტიქარში გამოწყობილი პატიმრების რიცხვს კიდევ ორი არასრულწლოვანი მიემატა. ბიჭები ბოლნისის ეკლესიაში გადაიყვანეს.

პატიმარსა და ეკლესიის მსახურებს შორის ურთიერთობა მთლიანად ნდობაზეა დამყარებული. ამიტომ, ისინი მონასტერში ბადრაგის გარეშე რჩებიან. 8-საათიანი სამუშაოს დასრულების შემდეგ, მათ მონასტრის ტერიტორიიდან გასვლის უფლებაც აქვთ, კანონი ამ შეზღუდვას არ აწესებს.

სახელმწიფო და ადამიანის უფლებები

სახალხო დამცველის ანგარიში

ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ, საქართველოს სახელმწიფოს ძალიან ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი. როგორც წესი, დარღვევები სახელმწიფო მოხელეთა არაპროფესიონალიზმისა და გულგრილობის ბრალია.

ნინო ბექიშვილი

2010 წლის 31 მარტს გიორგი ტულუშმა გამოაქვეყნა ანგარიში 2009 წლის მეორე ნახევარში (1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით) ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ, სადაც, კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით, დაწვრილებითაა აღწერილი საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა. გაანალიზებულია კანონმდებლობა და მასში ასახული ცვლილებები. სახალხო დამცველი მიმართავს საჯარო დაწესებულებებსა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს როგორც სამოქალაქო-პოლიტიკური, ისე მოქალაქეების სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების დასაცავად.

პირველი, რაც თვალში გეცემათ, ისაა, რომ უკანასკნელი ანგარიში შედარებით მოკლეა, 328 გვერდს მოიცავს, ყურადღება გამახვილებულია სისტემურ პრობლემებზე და ნაკლებადაა აღწერილი კონკრეტული საქმეები, რაც დოკუმენტის აღქმას, გარკვეულწილად, აადვილებს. თუმცა, დაწვრილებითაა შესწავლილი არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, მაგალითად – სასჯელაღსრულების ადგილების მდგომარეობა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, პატიმართა ჯანდაცვა, დევნილთა მდგომარეობა, ბავშვთა უფლებები.

ფოტო: ეთერ ბარაქიშვილი

გიორგი ტულუში 2009 წლის ზაფხულში, როცა ის პარლამენტმა საქართველოს სახალხო დამცველად დაამტკიცა, აღნიშნავდა, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ომბუდსმენის აპარატისა და მისი რეკომენდაციებისადმი სახელმწიფო სტრუქტურების დამოკიდებულების შეცვლა. უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში ერთი მახინჯი ტრადიცია დამკვიდრდა: საქართველოს პარლამენტი, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ ცნობად იღებდა ომბუდსმენის ანგარიშს და ისეც ხდებოდა, რომ მის მოხსენებას არც განიხილავდა ხოლმე. რეალურად, სახალხო დამცველის რეკომენდაციების დაახლოებით 11% სრულდებოდა და პრობლემების უდიდესი ნაწილი ერთი ანგარიშიდან მეორეში უცვლელად გადადიოდა.

უკანასკნელი ანგარიშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტმა გიორგი ტულუშის წინა მოხსენება მოისმინა და მასზე იმსჯელა კიდეც, ჯერჯერობით ეს ტენდენცია

გრძელდება და პრობლემურ საკითხთა უმრავლესობა – მაგალითად, სასჯელაღსრულების ადგილების გადატვირთულობა, პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობა, სამართლიანი სასამართლოს უფლების ხშირი დარღვევა, სახელმწიფო ინსტიტუციებში მყოფი ბავშვების სავალალო მდგომარეობა, რელიგიური უმცირესობების შევიწროების ფაქტები და სხვა მრავალი – საქართველოს სახელმწიფოში ისევ გადაუჭრელია. აღსანიშნავია ისიც, რომ საკითხთა უმრავლესობა, რასაც სახალხო დამცველის ანგარიში ეხება, მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციების – გაერო-ს, ევროსაბჭოსა და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ სხვადასხვა დოკუმენტში აღწერილია როგორც პრობლემური და სასწრაფოდ მოსაგვარებელი.

გიორგი ტუღუშს ჯერჯერობით უჭირს თქმა, როგორ სრულდება მისი რეკომენდაციები. ომბუდსმენის აპარატი ამ სტატისტიკას ახლა ამუშავებს. ზუსტი შედეგები, სავარაუდოდ, შემოდგომისთვის იქნება ცნობილი. თუმცა, საანგარიშო პერიოდში აპარატს პრობლემებს უქმნიდა ბევრი სტრუქტურა, რომელთათვისაც სახალხო დამცველთან ურთიერთობა ვალდებულებაა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურა. მათი თანამშრომლები აგვიანებდნენ სახალხო დამცველის მიერ გაგზავნილ წერილებზე პასუხს ან საერთოდ არ პასუხობდნენ მათ.

სახალხო დამცველი ამბობს, რომ მისი ჩარევის შედეგად არაერთ პატიმარს აღმოუჩინეს დროული სამედიცინო დახმარება, გაუმჯობესდა რამდენიმე სასჯელაღსრულების დაწესებულების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, პატიმრებისთვის შეიძინეს ტელევიზორები, რაც მნიშვნელოვანია, თუმცა ცივილიზებულ ქვეყნებში, როგორც წესი, ომბუდსმენის რეკომენდაციები 60-70%-ით სრულდება.

სახალხო დამცველის ინსტიტუტი ერთადერთი ორგანოა, რომელიც სასჯელაღსრულების ადგილების მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს. ომბუდსმენის აპარატის თანამშრომლებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ ციხეებში შესვლა და პატიმრების მონახულება. ქვეყანაში, სადაც სასჯელს დაახლოებით 22 000 პატიმარი იხდის, სახალხო დამცველის აპარატის კეთილსინდისიერ და ეფექტურ მუშაობას უდიდესი ჰუმანიტარული მნიშვნელობა აქვს.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელსაც თითქმის ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია აღნიშნავს, ციხეების გადატვირთულობაა: „გადატვირთულობა პირდაპირ არის დაკავშირებული სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივ პოლიტიკასთან, რომელიც „ნულოვან ტოლერანტობას“ ითვალისწინებს ყოველგვარი დანაშაულის მიმართ, განურჩევლად მისი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხისა. სახალხო დამცველმა, 2009 წლის I ნაწილის ანგარიშში, რეკომენდაცია მისცა შესაბამის ორგანოებს და თანამდებობის პირებს, თუმცა ჯერჯერობით ამ მხრივ ცვლილება არ აღინიშნება“, – აღნიშნულია დოკუმენტში.

გიორგი ტუღუში ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა, ამ მხრივ, ზედმეტად მკაცრია და ახალი ციხეების მშენებლობა, თუკი ეს პოლიტიკა არ შეიცვლება, პრობლემას ვერ გადაჭრის. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო თითქოს ეფექტურად იყენებს საპროცესო შეთანხმებას და შეწყალებებიც ხორციელდება, პატიმრების რაოდენობა არ მცირდება. სასჯელებიც მკაცრია. ამიტომაც, სახალხო დამცველი წინადადებით მიმართავს საქართველოს პარლამენტს, რათა შევიდეს შესაბამისი ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და ამჟამად მოქმედი სასჯელის შეკრებითობის პრინციპი შთანთქმის პრინციპით შეიცვალოს.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ ხანებში საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოიმატა პატიმრებისადმი არასათანადო მოპყრობის ფაქტებმა და, შესაბამისად, საჩივრები გახშირდა. სახალხო დამცველი რამდენიმე ციხის მდგომარეობას საკმაოდ მკაცრად აფასებს: „ზოგიერთი სასჯელაღსრულების დაწესებულების საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები იმდენად ცუდია, რომ აღნიშნულ დაწესებულებებში განთავსებული პატიმრები, შეიძლება ითქვას, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ პირობებში იმყოფებიან“. ეს ეხება სასჯელაღსრულების არაერთ ადგილს, მაგალითად, თბილისის N1, ბათუმის N3 და ზუგდიდის N4 საპყრობილეებს, ასევე, ხონის N9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებას. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ქსნის N7 დაწესებულებაში, სადაც ერთი თვის წინ მომხდარმა ხანძარმა კიდევ უფრო მეტად დაამძიმა იქ მყოფი პატიმრების ყოფა.

საქართველოს პენიტენციური სისტემისთვის გადაუჭრელ პრობლემად რჩება ის ფაქტი, რომ პატიმრებს ეზღუდებათ გრძელვადიანი პაემნების უფლება, რომლის უზრუნველსაყოფად საქართველოს სახალხო დამცველი საკანონმდებლო ცვლილებების გატარებას მოითხოვს.

ანგარიშის მიხედვით ცხადი ხდება, რომ სასჯელაღსრულების ადგილებში ადეკვატური სამედიცინო მომსახურების საკითხი უმწვავესად დგას. ამ პრობლემას ანგარიშში ცალკე თავი ეთმობა და დაწვრილებითაა შესწავლილი საქართველოს ყველა დაწესებულება. აღნიშნულია, რომ პატიმრები შესაბამის სამედიცინო დახმარებას ხშირად ვერ იღებენ. მსჯავრდებულებს შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია ტუბერკულოზი და ვირუსული ჰეპატიტები, რაც გარდაცვალების მიზეზიც ხშირად ხდება. აღნიშნულია ისიც, რომ მძიმე ავადმყოფი პატიმრები სამედიცინო დაწესებულებებში დაგვიანებით გადაჰყავთ. „გარდაცვლილ პატიმართა საქმეების ანალიზით ნათელი ხდება, რომ შემთხვევათა გარკვეულ ნაწილში სიკვდილი დადგა გა-

ანგარიშის მიხედვით ცხადი ხდება, რომ სასჯელაღსრულების ადგილებში ადეკვატური სამედიცინო მომსახურების საკითხი უმწვავესად დგას. ამ პრობლემას ანგარიშში ცალკე თავი ეთმობა და დაწვრილებითაა შესწავლილი საქართველოს ყველა დაწესებულება.

დაყვანიდან პირველ დღეს ან რამდენიმე საათში“.

ციხეებსა და კოლონიებში საგანგაშო მდგომარეობაა შექმნილი ფსიქიატრიული მომსახურების მხრივ. საქართველოს ციხეებში არაერთი ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმარი იხდის სასჯელს, მთელი ქვეყნის მასშტაბით კი მათ სულ 5 ფსიქიატრი ემსახურებათ.

სახალხო დამცველის ანგარიშს წინა დოკუმენტებისგან ისიც განასხვავებს, რომ გიორგი ტუღუში პოლიტიკურ შეფასებებსა და განცხადებებს არ აკეთებს და არსებულ პრობლემებს მხოლოდ სამართლებრივი კუთხით აღწერს. ანგარიშში ვერ შეხვდებით ამგვარ შეფასებებს, თუმცა პროფესიონალურად და დაწვრილებითაა შესწავლილი პრობლემები, რაც ქართულ პოლიციას, სასამართლოს, ფსიქიატრიულ დაწესებულებებს ან ბავშვთა სახლებს აქვთ.

პოლიციელების მიერ პირთა დაკავებისას არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა დღეს სისტემურ ხასიათს თითქოს აღარ ატარებს, თუმცა, ამგვარი ფაქტები მაინც ხშირად ხდება, განსაკუთრებით – დასავლეთ საქართველოში. ანგარიშში მოყვანილია რამდენიმე კონკრეტული ფაქტი, რომელზედაც გამოძიება მიმდინარეობს. მაგალითად, ქუთაისში მომხდარი ორი შემთხვევა: ორმოცაძისა და ეჯიბიას საქმეები, სადაც პოლიციელთა მხრიდან აშკარად ჰქონდა ადგილი უფლებამოსილების გადამეტებას, ან ლ. მაღრაძის საქმე. ის 2009 წლის 28 ნოემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა დაკავეს, თავზე ჩამოაფარეს პოლიეთილენის პარკი და მისთვის უცნობ ადგილზე წაიყვანეს. მაღრაძეს 4 საათის განმავლობაში სცემდნენ, ქამრით ახრჩობდნენ, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, ემუქრებოდნენ ოჯახის წამებით. ლ. მაღრაძის ცემა ასევე გაგრძელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში. „პოლიციის მიერ განხორციელებული ზეწოლის შედეგად მას სხეულზე აღენიშნებოდა დაზიანებები – კერძოდ, ხელზე, ყურზე და თვალთან ჰქონდა დალურჯებები, ხოლო წელთან – ნაკაწრები“, – ნათქვამია სახალხო დამცველის ანგარიშში.

სახალხო დამცველი თვლის, რომ ჩვენი სასამართლოსთვის „გადაწყვეტილებების არასაკმარისად დასაბუთებულობა სისტემურ პრობლემას წარმოადგენს“, რომ ბრალდებისა და დაცვის მხარეების შუამდგომლობები თანაბარ პირობებში არ განიხილება, რაც „იწვევს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევას, რადგანაც ვერ ხერხდება თანაბარ პირობებში დაცვის მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა... არის შემთხვევები, როდესაც სასამართლო განაჩენი ეყრდნობა ერთ კონკრეტულ მტკიცებულებას, მაშინ როდესაც არსებობს ამ მტკიცებულების საწინააღმდეგო მტკიცებულება“. ცხადია, ეს ყველაფერი საბოლოოდ გამოტანილ განაჩენზე მოქმედებს. ანგარიშში განხილულია ის კონკრეტული დარღვევებიც, რომლებიც რამდენიმე საქმესთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა. მაგალითად, რ. ცაგარელის, ს. ბესელიას, რ. მილორავასა და ვ. კირვალიძის სისხლის სამართლის საქმე, სადაც არაერთი დარღვევა გამოვლინდა.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის ანგარიშში მოხვდა ფონდ „ინკლუზივის“ ჩხრეკის და პაატა საბელაშვილის დაკავების დროს გამოვლენილი დარღვევები. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის გამო დისკრიმინაციის საკითხზე, შშს-ს მოსთხოვა კონკრეტული პოლიციელების დასჯა, რომელთაც მოგვიანებით სასტიკი საყვედური გამოუცხადეს.

ანგარიშის ცალკე თავი ეთმობა სამოქალაქო-პოლიტიკურ უფლებებსა და შეკრება-მანიფესტაციის თავისუფლებას. განხილულია 2009 წლის 23 ნოემბერს რუსთაველის გამზირზე დაჩი ცაგურიას, ჯაბა ჯიშკარიანის და ირაკლი კორძაიას დაკავების ფაქტი, რასაც სახალხო დამცველი კონსტიტუციით გათვალისწინებული შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების შეზღუდვად აფასებს. ასევე, აღნიშნულია ჟურნალისტებზე ფიზიკური ზეწოლისა და მათი დაშინების შემთხვევები. სახალხო დამცველი სამართალდამცავ ორგანოებს ჟურნალისტების – თედო ჯორბენაძის, ილია ჩაჩიბაიას, ნანა ფაჟავასა და საბა წინიკაშვილის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებების ეფექტურ გამოძიებას სთხოვს.

2009 წლის 17 ივლისს ცვლილებები შევიდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“. ეს ცვლილებები ჯერ კიდევ მიღებამდე გააპროტესტა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების დიდმა ნაწილმა, მოგვიანებით კი საქართველოს პარლამენტმა ვენეციის კომისიის ორი წევრის საკმაოდ უარყოფითი შეფასებებიც მიიღო. ანგარიშში დაწვრილებითაა განხილული და შეფასებული ეს ცვლილებები.

ანგარიში ეხება კიდევ არაერთ მნიშვნელოვან თემას, მაგალითად, როგორიცაა რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების პრობლემები, ბავშვთა უფლებები, ფსიქიატრიული საავადმყოფოების მდგომარეობა, რეპრესირებულთა უფლებები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები, დევნილთა მდგომარეობა და სხვ.

პოლიტოლოგ პაატა ზაქარეიშვილის აზრით, სახალხო დამცველს აუცილებლად უნდა გაემახვილებინა ყურადღება იმ ფაქტზე, რომ ქართველი პოლიციელები ოსი ეროვნების ხუთ მოქალაქეს – იბრაჰიმ ლალიევს, ლავრენტი კაზიევს, ვლადიმირ ელოევს და პავლე და იაკობ ტეხოვებს გორში, პოლიციის სარდაფში არაადამიანურ პირობებში მალავდნენ. მათი განთავისუფლება გასული წლის 3 დეკემბერს, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ჩარევისა და ჰამარბერგის ვიზიტის შემდეგ გახდა შესაძლებელი. „თუ ჰქონდა ბატონ პაატას მსგავსი საქმეები, უნდა მოეწოდებინა ჩვენთვის. იმ საქმეებს, რომელსაც არ ვსწავლობთ, ბუნებრივია, ანგარიშშიც ვერ ჩავდებთ. მოვუწოდებ ბატონ პაატას, ითანამშრომლოს ჩვენთან“, – ამბობს გიორგი ტუღუში.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს რომ მივუახლოვდეთ, საქართველოს სახელმწიფოს ჯერ კიდევ ძალიან ბევრი აქვს გასაკეთებელი. გიორგი ტუღუში მიიჩნევს, რომ ერთია ფინანსების არარსებობა, მაგრამ როდესაც რელიგიურ ნიადაგზე მომხდარი დანაშაულებების დროული გამოძიება არ ხდება, როცა პატიმრებს, ინსტიტუციებში მყოფ ბავშვებს და ფსიქიატრიული საავადმყოფოების პაციენტებს არასათანადოდ ეპყრობიან, აქ ფინანსები ნაკლებადაა დამნაშავე. ძალიან ხშირად ეს ყველაფერი არაპროფესიონალიზმისა და გულგრილობის ბრალია.

დამოუკიდებელი და ზეპირტიელი

ყოველკვირეული „ასავალ-დასავალი“ გადაფურცვლისას ხელებს აშავებს, 1 ლარი და 50 თეთრი ღირს, მაგრამ გაზეთის 20 000-მდე ეგზემპლარი პრესის ჯიხურებიდან ორ დღეში ქრება.

ნინო რობაქიძე

„ასავალ-დასავალის“ ასავალ-დასავალი არავინ იცის. რედაქციის პოვნა შეუსრულებელ მისიას ჰგავს. გაზეთზე მისამართი მითითებული არ არის. ოფიციალურ ვებგვერდზე წერია: საქართველო, 0181, წყნეთი, მთავარი ფოსტა, მოკითხვამდე. ვებგვერდ მედია.ჯი-ზე მითითებულ მისამართზე კი, რედაქციის ნაცვლად, კომპიუტერული ცენტრია გახსნილი.

ჩვეულებრივი საცხოვრებელი კორპუსის ბოლო სართულზე კარს ახალგაზრდა კაცი აღებს. როცა ვეუბნებით, რომ მთავარ რედაქტორთან გვინდა შეხვედრა, კარს ღრიჭოზე გამოღებულს ტოვებს და ერთი წუთით ბინის სიღრმეში უჩინარდება. გაურემონტებელ დერეფანში ცარიელი კედლები და კუთხეში იატაკზე დაყრილი რამდენიმე ძველი კომპიუტერის პროცესორის ყუთი ჩანს. ჩვენთან შესახვედრად ახლა ქალბატონი გამოდის, ცალი ხელით, ზურგს უკან ხურავს კარს და საუბარს სადარბაზოში განვაგრძობთ. „მთავარი რედაქტორი ჟურნალისტებს არ სწყალობს, ამ კვირაში შეხვედრა შეუძლებელია, მაგრამ ისედაც ვერ მიგიღებთ, ხომ გესმით, არა?“ – ხაზგასმული დანანებით ამბობს სოფიო კერესელიძე, თავაზიანად გვემშვიდობება და კარს კეტავს.

„ასავალ-დასავალი“, რომელსაც ყვითელი პრესის ნიშა საქართველოში 1992 წლიდან უკავია, ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული გაზეთია. დაარსების დღიდან მისი უცვლელი გამომცემელია პოეტი ლაშა ნადარეიშვილი, რომლის ლექსებიც „ასავალ-დასავალში“ პერიოდულად იბეჭდება. ნადარეიშვილი, რომელიც მანამდე „ახალგაზრდა კომუნისტთან“ თანამშრომლობდა, ყველაზე მეტად მაინც „ასავალ-დასავალით“ არის ცნობილი. მისი გაზეთი პრესის რეიტინგებში ხან №1 ყველაზე კითხვად გაზეთად ცხადდება, ხანაც სულ ერთი ნაბიჯით ჩამორჩება ასევე ყოველკვირეულ გამოცემას „კვირის პალიტრას“. ამ მონაცემების მიხედვით, სპეციალისტები ადგენენ, რომ „ასავალ-დასავალს“ ყოველკვირეულად 40 ათასი ადამიანი კითხულობს.

„ალბათ ამ გაზეთს აქვს რაღაც ჯადოსნური მადლი, რომლის წყალობითაც „ასავალ-დასავალში“ მომუშავე ნებისმიერი პიროვნება არის დადებითი რეიტინგით აღჭურვილი. ეს დადებითი რეიტინგიც სწორედ იმ სიმართლიდან გამომდინარეობს, რაზეც „ასავალ-დასავალი“ წერს“, – ამბობს გიორგი მამაცაშვილი, გაზეთის ერთ-ერთი წამყვანი ჟურნალისტი.

როგორ ახერხებს „ასავალ-დასავალი“ მკითხველის ინტერესი 18 წლის განმავლობაში შეინარჩუნოს? კონკრეტულად რას ჰყიდის გაზეთი 1 ლარად და 50 თეთრად ისეთს, რასაც მკითხველი ვერც ერთ სხვა გამოცემაში ვერ შეხვდება? ამ გაზეთშიც ისე, როგორც სხვა ყოველკვირეულ ყვითელ გამოცემებში, პოლიტიკოსებისა და ცნობილი ადამიანების ინტერვიუები იბეჭდება. თუმცა, განსხვავება ისაა, რომ „ასავალ-დასავალში“ პოეტიც, მსახიობიც და პოლიტიკოსიც პოლიტიკაზე და რელიგიაზე მსჯელობენ.

იმას, რასაც „ასავალ-დასავალი“ აკეთებს, ფაქტობრივად, წარსულის „გადამუშავება“ ჰქვია. მიმდინარე ახალი ამბების ანალიზის გასაცნობად, ანდა აქტუალური ინფორმაციის მისაღებად ამ გაზეთს არავინ ყიდულობს. იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა ხდება იმ კვირას ქვეყანაში, „ასავალ-დასავალს“ მაინც უცვლელად

აინტერესებს ზვიად გამსახურდიას მკვლელობა, ზურაბ ჟვანიას ტრაგიკული სიკვდილი, სტალინი და ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლებიდან“ ნაწყვეტები. მაგალითად, 2010 წლის 1-7 მარტის ნომერში გაზეთის აქტუალური თემა სტალინის გარდაცვალების თარიღია. გიორგი გიგაური სტატიას სტალინის შესახებ ასე იწყებს: „5 მარტს 57 წელი შესრულდება იოსებ სტალინის სიკვდილიდან. დარწმუნებული ვარ, სააკაშვილის „აგიტპრომი“ ერთი სიტყვითაც არ მოიხსენიებს „დიდი ბელადის“ გარდაცვალებას, რადგან თუ „ნაცმო“ სტალინზე კარგს იტყვის, თავის მასონ-სოროსელ პატრონებს გაანაწყენებს, გენერალსიმუსზე აუგის თქმა კი პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასია 30 მაისისთვის დანიშნული არჩევნების წინ!“

ეს გაზეთი პოლიტიკური მუზეუმის იმ პერსონაჟებს სთავაზობს შეუზღუდავ ტრიბუნას, რომლებიც, დიდი ხანია, „პენსიაზე“ გავიდნენ და სხვა მედიასაშუალებებსაც, წლებია, დაავიწყდათ. „ასავალ-დასავალის“ რამდენიმე ათასი მკითხველი მხოლოდ ამ გაზეთის ფურცლებიდან გაიგებს, რას ფიქრობს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე დღეს, რა ექსკლუზიურ ინფორმაციას ფლობს „აღორძინების“ ყოფილი ლიდერი ვალერი გელბახიანი, რა აზრისაა „ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ავთანდილ მარგიანი ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის ურთიერთობებზე. ედუარდ შევარდნაძესთან მთელ გვერდზე გადაშლილი ინტერვიუ კი 2010 წლის „ასავალ დასავალის“ ცამეტივე ნომერში გვხვდება.

„ასავალ-დასავალი“ ის გაზეთია, რომელთანაც მე, უკვე რამდენიმე წელია, სისტემატურად ვთანამშრომლობ, რაც შემთხვევითი არ არის. დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პერიოდში გაზეთი ახერხებს, იყოს პირნათელი თავისი მკითხველის და სამშობლოს წინაშე, რაც, ჩემი აზრით, განპირობებულია რედაქტორის, ბატონ ლაშა ნადარეიშვილის მრავალმხრივი ნიჭითა და უნარით“, – ამბობს შევარდნაძე „ლიბერალთან“ ინტერვიუში.

„ჩვენ ვუთმობთ ტრიბუნას ყველას და, რაც მთავარია, არ ვივიწყებთ წარსულს, კარგი მომავლისათვის ვაკეთებთ ამას. დასკვნას კი ვანდობთ მკითხველს. თუ დავივიწყებთ წარსულს, მაშინ აღარ უნდა ვიხსენებდეთ აღარც თამარს, აღარც ილიას, აღარც ქაქუცას, აღარც მერაბს, აღარც ზვიადს და მაშინ დავუთმოთ ტრიბუნა კობა ხაბაზს, გიგა ბოკერიას, გივი თარგამაძეს, ძმებ ახალაიებს, ბატონ კეზერაშვილს, კახა ლომაიას, ბენდუქიძისთვის შეიძლება გვერდებიც არ გვეყოს...“, – ამბობს „ლიბერალთან“ ინტერვიუში „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი გიორგი მამაცაშვილი.

ინტერვიუ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტების საყვარელი ჟანრია. საშუალოდ, ორმოცგვერდიანი გაზეთის ყოველ ნომერში 15-18 ინტერვიუს შეხვდებით, რომელთა უმრავლესობას A3 ფორმატის გაზეთის ერთ გვერდზე მეტი უკავია. გიორგი მამაცაშვილის თქმით, ამ ფაქტს ობიექტური მიზეზი აქვს: „საგამოძიებო ჟურნალისტიკა დღეს ცოტა მოიკოჭლებს – ამას ცოტა სხვა ფინანსები, სხვა მუშაობა, სხვა მოძრაობა სჭირდება და ამიტომ, უფრო წერილებისა და ინტერვიუების ხარჯზე ვიფარგლებით“.

„ასავალ-დასავალი“ „უფრო მეტია“, ვიდრე ოპოზიციური გამოცემა. ამ გაზეთის ფურცლებზე, ადამიანებს ხშირად ეთნიკური წარმომავლობის გამო ერჩიან, „გენეტიკური სომეხი“ – სალანძღავი სიტყვაა და ხშირად უმცირესობების შეურაცხყოფა კამპანიის ხასიათსაც ატარებს. ჟურნალისტებიც და რესპონდენტებიც მსგავსი ენით საუბრობენ: „მარტის კატებივით ატეხილთა და ატახირებულთა შესახებ“ – ასე არქმევს თავის სტატიას „მოდელირებული ქრონიკის“ შესახებ ჯაბა ხუბუა; „ინტელიგენციას მინდა, მივმართო: რამ დაგამუნჯათ, თქვე უბედურებო“, – ამბობს ინტერვიუში რეზო ამაშუკელი. „ამ ხელისუფლების უმრავლესობა გვარგადაკეთებული, გენეტიკური სომხები არიან, რომლებიც მალე ჯავახეთის გასხვისებასაც აპირებენ!“ – ამტკიცებს ელიზბარ ჯაველიძე. „ასავალ-დასავალში“ ჰომოსექსუალს „პიდარასტს“ ეძახიან, მეძავებს – „ბოზებს“. ვიღაც ჩამშვებია, ვიღაც – მანქურთი, ვიღაცას კი ხელები სისხლში აქვს გათხვრილი. გაზეთის ბოლო გვერდზე კი სპეციალურად არის აღნიშნული, რომ: „ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება“. „ასავალ-დასავალში“ ჰომოსექსუალს „პიდარასტს“ ეძახიან, მეძავებს – „ბოზებს“. ვიღაც ჩამშვებია, ვიღაც – მანქურთი, ვიღაცას კი ხელები სისხლში აქვს გათხვრილი. გაზეთის ბოლო გვერდზე კი სპეციალურად არის აღნიშნული, რომ: „ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება“.

გიორგი მამაცაშვილი ამბობს, რომ „ასავალ-დასავალს“ საკუთარი ეთიკური კოდექსი აქვს. თუკი ხელისუფლების კრიტიკა ძალიან ხშირად პირდაპირი ლანძღვა-გინების სახეს იღებს, მამაცაშვილი ამას იმით ხსნის, რომ მოძალადე ხელისუფლებისთვის მეორე ლოყის მიშვერას არ აპირებენ. „ჩვენ ჩვენი ეთიკის კოდექსი გვაქვს, რომელიც შეიძლება ფურცელზე არ წერია, მაგრამ თითოეულ ჩვენგანში არის. ჩვენი გაზეთი პოპულარულიც არის, რეიტინგულიც, გაყიდვადიც და მასების მხრიდან დადებითად შეფასებული, და ეს ჩვენი მთავარი პრინციპის დამსახურებაა – წერო ყველაფერზე და წერო სიმართლე!“ – აცხადებს მამაცაშვილი, რომელიც მიიჩნევს, რომ „ასავალ-დასავალმა“ ქართულ ჟურნალისტიკაში რეფორმა მოახდინა.

„გააჩერე 10 ადამიანი ქუჩაში და სთხოვე, შეადარონ, ვთქვათ, ლომაიას განათლების რეფორმა და „ასავალ-დასავალის“ მიერ ჩატარებული რეფორმა ჟურნალისტიკაში. შედეგები იქნება ცალსახა – ლომაიას რეფორმას უარყოფითად შეაფასებენ, „ასავალ-დასავალისას“ კი – დადებითად“, – ამბობს მამაცაშვილი და დასძენს, რომ თუკი მისმა გაზეთმა დღემდე მოაღწია,

"ასავალ-დასავალის" ჰესპონდენტების ტოპ-ათეული, 2010	
1	**ედუარდ შევარდნაძე**
2	**რეზო ამაშუკელი**
3	**ელიზბარ ჯაველიძე**
4	**მალხაზ გულაშვილი** *სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობა*
5	**გოგა ხაინდრავა**
6	**თემურ შაშიაშვილი**
7	**მანანა არჩვაძე-გამსახურდია**
8	**გია გაჩეჩილაძე** *საქართველოს მწვანეთა მოძრაობა*
9	**ირინა სარიშვილი-ჭანტურია**
10	**გრიშა ონიანი** *საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარე*

ეს დაუღალავი შრომისა და სწორედ ერთგული მკითხველის სიყვარულის ხარჯზე შეძლო.

გიორგი მამაცაშვილი თავისი გაზეთის სამიზნე აუდიტორიას ასე ხედავს: „საუბედუროდ და სამწუხაროდ, ვწერ იმ უფლებააყრილი, დაჩაგრული, უფლებაშეზღუდული ადამიანებისთვის, რომლებმაც ამ ქვეყანაში კანონი ვერ ნახეს, პატივისცემა ვერ ნახეს, უფლებები ვერ აღიდგინეს და კონსტიტუციით ვერ მოქმედებენ“.

„ყველაფერია ამ გაზეთში – აზრი მაინც არის ნათქვამი ბოლომდე, ამ ტელევიზორში რომ არ აცლიან ხალხს ლაპარაკს!“ – ამბობს ქალბატონი ლია მამულაშვილი, რომელსაც სახლში „ასავალ-დასავალის“ ბოლო წლების თითქმის ყველა ნომერი აქვს შენახული. ქალბატონი ლია პედაგოგია და ამბობს, რომ ორშაბათს სამასწავლებლოში „ასავალ-დასავალის“ სტატიებს

„ასავალ-დასავალის“ ძირითადი შემოსავლის წყარო სწორედ დიდი ტირაჟია, და არა – რეკლამა, რასაც გაზეთში თითქმის ვერ ნახავთ, თუ არ ჩავთვლით საპატრიარქოს მიერ ორგანიზებული ღონისძიებების რამდენიმე ანონსს. გიორგი მამაცაშვილი საკუთარ ხელფასს არ ასახელებს: „როგორც დათა თუთაშხია ამბობს, კაცი უნდა ეყოს ფულს“, – ამბობს იგი. ბიზნეს-საიდუმლოა გაზეთის ოფიციალური ტირაჟიც.

„ასავალ-დასავალის“ ტირაჟზე მეტნაკლებად ზუსტი ინფორმაციის მოპოვება მხოლოდ იმ სტამბის დირექტორისგან მოვახერხეთ, სადაც გაზეთი იბეჭდება. „არ მახსოვს ამ გაზეთის განსაკუთრებულად დიდი ტირაჟები. შეკვეთა ოცი ათასი ეგზემპლარის ფარგლებში არის ხოლმე“, – ამბობს დავით გიგაური, მაგრამ თითო ორმოცგვერდიანი „ასავალ-დასავალის“ სასტამბო თვითღირებულებას ვერ ასახელებს.

ლები, ვიდრე მიშავდებოდეს სული“, – ამბობს გიორგი მამაცაშვილი.

გიორგი გაზეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჟურნალისტია; თვლის, რომ მის წარმატებულ პროფესიონალად ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი როინ მეტრეველმა, ნუგზარ ფოფხაძემ და ლაშა ნადარეიშვილმა შეასრულეს. მან 2008 წლის გაზაფხულზე „ასავალ-დასავალისთვის“ რედაქციის ოფისის დაბრუნების მოთხოვნით შიმშილობა დაიწყო კოსტავაზე, ყოფილი გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობასთან. ეს შენობა ოთხმოცდაათამდე გაზეთს, ტელეკომპანია „კავკასიას“ და კიდევ რამდენიმე მცირე გამომცემლობას მთავრობამ არაპრივატიზებული ქონების მითვისების მოტივით დაატოვებინა. დღეს ეს შენობა ისევ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ბალანსზეა და „ასავალ-დასავალის“ რედაქციის ოთახებში სამაჩაბლოდან დევნილი ოჯახები

„ასავალ-დასავალში“ ჰომოსექსუალს „პიდარასტს“ ეძახიან, მეძავებს – „ბოზებს“. ვიღაც ჩამშვებია, ვიღაც – მანქურთი, ვიღაცას კი ხელები სისხლში აქვს გათხვრილი.

აქტიურად განიხილავენ სხვა მასწავლებლებიც. ამ გაზეთის მკითხველის და მყიდველის ერთი სურათის გამოკვეთა ძნელია. „ყველა ყიდულობს ამ გაზეთს, სტუდენტების და ახალგაზრდების გარდა, მაგრამ ახალგაზრდები არც სხვა გაზეთებს ყიდულობენ“, – ამბობს ღრმაღელის მეტროსთან ჟურნალ-გაზეთებით მოვაჭრე ქალბატონი, – „აქ თუ ცუდი მუშაობა მაქვს, საღამოს „ოკრიბას“ სადგურში მივდივარ ხოლმე და იქ „მარშრუტკებზე“ მარტო „ასავალ-დასავალი“, „სარკე“ და „გზა“ მიმაქვს. კარგად იყიდება“.

საბურთალოზე, ყაზბეგის ქუჩაზე ერთმანეთისგან ათი მეტრით დაშორებულ ორ პრესის ჯიხურში არც ერთი „ასავალ-დასავალი“ არ აღმოჩნდა. ერთ ჯიხურს ორშაბათს გამოსული გაზეთის ოცივე ეგზემპლარი გაეყიდა ოთხშაბათ საღამომდე, მეორეს – თვრამეტივე. შედარებისთვის, ეს ჯიხურები „ლიბერალის“ მხოლოდ ერთ ეგზემპლარს იღებენ. თუმცა, „ასავალ-დასავალის“ კონკურენტები – „კვირის ქრონიკა“, „კვირის პალიტრა“ და ყვითელი ჟურნალები, რომელთა ფასი გაყიდვების ზრდის პროპორციულად იზრდება.

გაზეთი რუსთაველზე პრესის ერთ-ერთ ჯიხურში ბოლოს მაინც ვიპოვეთ, მაგრამ – უკანასკნელი ეგზემპლარი. ორმოცგვერდიანი შავ-თეთრი გაზეთის გადაშლისას, პირველი რაც თვალში მოგხვდებათ, უზარმაზარი ინტერვიუებია – გამუქებული კითხვები და გრძელი პასუხები. მარტო ბოლო ნომერში თვრამეტი ინტერვიუა. რედაქციის შემოქმედებითი ჯგუფი ვიზუალურ მხარეზე თითქმის არ ზრუნავს. გაზეთში ორიგინალურ ფოტომასალას პრაქტიკულად ვერ ნახავთ, სამაგიეროდ ხშირად იბეჭდება ვლადიმერ ღონღაძის კარიკატურები, რომელთა უმრავლესობაზეც მიხეილ სააკაშვილი და მისი პოლიტიკური გუნდის წევრები არიან გამოსახული.

ფაქტია, რომ „ასავალ-დასავალის“ მკითხველისთვის მნიშვნელოვანი მხოლოდ გაზეთის შინაარსია და არა მისი გარეგნული სახე, რადგან ორმოცგვერდიანი შავ-თეთრი გაზეთის ბოლომდე გადათვალიერების შემდეგ არ არსებობს, ხელები არ გაგიშავდეთ. „როდესაც თქვენ უსმენთ კახა ბენდუქიძეს, თქვენ გიბინძურდებათ გონება, როცა უსმენთ თეა თუთბერიძეს, გიბინძურდებათ სული. მე მირჩევნია მიშავდებოდეს ხელები, ვიდრე მიშავდებოდეს სული“, – ამბობს გიორგი მამაცაშვილი.

ცხოვრობენ.

როგორც გიორგი მამაცაშვილი ამბობს, მისმა შიმშილობამ შედეგი არ მოიტანა, მაგრამ ეს შედეგი „სააკაშვილის რეჟიმის დასრულების შემდეგ“ აუცილებლად დადგება, მანამდე კი ყოველკვირეული გაზეთი, რედაქციის თანამშრომლების განცხადებით, დევნილობაში მუშაობს. რედაქციის შენობის იძულებითი დატოვების შემდეგ, „ასავალ-დასავალს“ დროებით თავშესაფარს ედუარდ შევარდნაძე კრწანისის რეზიდენციაში სთავაზობდა და, მიუხედავად იმისა, რომ რედაქციამ ბევრი მისამართი გამოიცვალა, იქ არ გადასულა. თუმცა, არც გამოცემა შეუწყვეტია.

„ვინც იმედით ცოცხლობს, შესაძლოა, შიმშილითაც მოკვდეს!“ – ბენჯამინ ფრანკლინის ეს სიტყვები გაზეთის ერთ-ერთი ნომრის დევიზი იყო. თუმცა, შიმშილით სიკვდილი ქართულ მედიაში ყველაზე ნაკლებად სწორედ „ასავალ-დასავალს“ ემუქრება, რადგან ეს გაზეთი, „ჯადოსნური მადლის“, ერთგული მკითხველის თუ არჩეული ფასეულობების წყალობით, ყოველ ორშაბათს პრესის ჯიხურებიდან ყველაზე სწრაფად ქრება.

ახალი წიგნი

ბრძოლის მეთოდების ენციკლოპედია

ფასი **19.00**

გაეცანით ბრძოლის თანამედროვე მეთოდებს!



წიგნში მოცემულია თანამედროვე სამხედრო საქმის ამომწურავი ანალიზი, რომლის მიხედვითაც მზადდება როგორც ჩვეულებრივი, ასევე ელიტური სამხედრო ქვედანაყოფები. განხილულია რეალური ფაქტები და მაგალითები სამხედრო ისტორიიდან, აღწერილია 50 სხვადასხვა ტაქტიკური ილეთი: დანის ხმარების ტექნიკა, მოიერიშე შაშხანებისა და ნაღმი-ხაფანგების გამოყენება, სნაიპერული ბრძოლა, საბრძოლო დესანტირება პარაშუტით და მოწინააღმდეგის ძებნა.
წიგნში განხილულია რეალური ფაქტები და მაგალითები სამხედრო ისტორიიდან.
წიგნი 200-ზე მეტი შავ-თეთრი ფოტოთი და ნახატითაა ილუსტრირებული.

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

მის: აღმაშენებლის 150
ტელ: 910 954, 911 165

www.sulakauri.ge

მოდის ხვიჩეულის ჩეჰეტისია

წითელი ხალიჩა, უამრავი ფოტოკამერა, მოდის კრიტიკოსები და დიზაინერები ევროპიდან – რამდენიმე დღით თბილისი თითქოს სხვა სამყაროში აღმოჩნდა. ქვეყნის ისტორიაში პირველი მოდის კვირეული, მართალია ხარვეზებით, მაგრამ მაინც შედგა.

ნინო ჩიმაკაძე

„დიდი ოთხეული“ – ასე ეძახიან ნიუ იორკს, ლონდონს, მილანსა და პარიზს, რომლებიც მოდის ყველაზე დიდ და პრესტიჟულ კვირეულებს ზუსტად ამ თანმიმდევრობით მასპინძლობენ. დანარჩენი 100-ზე მეტი ქალაქი, საკუთარი მოდის კვირეულით, მათ განრიგს ერგება და მათი საზომით იზომება.

„ქართული მოდის კვირეული“, რომელიც საქართველოსთვის პირველი ასეთი ღონისძიება იყო, Fashion TV-ზე გამოცხადებული მოდის კვირეულების მსოფლიო განრიგში საერთოდ ვერ მოხვდა – ალბათ იმ მიზეზით, რომ ეს საქართველოს დებიუტი იყო, რითაც მსოფლიო მოდის ბაზარზე საკუთარი ადგილის მოპოვებას ამიერიდან ჩვენც შევეცდებით. კვირეული კი ამისთვის მისწრებაა.

როგორც ჩანს, ეს პრიორიტეტული მიზანი იყო ხელისუფლებისთვისაც, რადგან „ქართული მოდის კვირეულის“ დასაფინანსებლად საჭირო თანხის – დაახლოებით მილიონი დოლარის დიდი ნაწილი სწორედ სახელმწიფომ გაიღო. ეს თანხა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ქართული დებიუტი ნამდვილი მოდის კვირეულს დამსგავსებოდა – წითელი ხალიჩითა და რაციით შეიარაღებული დაცვით, ჩვენებებში მონაწილე სამი უცხოელი დიზაინერითა და Fashion TV-ს, L ‘officiel-ს, Fashion Insider-სა და უცხოური მოდის ინდუსტრიის წამყვანი მედიასაშუალებების წარმომადგენლებით. მათი დამსახურება იყო, რომ კვირეულს გლამურული ფუსფუსიც ახლდა თან. „წესების დაცვით“ მიმდინარეობდა წითელი ხალიჩის რიტუალიც, სადაც ქართველი რეპორტიორები მოწვეულ სტუმრებს თითქოს გრამატიკულად არასწორ, მაგრამ მოდის ინდუსტრიაში მიღებულ კითხვას უსვამდნენ „ვინ გაცვიათ?“ და ქართველი მოდის მიმდე-

ვრების პასუხიც არ აყოვნებდა, – კაბა – ვერსაჩე, აქსესუარი – ჟან-პოლ გოტიე...

თუმცა, ამ ბევრი გარეგნული მსგავსების მიუხედავად, პირველი „ქართული მოდის კვირეული“ მაინც არ ჰგავდა „ნამდვილს“. ჩვენებები ქართული დროით – ნახევარი საათით გვიან იწყებოდა. საგამოფენო ცენტრის შესასვლელთან რიგში ერთმანეთის გადათელვა კი ისეთი ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რომ ძნელად თუ გაარჩევდით, მოდის ჩვენებაზე იყავით მისული, თუ რომელიმე სპორტული მატჩის სანახავად – აღგზნებული გულშემატკივრების გარემოცვაში.

ყველაზე უხერხული სიტუაცია კვირეულის ბოლო დღეს შეიქმნა, როდესაც დიზაინერ ანუკა ქებურიას ჩვენებაზე დარბაზში ორჯერ ჩაქრა შუქი. მაყურებელთა ნაწილი ტაშს უკრავდა, ზოგიც სტვენით შეხვდა ამ ინციდენტს, უცხოური პრესის წარმომადგენლები კი ზრდილობიანი ღიმილით ელოდნენ შოუს გაგრძელებას. მას შემდეგ, რაც შუქი საბოლოოდ აინთო, შეშინებულმა დიზაინერმა ყველა მოდელი ერთად გამოიყვანა სცენაზე და ჩვენებაც ასე დასრულდა.

ვისაც ამდენი ჩოჩქოლისა და განცდის შემდეგ ჩვენებების სრულფასოვნად აღქმა კიდევ შეეძლო, აღმოაჩენდა, რომ ქართველი დიზაინერები ისევ ერთხმად ირჩევენ მუქ ფერებს. შავი და მისი ტონალობები – ეს ის ფერთა გამა იყო, რომელიც თამუნა ინგოროყვას, ქეთი ჩხიკვაძის, თეონა ელიზბარაშვილის კოლექციებს აერთიანებდა.

მრუმე ფერებით მოწყენილი თვალი კვირეულის მესამე დღეს აგატა რუის დე ლა პრადას ცეცხლოვანმა ტონებმა გაახალისა. თუმცა, ქართულ პუბლიკაში მან ინტერესი უფრო გვარის გამო გამოიწვია. დარბაზში შეკრებილი სტუმრების ნაწილს ის იტალიელ მიუჩა პრადაში აერია.

კვირეულის მონაწილე დამწყებ ქართველ დიზაინერებს მაღალი კლასი ფრანგმა კრისტოფ ჟოზემაც აჩვენა, რომელიც ფრანგული მაღალი მოდის დიზაინერთა კავშირის წევრია. თბილისში მან 2010 წლის გაზაფხული-ზაფხულის Haute couture-ის კოლექციიდან 25 მოდელი ჩამოიტანა. მე-19 საუკუნის რომანტიზმის გავლენით შექმნილი კლასიკური, დახვეწილი სილუეტებისა და თანამედროვე, გამჭვირვალე ქსოვილების სინთეზი პოდიუმზე ძალიან ელეგანტურ სანახაობას ქმნიდა.

ქართველი მონაწილეების ძირითად ნაწილს ახალგაზრდა, დამწყები დიზაინერები შეადგენდნენ. მათ კი, ვისაც სახელი უკვე დამკვიდრებული აქვს – ირაკლი ნასიძესა და ავთანდილს – მოდის კვირეულის გახსნა და დახურვა ხვდათ წილად.

ნასიძემ ეს კოლექცია სპეციალურად თბილისის მოდის კვირეულისთვის შექმნა. ავთანდილმა კი თბილისის კვირეულზე წარმოდგენილი 2010-11 წლის შემოდგომა-ზამთრის Pret-a-Porter-ს კოლექცია მანამდე კიევის მოდის კვირეულზე აჩვენა. კოლექციის ძირითად ნაწილს თეთრი, შავი და კრემისფერი კაბები წარმოადგენდა. მისი ჩვენებით კრისტოფ ჟოზეც მოიხიბლა: „ძალიან სუფთა და პროფესიული ნამუშევარია, დახვეწილი დეტალებით და ნაკეთობით“, – აღნიშნა მან ჩვენების შემდეგ.

ახალგაზრდა დიზაინერებიდან ყველაზე წარმატებული ირაკლი რუსაძის, გოგა ნიქაბაძის და ზენკა&მარის ჩვენებები აღმოჩნდა. 19 წლის რუსაძის სადებიუტო კოლექცია ფრანგებს იმდენად მოეწონათ, რომ მას მომავალში თანამშრომლობა და პარიზის ბუტიკებში კოლექციის გაყიდვა შესთავაზეს. ახლა ირაკლი უკვე მათ ზარს და ოფიციალურ შეთანხმებას ელოდება.

24 წლის გოგა ნიქაბაძის ფერადი, სადა და ელეგანტური პალტოებით კი გავლენიანი ფრანგი კრიტიკოსი, ჟან-პოლ გოტიეს სახლის ყოფილი პრეზიდენტი და სააგენტო agente de luxe-ის მფლოებელი, დონალდ პოტარიც მოიხიბლა და ჩვენების შემდეგ ახალგაზრდა დიზაინერთან საკონტაქტო ინფორმაციაც გაცვალა.

გამოდის, რომ უამრავი ხარვეზის მიუხედავად, ქართული მოდის კვირეული კონკრეტული დიზაინერებისთვის მაინც წარმატებული იყო. დონალდ პოტარი ამბობს: „როდესაც რაიმე პირველად ტარდება, ყოველთვის არსებობს ეჭვი, რომ არ გაამართლებს, მაგრამ აქ იმედის გაცრუება არ ყოფილა. არაერთი საინტერესო და ნიჭიერი ადამიანი აღმოვაჩინე და ვფიქრობ, მათ მომავალი ნამდვილად აქვთ“.

მათ კი, ვინც ქართული მოდის კვირეულისგან მეტს ელოდა, შეუძლია, დაელოდოს აპრილს, როცა ქართველი მოდელის, თაკო ჩხეიძის თაოსნობით, მორიგი მოდის კვირეული გაიმართება. ჯერ საერთოდ არც ერთი არ გვქონდა, ახლა ერთბაშად ორი გვექნება. იქნებ ეს მაინც გახდეს მიზეზი, რომ მოდის კვირეულების ყოველწლიურ საერთაშორისო ციკლში თბილისიც „ოფიციალურად“ ჩართონ.

დიზაინერი კრისტოფ ჟოზე მოდელთან ერთად, თბილისი, მარტი 2010

ფოტოები ზურა ეურკალიძის

სცენა სპექტაკლიდან „არსად და ყველგან ერთდროულად“

მარტივი მეტაფიზიკა, რთული ურთიერთობები

ვიდრე ქართული პუბლიკა „ჟიზელ-მაკნატუნების“ მრავალგზის რეციკლირებულ პრემიერებს ესწრება, ექსპერიმენტებით ცნობილი ქორეოგრაფი უილიამ ფორსაიტი ე.წ. „სოციალური ქორეოგრაფიის“ ახალ ნიმუშს დგამს დრეზდენის მიტოვებულ ქარხანაში.

დავით ბუხრიკიძე

უკვე დიდი ხანია, რაც ამერიკელი ქორეოგრაფი უილიამ ფორსაიტი ფრანკფურტის ოპერის და ბალეტის თეატრში ექსპერიმენტებით ირთობს თავს და ართობს პუბლიკას. დროთა განმავლობაში მისი „მავნე“ ქორეოგრაფიული ჩვევები სხვა ქალაქებსაც გადაედოთ და უკვე წელს დრეზდენის მუნიციპალურმა თეატრმა მას ერთდროულად მაცდური და უცნაური წინადადება შესთავაზა – დაედგა სპექტაკლი ქალაქის ისტორიულ გარეუბან ჰელარაუში, სადაც გდრ-ის დროინდელი ქარხანაა შემორჩენილი.

თუმცა, არც ფორსაიტის დასისთვის და არც მისი ერთგული „თეატრალური მრევლისთვის“ ეს უცნაური საცეკვაო სივრცე აღმოჩენა სულაც არაა. ჯერ კიდევ შარშან ფორსაიტმა ქორეოგრაფიული ოპუსი ფრანკფურტის ტრამვაის დეპოში დადგა, კრიტიკოსებმა კი სპექტაკლი თანამედროვე გერმანული თეატრის მნიშვნელოვან მოვლენად შეაფასეს.

ამჯერად, ცნობილ ქორეოგრაფს დანგრეული ქარხნის გიგანტური სივრცის ათვისება მოუხდა, რაც, ცხადია, კინემატოგრაფისტებისთვის უფრო იქნებოდა მომგებიანი და მარტივიც. წარმოდგენაში სახელწოდებით I don’t believe in outer space („არ მჯერა კოსმოსური სივრცის“), თითქმის ძონძებით, უფრო კი სპორტულად შემოსილი 15 მოცეკვავე გიგანტური ნაგავსაყრელისა თუ კოსმოსური ლანდშაფტის მსგავს გარემოს დრამატული ვნებათაღელვის გარეშე იყოფს. თუმცა, არც ირონიული და მძაფრი ქორეოძიძგილაობაა მათთვის უცხო.

სხეულების აბსტრაქტული მღელვარება დაშლილ პოლიფონიას წააგავს, სადაც ხმები, სიტყვები და ნერვული კონვულსიები ერთმანეთს არცთუ რიტმულად ავსებს. „სპექტაკლი თანამედროვე ფორსაიტის პორტრეტს გვიხატავს – დაღლილს საკუთარი რეფორმებითა და რეპუტაციით. თუმცა მის დამღლელ, მაგრამ მარტივ მეტაფიზიკაში საკუთარი თავისადმი ირონია უფრო იგულისხმება, ვიდრე ნატანჯი პოეტურობა“, – წერს „ზუდდოიჩე ცაიტუნგის“ მომომხილველი.

სხეულების მრისხანებას თუ დეპრესიას სპექტაკლის ზოგიერთი პერსონაჟის იშვიათი ირონიული რეპლიკები აბათილებს. ანუ, ქარხნულ-კოსმოსური სივრცე ქორეოგრაფიისა და დრამის ნაზავს წარმოადგენს. მაგალითად, ერთ-ერთი მოცეკვავე შეშლილ ფიზიკოსს განასახიერებს, რომელიც „შავი ხვრელების“ შესახებ სევდიან მონოლოგებს საცეკვაო ფეხგარჯილობას უთავსებს. ულამაზო შინაბერა აინშტაინის ტექსტებს კითხულობს, სინამდვილეში კი სექსზე ოცნებობს. ოცნებობენ სხვებიც – ზოგი უფრო გაბედულად, ზოგიც ხმადაბლა, მაგრამ ყველა მონდომებით ცეკვავს და ცდილობს, ამ როკვაში გულგრილი და გაუცხოებული მაყურებელიც ჩაითრიოს.

დაახლოებით 20-25 წლის წინ, როცა არც ინტერნეტი არსებობდა და არც გლობალიზმი იყო ასე თვალსაჩინო, ფორსაიტის პერსონაჟები ინდივიდუალური თავისუფლების სადარაჯოზე იდგნენ. ახლა კი სამაგალითო ანგარიშსწორების დრო დადგა: მათ ადამიანური ურთიერთობები სწყურიათ, მზად არიან საკუთარი კომპლექსები საჯაროდ გამოფინონ და მონოლოგები ცარიელ სივრცეში წარმოთქვან, თუნდაც იმის შესახებ, რომ სიყვარული სასიცოცხლო აუცილებლობაა. მაგრამ უკვე გვიანია – აუტისტური სამყარო ფსიქიატრიულ საავადმყოფოს დაემსგავსა, სადაც სიტყვებმა აზრი დაკარგეს და ადამიანებმა – თანაგრძნობის უნარი.

I don’t believe in outer space წააგავს სოციალურ ნაგავსაყრელსა და უშფოთველ კოსმოსს შორის მოსაზღვრე ტერიტორიას, სადაც დაძონძილთა რთული მოძრაობები და მარტივი კოსმოსური მეტაფიზიკა ერთმანეთის პარალელურად თანაარსებობს. საგასტროლო სკანდალებში გახვეულ ჩვენს ბედკრულ მოცეკვავეებს ასეთი ახლებური იდეები ჯერ-ჯერობით არ „ემუქრებათ“. ჯერ ერთი, სოციალური ქორეოგრაფია ჩვენთან სრული აბსურდია და მეორეც, ადგილობრივი კულტურულ-პოლიტიკური გარემო, ჩვენი ცნობილი პრიმა-ბალერინას გამოსვლებისა და კლასიკური „ჟიზელ-მაკნატუნების“ გარდა, ქორეოგრაფიულ სიახლეებს არ ცნობს. ასე რომ, ჩვენთან ცნობილი ფილმის პერიფრაზს ამგვარი რიტორიკული შეკითხვის ფორმა შეიძლება ჰქონდეს: რა მნიშვნელობა აქვს სხეულს, თუ იგი ახალ ქორეოგრაფიამდე არ მიგვიყვანს?

პატარა გოგი დიდია

თუმანიშვილის თეატრში ლაშა ბუღაძის დრამატული მხიარულობანი დაიდგა.

დავით ბუხრიკიძე

სცენა სპექტაკლიდან „7 პ. პ.“, თბილისი 2010

ძნელია, თუნდაც ნაცნობი მწერლის შესახებ აზომილ-აწონილად და არტ-კორექტულად წერა. უფრო ძნელია, როცა ნაცნობის ტექსტს კიდევ უფრო მეტად ნაცნობი რეჟისორი დგამს, პრემიერას კი უამრავი ნაცნობი ესწრება და მერე ნაფიცი მსაჯულებივით განაჩენს გთხოვენ: აბა, რას გვეტყვით? კრიტიკულად, ბოლომდე და დაუნდობლად... და მერე გამოდის, რომ თურმე ნახევრად კრიტიკულად ვპასუხობ, გაჭირვებაში ჩავარდნილი თეატრისადმი გასაგები თანაგრძნობით.

და მაინც, ლაშა ბუღაძე ის ნაცნობია, რომელიც კრიტიკას უფრო მხიარულად იტანს, ვიდრე ნაწვალებ პირფერობას. ვგონებ, არც რეჟისორი ზურა გეწაძეა ირონიასთან მწყრალად. ალბათ, ამიტომ სპექტაკლი „7 პ. პ.“, ანუ შვიდი პატარა პიესა ბუღაძის მოთხრობების მიხედვით, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრში სწორედ თვითირონიული პასაჟით იწყება: ბალკონზე მჯდომი და სიბნელეს შეფარებული რეჟისორი რამდენჯერმე მოგვიწოდებს, მობილური ტელეფონები გამოვრთოთ და გვიხსნის, რომ მისი სპექტაკლი სკეტჩი უფროა, ვიდრე კეთილსინდისიერი ან სახასიათო კომედია... მეტი დამაჯერებლობისათვის კი სკეპტიციზმით მოწამლული მაყურებლის რეაქციასაც ითვალისწინებს: „დგამენ რაღაც დეგენერატობას“...

კომიკური სარკაზმით შეკაზმული სპექტაკლი, რომელიც წინასააღდგომოდ გაკეთებულ და მშვიდად მოსანელებელ სამარხვო „შუბას“ უფრო წააგავს, ვიდრე ეროვნულ-მსუყე „ხარჩოს“, რეჟისორმა შვიდ სცენაში გააერთიანა – თითო ამბავი, თითო ეპიზოდი. მაგალითად, „გოგის უხერხულობის ამბავი“ (მონაწილეობენ – ეკა ჩხეიძე, ნათია ფარჯანაძე და გიორგი ყიფშიძე) დრამატულსა და კომიკურს უმტკივნეულოდ აერთიანებს. გავეშებული ქალები დაშინებულ გოგის, რბილი „ლ“-ს გამო, ლამის კარატეს ილეთებით უსწორდებიან, ხოლო „ორი დაცემინების ამბავში“ ბებია (ლია კაპანაძე) სავარძლიდან წამოფრინდება და შვილიშვილს (ვანიკო თარხნიშვილი) ძველბიჭური ლექსიკით ლოცავს.

ტრაგიკულისა და კომიკურის დაპირისპირებაზეა აგებული ეპიზოდი „ციცო დეიდას ტრაგედია“, რომელშიც რუსუდან ბოლქვაძე შეუხედავ და ასაკიან შინაბერას შესანიშნავად თამაშობს. ციცო დეიდა მეზობელი გოგონას (ქეთი ასათიანი) სილამაზის შურს და ბოღმას დედას აბრალებს: „ბოროტი ქალი იყო, ომგამოვლილი და ამიტომ დამაკომპლექსა“... მსახიობი მაია გელოვანი „დედის მონოლოგში“ სწორედ ბედისწერას ებრძვის და საბავშვო ეტლში მძინარე შვილის ცხოვრებას წინასწარ თხზავს: როგორ წამოიზრდება, როდის იჩხუბებს, რატომ დაიწყებს მოწევას, ქალებში როდის წავა და როდის „გაიტანს ადამიანს რიგის ქუჩის კუთხეში“.

„ბიძინას ამბავს“ ანეკდოტური უბრალოება და სუფრის ტრადიციებისადმი აშკარა ირონია კვებავს: უკვე ღრეობაში გადასულ სუფრაზე, გადამთვრალ სტუმრებს (გიორგი ყიფშიძე, ნიკა წერედიანი, ნათია ფარჯანაძე, ეკა ჩხეიძე) მასპინძლის (თემურ ნატროშვილი) შვილი გაახსენდებათ და მამას სთხოვენ, შეაგინოს. ნამძინარევი ბიძინა (ვანიკო თარხნიშვილი) კი თანდათან როლში შედის და „ჩათლახ და კაგებეშნიკ“ მამას ისე აგინებს, რომ ველარ აჩერებენ. სპექტაკლის ბოლო ნოველა „აღშფოთებული ტატიანა“ (ლალი კეკელიძის ბრწყინვალე თამაშის გამო ეს ალბათ სპექტაკლის კულმინაციაა) გვამცნობს, რომ ცოცხალ, ყოჩაღ და ველოსიპედების შემკეთებელ შალვას აფხაზეთის ომში მკვდარი და უპატრონო ბიძინა ჯობს.

ეს ტრაგი-კომიკური მონოლოგი ჩვენი ქვეყნის მოულოდნელ ავტოპორტრეტად იქცევა: უხმოდ დამარხული წარსული ხომ ხშირად უფრო ცოცხალი და მნიშვნელოვანი გვგონია, ვიდრე აწმყო. „7 პ. პ.“ დამსხვრეულ სარკეში არეკლილი სიუჟეტებივით იკრიბება. მაგრამ აწებებ და გამოსახულება ერთიანი მაინც არ გამოდის, თუნდაც პატარა გოგის უფროსი ასაკის მსახიობი თამაშობდეს. ერთი რამ მაინც დასაფასებელია – თვითირონია სკეტჩისთვისაც და რეჟისორისთვისაც ჯანმრთელი თეატრალური ფორმაა.

ბულბულების ჭალის სულებს

სწორედ მაშინ გადავწყვიტე, ფიცი დავდე, რომ არ დავუთმობდი თქვენს ლექსებს გასანადგურებლად არც წვიმას, არც ქარს, არც თოვლს, არც მზეს და არც ღორებს!

კახა თოლორდავა

ჩემო საყვარლებო!

აბა, ერთი იმ ქვედა ფოტოს დახედეთ... ხომ გეცნობათ? ხომ არაფერი მეშლება? ხომ თქვენ გეკუთვნით ეს განწირული შეძახილი? ხომ თქვენ დაწერეთ ეს ტექსტი? ხომ თქვენ მოათავსეთ ფურცელი ცელოფანის პარკში? ხომ თქვენ გააკარით ის ხეზე ბულბულების ჭალაში კუს ტბის მიდამოებში? ვიცი, რომ თქვენ იყავით, პირქუშო სულებო, ეულად რომ დაიარებით თბილისის შემოგარენში და ასეთ გამეხებულ გზავნილებს უტოვებთ ღორებს! თქვენ გარდა ვინ გაბედავდა ამას? ვერავინ! ვერც მე ვბედავ ამას, ჩემო კარგებო! მე მხოლოდ თქვენს ნაფეხურებს მოვყვები. შეუმჩნევლად. მოწიწებით...

არა, საყვარლებო, არა, ხეებზე წარწერების გაკვრის რიტუალს ჯერ არ შევსწრებივარ, არც თქვენ გიცნობთ, მაგრამ ტანით ვგრძნობ (ან იქნებ მეჩვენება?) ხოლმე თქვენს სიახლოვეს. ზოგჯერ მგონია, რომ თვალიც კი მომიკრავს თქვენთვის! თქვენ ხომ არ იყავით ის ქალბატონი ამას წინათ ტყეში სეირნობისას რომ გადავეყარე? ეჭვის თვალით შემომხედეთ და არც კი მომესალმეთ! არა, არაფერი მწყენია, რადგანაც ვიცი რამდენად რთული მისია გაკისრიათ! ადვილი საქმე ხომ არაა ტყე-ღრეში სიარული, სხვების დაყრილი ნაგვის შეგროვება და ერთ ადგილზე შექუჩება? ჰო, ვიცი სადაა ის ადგილები კუს ტბის ზემოთ გაშენებულ ტყეებში თქვენ რომ შეგროვებულ ნაგავს აქუჩებთ ხოლმე! მეც, მეც იქ მიმაქვს ყველაფერი რასაც ხეტიალისას ვპოულობ, რამდენიმე წუთით დავცქერი თქვენ მიერ აღმართულ ნაგვის პირამიდებს და თვალებით დაგეძებთ, რჩეულებო! ვაგლახ, თქვენ ამ დროს უკვე სხვაგან იღწვით... იცით, მეც თქვენნაირი ეჭვიანი გამოხედვა გამიჩნდა... მეც აღარ მეზარება დახრა და პლასტმასის ბოთლის მიწიდან აღება, მაგრამ ვაღიარებ დაუხვეწელი ვარ ჯერ და უგუნური, ამიტომაც კიდევ დიდხანს იმეორებს ექო ჩემს „ტ“-ებით და „ყ“-ებით სავსე სიტყვებს (იცით რას დავაკვირდი? თურმე ექოს სულაც არ უჭირს „ტ“-ს და „ყ“-ს გამოთქმა!)... თქვენ კი მდუმარედ ბრუნდებით სახლში და დაუღალავად წერთ, წერთ, წერთ გულისგამგმირავ გზავნილებს...

მერე რა, რომ იმ დღეს გაბრაზებული იყავით და ოდნავ უკმეხი გზავნილი გამოგივიდათ ღორებისადმი? სამაგიეროდ რად ღირს თქვენი აი ეს ცელოფანშემოსილი ლექსი, ტოტზე რომ ირწეოდა: „ყველა თუ არ გამოვფხიზლდით, / არ ავტეხეთ განგაში, / მალე თავად დავიხრჩვებით / ჩვენს საკუთარ ნაგავში!“ ეს დღე დაუვიწყარი იქნება ჩემთვის! იქვე დავიზეპირე, გულის ფიცარზე ჩავიწერე და გზა რომ გავაგრძელე, ჩურჩულით ვიმეორებდი ამ ჯადოსნურ სიტყვებს! და მერე კი... ნახევარი კილომეტრიც



არ მქონდა გავლილი მეორე ლექსს რომ გადავეყარე ხის ტოტზე. ღმერთო დიდებულო, ვინღა, ვინღა მიმართავს ასეთი მართალი სიტყვებით ღორებს?! აი ეს ლექსიც: „კვლავ თუ ასე გავაგრძელეთ / საქმე მტრობის სადარი, / ვაჩანაგეთ ბუნება / და ირგვლივ ვყარეთ ნაგავი... / ჩვენს მომავალს მხოლოდ ზღაპრად / დარჩება ეს ამბავი, / უწინ თუ რა ტურფა იყო / საქართველოს მთა-ბარი!“ იმ დღეს ბევრი ვიტირე! ნუ შეშფოთდებით, საყვარლებო, სიხარულისგან, სიხარულისგან ვტიროდი! სწორედ მაშინ გადავწყვიტე, ფიცი დავდე, რომ არ დავუთმობდი თქვენს ლექსებს გასანადგურებლად არც წვიმას, არც ქარს, არც თოვლს, არც მზეს და არც ღორებს! არა, საყვარლებო, არ დაკარგულა თქვენი სიტყვები! იცოდეთ, არის ადამიანი ამ ქვეყანაზე, ვინც თქვენს ნაკვალევზე დაიარება და მომავალ თაობებს უტოვებს თქვენს შემაშფოთებელ შემოქმედებას! ვინ დაგიფასებთ, საყვარლებო, ამ სულისკვეთებას? არ ვიცი... და მაინც, იმედით ხართ სავსენი, იმედდაკარგულთა ქალაქში...

ერთ ლექსსაც შევბედავ მკითხველს. ჭეშმარიტ შედევრს! ყველაფრის მთქმელს! აი ისიც: „მინდა სათქმელი გადმოქცეთ / კაფია ანდაზიანი. / ვრწმუნდები მაიმუნისგან / შეიქმნა ადამიანი. / უგუნურ ადამიანსა / სჯობს მაიმუნი ჭკვიანი... / თუ მაიმუნი არ არის / ნაგავს ვინცა ყრის ვინ არის?“ ან კიდევ: „სულ მაღლა რომ იყურები არაფერი გამოვა, / ნაგავს რომ ჰყრი, შენც მოგიწევს ან ნაგავში გ ა მ ო ვ ლ ა!“

...ხომ ხედავთ ვერ გელევით, შეუდარებელნო, მაგრამ უნდა წავიდე! რომ იცოდეთ როგორ მინდა, მეც შემეძლოს ასეთი მრისხანე ტექსტების წერა, მათი ცელოფანში შეფუთვა და ხეებზე ჩამოკიდება! რომ იცოდეთ როგორ მინდა, რომ მთელმა ქვეყანამ ზეპირად იცოდეს თქვენი ლექსები! ჩემო საყვარლებო, რომ იცოდეთ როგორ მინდა, რომ საერთოდ არ არსებობდეთ!

რადიო „ნასცნობი“ გეპატიჟებათ კლუბში „ნასცნობი“

- ტრადიციული ქართული სამზარეულო
- ცოცხალი მუსიკა

მისამართი: აბანოს ქ. N 3



WWW.LIBERALI.GE